საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ერთგვაროვანი პრაქტიკა

სამოქალაქო საქმეებზე

(2014 წლის II ნახევარი – 2015 წელი)

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი

2017

Uniform practice of the Supreme Court of Georgia

on civil cases

(The second half of 2014 - 2015)

The Supreme Court Of Georgia

National Court Practice Study and Generalization Unit

Tbilisi

2017

შემდგენლები:

ზაზა ჯაფარიძე

სანდრო ჯორბენაძე

კრებულზე მუშაობდნენ:

ნინო მანჯავიძე

ქეთევან შენგელია

გიორგი ჭყოიძე

ზაზა ჯაფარიძე

სანდრო ჯორბენაძე

სტილისტ-რედაქტორი

სოფიო მამულაშვილი

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017

ISBN 978-9941-27-296-7

The Collection was compiled by

Zaza Japaridze

Sandro Jorbenadze

The Collection was elaborated by

Zaza Japaridze

Sandro Jorbenadze

Nino Manjavidze

Ketevan Shengelia

Giorgi Tchkoidze

Style Editor

Sophio Mamulashvili

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

© **Supreme Court of Georgia, 2017**

ISBN 978-9941-27-296-7

შემდგენლებისგან

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი წესებით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია.

ყოველი გადაწყვეტილების უკან ერთგაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, ნორმის განმარტებისას სასამართლო არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს.

სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია. სასამართლო ნორმას განმარტავს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

სასამართლო პრაქტიკით მკვიდრდება ნორმათა განმარტებისა და ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის მეორე ნახევრისა და 2015 წლის პერიოდში გაუქმებული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები, რომელთა განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესული გადაწყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და კერძო სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

FROM THE COMPILERSFROM THE COMPILERS

The Supreme Court of Georgia is the highest and the last instance cassation court of justice throughout the country, which supervises the administration of justice in the courts of general jurisdiction by the established procedure, carries out other outhorities provided by the Constitution of Georgia and by the law of Georgia on «General Courts». Role of the Court of Cassation in the administration of justice and the establishment of the rule of law principles is very important.

Behind to every judgment is standing a common judicial practice and the Supreme Court, as an instance with the function of the legal norm interpretation.

The Court of Cassation has repeatedly pointed out, that from the principle of separation of legislative and judicial power, it is important in interpreting the provision, that the court does not go beyond the limits of the law.

Court does not have law-making function, it only defines the legal norms within the purpose of the legislature and the possibility of its implementation.

The court practice is important for the interpretation of the legal norms and for the practice of uniform use.

Typical errors of the lower courts were analyzed based on the study of canceled cases of the second half of 2014 and 2015 by the chamber of civil cases of the Supreme Court. Generalization of the material showed, that despite the established practice of the Court of Cassation, the Court of Appeal by reviewing the cases, are still open to occurring flaws, which are reflected in the misuse of the applicability and interpretation of both procedural and substantive law.

Judgments included in the collection are sorted by subject, to each attached a little explanation, which will help judges to improve the quality of reasoning and to anyone interested in private law for better understanding of the established uniform court practice.

საძიებელი

შემოკლებანი 13

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

1. შესავალი დებულებანი; პირები

სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში 100
კერძო სამართლის სუბიექტები 51; 55
პირადი არაქონებრივი უფლებები 15
პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ 57

2. გარიგებანი

ნების გამოვლენის განმარტება 39
ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა 115
მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი 37; 98; 191
მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება 16; 17; 128; 191
ფორმის დაუცველად დადებული გარიგება 20; 37
გარიგების ფორმა 154
გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას 22

3. უფლების განხორციელება

უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა 23; 32; 51; 55; 117; 191

4. ხანდაზმულობა

ხანდაზმულობის ცნება და სახეები 85; 88
სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა;
ხანდაზმულობის ვადის დაწყება 20; 25; 39; 43; 88
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას 42

5. მფლობელობა

მფლობელობის ცნება 26

6. საკუთრება

საკუთრების უფლების შინაარსი 79;107
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და
ხელშეშლის აღკვეთა 28; 29; 31; 79; 151
შემძენის ინტერესების დაცვა 17
საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე; მოთხოვნის დათმობა 96
რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია 28

7. გირავნობა

გარიგების დადება გირავნობის საგანზე 32

8. იპოთეკა

უძრავი ნივთის მესაკუთრის უფლება,
რომელიც არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი
მოთხოვნის პირადი მოვალე 33

9. სახელშეკრულებო სამართლის ზოგდი დებულებანი; ხელშეკრულების დადება

სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა 63
უძრავი ნივთის გასხვისების წესი 63
შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (წინარე ხელშეკრულება) 35
ხელშეკრულების ფორმა 37
ოფერენტის თანხმობის ვარაუდი 39
ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში 39
ვალის არსებობის აღიარება 42; 90

10. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების ცნება, განმარტება 43

11. ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 45; 46; 56

12. ვალდებულების შესრულება

ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია 64; 74
ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას 47
ფულადი ვალდებულების შესრულების ცნება 191
ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი 83

13. ვალდებულების დარღვევა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას 48; 52
მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის 48
ხელშეკრულების მისადგება შეცვლილი გარემოებებისადმი 72
უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე 46
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას 45; 46

14. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (სარჩოს ოდენობის გაზრდა) 49; 51; 56; 110
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის 52; 54; 55; 56; 184
ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა 49; 55; 56
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 57

15. პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ 58; 59; 121

16. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შესრულების მიღება 60

17. ნასყიდობა; გაცვლა

ელექტროენერგიის ნასყიდობა 61
გაცვლა 63

18. ჩუქება

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა 64
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა 66; 67

19. ქირავნობა

ნივთობრივად უნაკლო ნივთი 68
ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო 68
გაქირავებულ ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება 68

20. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა 69

21. სესხი

სესხის ხელშეკრულების ცნება 22; 64
სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა 22; 70; 71

22. ნარდობა

ნარდობის ცნება 74
მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები 72
ნარდობის ხელშეკრულების მოშლა 73
ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის
საზღაურის გადახდის ვალდებულება 74

23. შუამავლობა

შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება 75

24. დაზღვევა; ამხანაგობა; სამისდღეშიო რჩენა

სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის
არადროულად გადახდის გამო 76
დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 77
ამხანაგობის საერთო ქონება, კრება 140; 155; 156; 157
ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი 171
სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება 67

25. საზიარო უფლებები

წილთა თანაბრობა 78
უფლება ნაყოფზე 79
საზიარო საგნის მართვის წესი; წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე 79; 80; 104
საზიარო უფლების გაუქმება 79; 104
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას 81; 82; 104; 106
საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით 82

26. უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები 66; 83
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები 66; 84; 85; 87
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები 84; 85
სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები 87

27. დელიქტური ვალდებულებანი

დელიქტის ცნება 85; 88
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის 88; 90
პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე
მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის 26

28. ინტელექტუალური სამართალი

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა 91

29. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება
თანასაკუთრების გაყოფისას 93

30. საალიმენტო მოვალეობანი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ;
ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა 94
ალიმენტის ოდენობის შემცირება უფლებამონაცვლეობის დადგენისას 95

31. მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი

სამკვიდრო ქონება 96

32. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეობის შინაარსი, რიგითობა 102; 154
მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განქორწინებისას 97

33. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს მიღების შინაარსი, რიგითობა 98; 102
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება 100; 102

34. სამოქალაქო კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

სამოქალაქო კოდექსის მოქმედება დროში 31; 103
საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე 78; 104; 106; 107

პრივატიზება

საცხოვრებელი ბინის პრივატიზება 109

შრომის სამართალი

1. შრომითი ხელშეკრულების დადება 110; 111

2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 189
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები 111; 113; 114; 115; 117; 189
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი 110; 118; 119; 141; 142

საკორპორაციო სამართალი

საზოგადოების ხელმძღვანელის და პარტნიორის პასუხისმგებლობა 121
მოგების განაწილება 123
საწარმოს ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება 125

გადახდისუუნარობის სამართალი

რეაბლიტიაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ
კუთვნილი ქონების გასხვისება 127

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი

დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი 128

2. უწყებრივი ქვემდებარეობა

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი
დაქვემდებარება სასამართლოებისადმი ... 129; 131; 132

3. პროცესის ხარჯები; საპროცესო ვადები

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის
(4%, ადვოკატის და სხვა ხარჯები) 133; 134
სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო
გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა
და მორიგებისას 136; 168
საპროცესო ვადის გასვლის შედეგები 162

4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება 136
საჯარო შეტყობინება 137

5. მხარეები

არასათანადო მოსარჩელის (მოპასუხის) შეცვლა 125; 155
სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა 102; 155
წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება 138

6. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

მტკიცების ტვირთი 26; 75; 140; 141; 142; 144; 146
მტკიცებულებათა შეფასება 20; 25; 75; 141; 142; 145; 146; 148;149;
153; 154; 157; 165; 166; 174; 177; 191
ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას 151; 174; 175

7. მხარეთა ახსნა-განმარტება

მოსამართლეთა შეკითხვები 153

8. ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტის დასკვნის შემოწმება, შეფასება 20; 154

9. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი 17; 155; 156; 157
შესაგებელი 162; 164

10. სასამართლოს მთავარი სხდომა

მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა 158; 159; 166; 180

11. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა
მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო 159
მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები 162; 164
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 159; 164; 165
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები 159; 166

12. სასამართლო გადაწყვეტილება

საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს
გადაწყვეტილების გამოტანის დროს 168
სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები 123; 128; 175
გადაწყვეტილების შინაარსი 148; 169; 171
გადაწყვეტილების ასლების მხარეებისთვის ჩაბარება 172
დამატებითი გადაწყვეტილება 187

13. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა; საქმის წარმოების შეჩერება

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები 174; 175
სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის წარმოება 180

14. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით 176; 177; 178

15. აპელაცია; საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 172
გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები 128; 158; 162; 179
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები 158; 176; 180
მტკიცებულებათა გამოკვლევა 158

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება
ხელახლა განსახილველად 182; 184

17. კასაციის დასაშვებობა

საკასაციო საჩივრის საფუძვლები 69
გადაწყვეტილების გაუქმების
აბსოლუტური საფუძვლები 156; 171; 186; 187; 189; 190; 191

შემოკლებანი

ადშ – საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ

ბმა – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

ბმაშ – საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ

გსწშ – საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ

იმბ – საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება

მეწშ – საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

მკდ – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

მუხ. – მუხლი, მუხლები

ნოაშ – საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ

რედ. – რედაქცია

საგკო – საქართველოს საგადასახადო კოდექსი

სასკ – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

სზაკ – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

სკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სნშ – საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

სს – სააქციო საზოგადოება

სსამ.კ – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ. რედ.)

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სსსწუ – საქართველოს კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ

სხვ. – სხვა

შკ – საქართველოს შრომის კოდექსი

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლობრივი საძიებელი

ნორმატ. აქტი	მუხლი ან №	გვერდი
ადშ	4	138
ბმაშ	1	157
	4	190
	27	156
გსწშ	1; თავი VI	127
იმბ	146	100
მეწშ	3	121
	8	123
	9	121; 125
მკდ	№107	109
ნოაშ	2; 7	100
საგკო	39	176
	272	121
სასკ	2	129;131;132
	3	131; 132
	26	129; 131; 132
სზაკ	2	129
სკ	3	100
	8	51; 55
	18	15
	19	57
	51	115
	52	39
	54	37; 98; 191
	56	16; 17; 128; 191
	59	20; 34
	69	154
	104	22
	115	23; 32; 51; 55; 117; 191
	128	85; 88
	129	20; 25; 39; 43; 88
	130	25; 88
	144	42
	155	26
	170	79; 107
	172	28; 29; 31; 79; 151
	185	17
	198-199	96
	266	32
	291	33
	312	28
	322-323	63
	327	35
	328	37
	334	39
	338	39
	341	42; 90
	349-350	43
	352	45; 46; 56
	361	64; 74
	382	47
	383	191
	385	83
	394	48; 52
	396	48
	398	72
	399	46
	405	45; 46
	408	49; 51; 56; 110
	411	52; 54; 55; 56; 84
	412	49; 55; 56
	413	57
	420	58;59; 121
	429	60
	465-466	164
	469	164
	477	61
	521	63
	524	64
	530	66; 67
	535-536	68
	545	68
	598	69
	623	22; 64
	624	22; 70; 71
	629	74
	631	72
	636	73
	648	74
	709-710	149
	744	75
	817-818	76
	829	77
	930-940	140; 155; 156; 157; 171
	941	67
	954	78
	955	79
	958	79; 104
	959	80
	961	79; 104
	963	81; 82; 104; 106
	964	82
	976	66; 83
	979	66; 84; 85; 87
	982	84; 85
	991	87
	992	85; 88
	998	88; 90
	1000	26
	1168	93
	1214	94
	1221	95
	1234	94
	1328	96
	1336	102; 154
	1337	154
	1341	97
	1426	100; 102
	1507	31; 103
	1513	78; 104; 106; 107
სნშ	45	91
სსამ.კ	544	47; 98
	547	103
	556	47; 98
სსკ	3-4	128
	11	129; 131; 132
	53	133; 134
	54	136; 168
	63	162
	70-77	136
	78	136; 137
	84	155
	85	125; 155
	86	102; 155
	96	138
	102	26; 75; 140; 141; 142; 144; 146
	105	20; 25; 75; 141; 142; 145; 146; 148; 149; 153; 154; 157; 165; 166; 174; 177; 191
	106	151; 174; 175
	128	153
	171	154
	172	20; 154
	180	17; 155; 156; 157
	201	162
	215	158; 159; 166; 180
	230	159
	232[1]	162; 164
	233	159; 164; 165
	241	159; 166
	244	168
	248	123; 128; 175
	249	148; 169; 171
	259[1]	172
	261	187
	266	174; 175
	279	180
	354	176; 177; 178
	369	172
	377	128; 158; 162; 179
	380	158;176;180
	382	158
	385	182; 184
	393	69
	394	156; 171; 186; 187; 189; 190
სსსწუ	1	148
	6	182
	11	148
შკ	1	111
	2	189
	6	110; 111
	37	111; 113; 114; 115; 117; 189
	38	110; 118; 119;141;142

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

1. პირები

პირადი არაქონებრივი უფლებები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი

იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს, რომლის შელახვის გამო, შესაძლოა, განხილულ იქნეს მხარის პასუხისმგებლობის საკითხი

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1052-1007-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2-02, 31.03.14) გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა, ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-437-14, 04.07.14) გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები იყო ფაქტის შემცველი, რომელთა რეალობასთან შეუსაბამობა დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სადავო განცხადებებით კი, შეილახა მოსარჩელის (იურიდიული პირის) პატივი და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, არსებობდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისებრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი, იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით ჰქონდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა“. ამ თვალსაზრისით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოსარჩელეს საზოგადოებაში შეელახა პატივი, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებელად მიიჩნია.

რაც შეეხება საქმიან რეპუტაციას, უდავოა, რომ აღნიშნული იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს, რომლის შელახვის გამო, შესაძლოა, განხილულ იქნეს მხარის პასუხისმგებლობის საკითხი. სასამართლოს განმარტებით, იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება, დავასკვნათ, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა მაშინ ვლინდება, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს

და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტზე ფორმალურადაც არ მიუთითებია და არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება საქმის მასალებში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზიანის მიყენების ფაქტის შესაბამისი მტკიცებულებებით დაუდასტურებლობა, დიფამაციიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს.

2. გარიგებანი

მოჩვენებითი გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56.1 მუხლი

იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ნების გამოვლენის ნაკლი უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განმარტება საქმეზე № ას-1341-1379-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/2928-13, 24.07.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი, მოჩვენებითი გარიგების, ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/1341-14, 24.07.2013).

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხეთა განმარტება, რომლის მიხედვითაც სადავო გარიგებები შეესაბამებოდა მათ ნებას, რასაც მოჰყვა თითოეულთან მიმართებით კონკრეტული სამართლებრივი შედეგი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპიდან და მსგავსი კატეგორიის საქმებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, მოცემულ დავაზე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ სადავო გარიგებებში უძრავი ნივთებისა და წილების გამსხვისებლები არ წარმოადგენდენ სს ბანკის ძირითად მოვალეებს, ისინი იყვნენ თავდები პირები და, იმის მიუხედავად, რომ ეს გარიგებები გაფორმებული იყო ახლო ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის, მათ კანონიერებაზე მტკიცების ტვირთის მოპასუხეებზე გადატანამდე, მოსარჩელე ბანკს, როგორც მინიმუმ, უნდა დაედასტურებინა, რომ ა) დადგა მოვალის მხრიდან ბანკის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულების დრო; ბ) მოვალე, ფინანსური სიძნელეების თუ სხვა ფაქტორების გამო, არ ასრულებდა ამ ვალდებულებას; გ) მითითებული გარემოებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ თავდები პირები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო გარიგების მოჩვენებითად მისაჩნევად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების

არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. მტკიცების ტვირთის, როგორც საპროცესოსამართლებრივი, ასევე, მატერიალურსამართლებრივი განაწილების პრინციპის მიხედვით, ნების გამოვლენის ნაკლი უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება (კონკრეტულ შემთხვევაში – მოსარჩელემ).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დადგენისა და მატერიალური ნორმის აღწერილობის (ნორმის შემადგენლობა) განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია სასამართლომ სწორად განსაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, ასევე, იმ ფაქტების წრე, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, უდავო ფაქტები, პრეზუმფციები). მართალია, განსახილველ საქმეში სადავო არ იყო ის ფაქტები, თუ როდის დაიდო გარიგებები ან ვის შორის, თუმცა სადავოა ნების გამოვლენის ნამდვილობა. მოპასუხეთა განმარტებით, სადავო გარიგებები შეესაბამება მათ ნებას, რასაც მოჰყვა თითოეულთან მიმართებით კონკრეტული სამართლებრივი შედეგი და გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

გარიგების მოჩვენებითად დადებისათვის შესაძლოა, სასამართლოს მხრიდან შესამოწმებელი იყოს პრეზუმფციები, რომლებიც არ შედის მტკიცების საგანში. ამასთან, პრეზუმფციის გაქარწლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტები იმის შესახებ, თუ როდის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულებები, ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებები, რომ არ შეამოწმა ხომ არ იყო სახეზე პრეზუმირებული ფაქტები. შესაბამისად, საკასაციო პალატამ გარკვეულ მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის ნაწილში მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული საფუძვლების შეფასების მიზნით საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

მოჩვენებითი გარიგება;
შემძენის ინტერესების დაცვა;
აღიარებითი სარჩელი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56.1 მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი

მოჩვენებითი გარიგების გაბათილების შემთხვევაში, გამოირიცხება შემძენის კეთილსინდისიერება, ვინაიდან ამ დროს გამსხვისებელიც და შემძენიც თანმხდებიან იმაზე, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგები, რათა მიღწეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი;

არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვისას, თუნდაც ეს განკარგვა ნამდვილი იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ, ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი შედეგი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-643-611-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/4984-11, 08.06.2012) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ბინათმშენებლობის ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/-3489-12, 24.04.2013). სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 180-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩელი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ იქნებოდა მიიღწეოდა, რადგან მან არ გაასაჩივრა ამხანაგობის კრების ოქმი, რომელიც, პალატის მოსაზრებით, სადავო ბინის მესამე მოპასუხის სახელზე რეგისტრაციის ძირითადი საფუძველი იყო. ეს გარემოება, სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი წინა პირობა იყო.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მეორე და მესამე მოპასუხის კეთილსინდისიერ შემძენებად მიჩნევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამ საკითხზე მსჯელობისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, განმარტა სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო მესამე მოპასუხის სახელზე სადავო ბინის საკუთრებაში აღრიცხვას. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სადავო ბინაზე მესამე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება იყო. ამონაწერში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია, ასევე, ამხანაგობის კრების ოქმი და ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 30.04.2008 წლის ბრძანება. ისინი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობენ სადავო ქონებაზე მესამე მოპასუხის საკუთრების უფლებას. სარჩელითა და მოსარჩელის განმარტებებით, ირკვეოდა, რომ მოსარჩელე სადავო ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილობას მოითხოვდა სკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული საფუძვლით, სადავო გარიგებების ბათილობის საკითხის განხილვისას, უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ პირველმა მოპასუხემ კანონიერი საფუძვლის გარეშე მოიპოვა საკუთრება სადავო ბინაზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, პირველმა მოპასუხემ იცოდა, რომ, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მას მოუწევდა სადავო ბინის უკან დაბრუნება, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მეორე მოპასუხესთან დადებული ჩუქების ხელშეკრულებით, პირველ მოპასუხეს სურდა ამ ქონების გადამალვა მოსარჩელისაგან. ამასთან, ვინაიდან პირველი და მეორე მოპასუხე, სადავო გარიგების დადების დროს, მეუღლეები იყვნენ, ასევე, სავარაუდოა, რომ მეორე მოპასუხემაც იცოდა იმ სამართლებრივი ხარვეზის შესახებ, რაც სადავო ბინაზე პირველი მოპასუხის საკუთრებას გააჩნდა, შესაბამისად, ისიც სავარაუდოა, რომ, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, მეუღლეები მოქმედებდნენ იმ განზრახვით, რომ შეენარჩუნებინათ საკუთრება სადავო ბინაზე, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ, რათა მოსარჩელეს შექმნოდა სამართლებრივი დაბრკოლება სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლების განხორციელებაში.

ასეთივე ვარაუდი მოქმედებს მეორე და მესამე მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართაც, ვინაიდან მეორე და მესამე მოპასუხე დედა-შვილი, ხოლო პირველი და მესამე მოპასუხე მამა-შვილია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული პრეზუმირებული ფაქტები ქმნიან სადავო გარიგებების მოსაჩვენებლად დადების ვარაუდს, რაც, სკ-ის 56.1 მუხლის მიხედვით, ამ გარიგებების ბათილობის საფუძველია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ დაშვებული ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი მოპასუხეებს ეკისრებათ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გარიგებების ნამდვილობასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებებზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, შემოიფარგლა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზოგადი მითითებით, ისე, რომ არ დაუდგენია სადავო საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა საკასაციო სასამართლოს, შეეფასებინა სადავო გარიგებების ნამდვილობის საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ მეორე და მესამე მოპასუხე კეთილსინდისიერ შემძენებად მიიჩნია, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გამორიცხავს მათგან ქონების გამოთხოვას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პირველ და მეორე მოპასუხეს შორის დადებულია ჩუქების ხელშეკრულება, ანუ უსასყიდლო გარიგება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 185-ე მუხლში განმტკიცებული დებულება გათვალისწინებულია სასყიდლიანი გარიგებებისათვის, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების, როგორც უსასყიდლო გარიგების, მხარეს ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული შემძენის კეთილსინდისიერების ინსტიტუტი არ იცავს. ეს განპირობებულია იმით, რომ სასყიდლიანი განკარგვისაგან განსხვავებით, უსასყიდლო განკარგვა სამართლებრივი დაცვის უფრო ნაკლები ხარისხით გამოირჩევა, ამიტომ არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვისას, თუნდაც ეს განკარგვა ნამდვილი იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ, ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი შედეგი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს (სკ-ის 990.1 მუხლი).

მესამე მოპასუხის კეთილსინდისიერების საკითხის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოსარჩელე მოითხოვდა სკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე. ამ საფუძვლით გარიგების გაბათილების შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოირიცხება შემძენის კეთილსინდისიერება, ვინაიდან ამ დროს გამსხვისებელიც და შემძენიც თანმხდებიან იმაზე, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგები, რათა მიღწეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია სკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე, მაშინ მესამე მოპასუხისგან სადავო ბინის გამოთხოვა შესაძლებელია სკ-ის 991-ე მუხლის მიხედვით, ხოლო, თუ მითითებული ხელშეკრულების მოსაჩვენებლად დადების ფაქტი ვერ დადგინდება და, ამასთან, შემძენი კეთილსინდისიერია, მაშინ მისგან სადავო ბინა ვერ იქნება გამოთხოვილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ფორმის დაუცველად დადებული გარიგება;
სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა;
მტკიცებულებათა შეფასება;
ექსპერტის დასკვნის შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი

შეცილების, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობა მეორე მხარის მიერ მის შეცნობასთანაა დაკავშირებული, ამასთან, სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის, გამოვლენილი უნდა იყოს სამართლებრივად ნამდვილი შეცილება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, თუ ვინ წარმოადგენს შეცილების უფლების სუბიექტს – უშუალოდ ნების გამომვლენი თუ სხვა პირი;

სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობაზე მითითება წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს და ასეთის არსებობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, ამ კუთხით დაადგინოს ფაქტები;

ექსპერტიზის დასკვნა დასაშვები მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლზომიერებას. ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე № ას-423-400-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/371-13, 14.10.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ნოტარიულად გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-955-13, 25.02.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელემ (აპელანტმა) სარჩელი დაასაფუძნა იმ გარემოებას, რომ სადავო გარიგება ბათილი იყო, რადგან მასზე არ იყო მოპასუხის ნამდვილი ხელმოწერა, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით. მოპასუხეს ამ დასკვნის საწინააღმდეგო უტყუარი მტკიცებულება (გარდა საკუთარი დაუსაბუთებელი ახსნა-განმარტებისა, რომ ავადმყოფობის გამო შეეცვალა ხელმოწერის სტილი) არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატის შეფასებით, სადავო გარიგება უცილოდ ბათილ (ფორმის დაუცველად დადებულ) გარიგებას წარმოადგენდა, რამდენადაც დარღვეული იყო ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი სკ-ის 59-ე და 183-ე მუხლები, ასევე, საქართველოს

იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს №321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლით დადგენილი გარიგების დადების წესი, რადგანაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სადავო ხელშეკრულებაზე შემძენის ხელმოწერა მოპასუხეს არ ეკუთვნოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ნასყიდობის სადავო ხელშეკრულება ფორმის თვალსაზრისით კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ფორმალურად სრულად აკმაყოფილებდა, ამდენად, ეს არ იყო იმგვარი კლასიკური შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა უალტერნატივოდ დამტკიცებულიყო გარიგების მხარის ხელმოწერის არარსებობა და ეს გარემოება შეიძლებოდა მხოლოდ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შეფასებით დადგენილიყო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსპერტიზის დასკვნა დასაშვები მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებდა აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლზომიერებას. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით.

სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საცილო გარიგებების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განიმარტოს შეცილების ინსტიტუტის თავისებურებაც. კანონი შეცილების უფლებას განსაზღვრულ დროის ჩარჩოებში აქცევს, რომელთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათის ქმედება უდევს საფუძვლად საცილო გარიგების დადებას (სკ-ის 79.1, 84-ე, 89-ე მუხლები). შეცილების, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობა მეორე მხარის მიერ მის შეცნობასთანაა დაკავშირებული, ამასთან, სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის, უნდა არსებობდეს სამართლებრივად ნამდვილი შეცილება. სკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება დაინტერესებულ პირზე სწორედ შეცილების ნამდვილობას განსაზღვრავს და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს შეცილების უფლების სუბიექტს წარმოადგენს უშუალოდ ნების გამომვლენი თუ სხვა პირი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა მსჯელობას იმის თაობაზე, გამყიდველი წარმოადგენს თუ არა განსახილველი ნორმის (სკ-ის 59.3 მუხლი) მიზნებისათვის მყიდველის მიერ გამოვლენილი ნების შეცილებაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მისი ნების საწინააღმდეგოდ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობით უძრავ ქონებასთან მიმართებით მოსარჩელის უფლებრივი მდგომაროების აღდგენაა. ეს გარემოება კი, განაპირობებს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას.

სკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობაზე მითითება წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს და ასეთის არსებობის შემთხვევაში (რაც სახეზეა) სასამართლო ვალდებულია ამ კუთხით დაადგინოს ფაქტები. ამასთანავე, რადგანაც განსახილველი დავა უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელდეს სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე

მუხლის მე-3 ნაწილითა და 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები, რამდენადაც სააპელაციო პალატის მხრიდან დარღვეული იყო ამავე კოდექსის 105-ე მუხლითა და 249-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნები, ამასთან, საქმის გარემოებების სწორად დადგენისათვის საჭირო იყო მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლები

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული ურთიერთობები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-570-541-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4866-14, 06.04.15), თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/3875-14, 25.06.14) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა შუამავლის მეშვეობით და, ვინაიდან, მოვალემ შუამავალთან სესხის დაფარვით შეასრულა ვალდებულება კრედიტორის მიმართ, მოთხოვნის უფლება სკ-ის 104-ე მუხლის საფუძველზე შეწყდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 104-ე მუხლი არ გამოიყენა ამავე კოდექსის 373-ე, 623-ე და 624-ე მუხლების კონტექსტში, რამაც განაპირობა ნორმის არასწორი განმარტება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველი ნორმა ითვალისწინებს ზოგადად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გარიგების დადების მატერიალურ სამართლებრივ შესაძლებლობას და განსაზღვრავს მორიგებით დამდგარი იურიდიული შედეგის ადრესატს. მაგრამ, ამ ნორმის განმარტებისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული ურთიერთობები. ამ შემთხვევაში კი, გასათვალისწინებელია სასესხო ვალდებულების შესრულების თავისებურებანი, რომლებიც ვლინდება ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში. ამდენად, განსახილველი ნორმა უნდა განიმარტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების თაობაზე შეთანხმების კონტექსტით, ასევე, სკ-ის 623-ე და 624-ე მუხლებთან ერთობლივად. კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც სამართლის ნორმით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი კომპონენტია, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება რაიმე მითითებას წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით გარიგების გაფორმებასა და ვალდებულების ამავე წესით შესრულებაზე არ შეიცავს, ვალდებულების შესრულების ნამდვილობის დასადასტურებლად არ არის საკმარისი შუამავლის მიერ თანხის მიღება, დადასტურების შემთხვევაშიც კი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება.

3. უფლების განხორციელება

უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას; დაუშვებელია უფლების გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1338-1376-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/7130-13, 17.10.2013) არ დაკამყოფილდა სარჩელი ზიანის ანაზღურების შესახებ, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/6464-13, 28.10.2014).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოსარჩელეთა განმარტებით, ბანკის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება გამოიხატა იმაში, რომ მან რეაგირება არ მოახდინა ბანკის ქუთაისის ფილიალის წერილზე, რომლითაც ბანკი კისრულობდა ვალდებულებას, სრულად დაეფარა მოსარჩელის დავალიანება, რასაც შედეგად მოჰყვა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების აუქციონზე რეალიზაცია და მოსარჩელეებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მოსარჩელეები სასარჩელო მოთხოვნას ამყარებენ სწორედ ზემოაღნიშნულ წერილზე, რომელსაც აფასებდნენ, როგორც საგარანტიო წერილს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბანკის ქუთაისის ფილიალის წერილი არ წარმოადგენდა საბანკო გარანტიას. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს ჰქონდა უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება, რაც ვერ შეფასდებოდა უფლების ბოროტად გამოყენებად. პალატის მითითებით, ბანკის მიერ თავისი მოთხოვნის კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში რეალიზება არ შეიძლება შეფასდეს მარტოოდენ მსესხებლისათვის ზიანის მიყენების მიზნით განხორციელებულ ქმედებად. იმის მტკიცებულება, რომ ბანკი ცდილობდა მარტოოდენ მსესხებლისათვის ზიანის მიყენებას, საქმეში წარმოდგენილი არ იყო. უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული აპელანტის მითითება კრედიტორის არაკეთილსინდისიერებაზეც.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბანკის წერილის შინაარსით ერთმნიშვნელოვნად ვლინდებოდა ერთი საკრედიტო დაწესებულების (ბანკის) მზადყოფნა, სრულად დაფარულიყო მეორე საკრედიტო დაწესებულების (მოპასუხის) მიმართ მოსარჩელის არსებული დავალიანება. ამავე წერილით კრედიტორს ეცნობა, რომ ინტერესის სფეროში შედიოდა მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანივთო ვალდებულებისაგან განთავისუფლება, პრაქტიკულად, მისი რეალიზაციის თავიდან აცილება. ბანკი მიზნად ისახავდა მოპასუხის წინაშე მოსარჩელის ფულადი ვალდებულების შესრულებასა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო

ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

კეთილსინდისიერების ფუნქციებიდან გამომდინარობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია, უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

მოპასუხის ქმედება იმით იყო მოტივირებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემობების არსებობას, რაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ ის ვითარება, რომ მესამე პირმა კრედიტორს შესთავაზა დავალიანების სრულად დაფარვა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატის მითითებით, საქმის გარემოებათა ერთობლივად შეფასებით ბანკის ქმედება არ იქნა მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რადგან ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულება იყო და იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით შესთავაზეს, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის, თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა, გულისხმიერება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაზე ხელსაყრელი და ამავდროულად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცის უფლება. იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით. საქმეზე დადგენილმა კონკრეტულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა საკასაციო პალატას ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველი შეუქმნა, რომ მოპასუხის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც სკ-ის 115-ე მუხლს ეწინააღმდეგება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

4. ხანდაზმულობა

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა და ხანდაზმულობის ვადის დაწყება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

ხანდაზმულობის ვადა შეადგეს 3 წელს, რომელიც იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე № ას-1219-1160-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/16195-13, 14.03.2014), ხანდაზმულობაზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა სარჩელი სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების შესახებ. გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებით (საქმე №2ბ/2753-14, 10.10.2014) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქალაქო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 131-ე და 129-ე მუხლებით და მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, დაასკვნა, რომ სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შესახებ, არ იყო ხანდაზმული, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შეწყდა 2011 წლის იანვარში. შესაბამისად, სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადის დენაც დაიწყო ამავე პერიოდიდან, ხოლო მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2013 წლის 07 ნოემბერს, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დაცვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, მოსარჩელეს (გამსესხებელს) შეეძლო, ნებისმიერ დროს მოეთხოვა ვალის დაბრუნება მოვალისაგან ანუ მსესხებლისაგან დამოუკიდებლად განესაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა (სკ-ის მ. 62) და ამ უფლებით მან ისარგებლა სესხის მოვალისათვის სრულად გადაცემიდან – 2009 წლის დეკემბრიდან 6 თვის გასვლისთანავე და 2010 წლის ივნისში მოსთხოვა მოპასუხეს ძირითადი თანხის დაბრუნება, ხოლო სარგებელი კი, სადავოდ არ გაუხდია.

სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელემ ხელ-

შეკრულება შეწყვიტა სესხის სრულად გადაცემიდან – 2009 წლის დეკემბრიდან 6 თვის გასვლისთანავე, ანუ 2010 წლის ივნისში და ამ დროიდან მოსთხოვა მოპასუხეს ძირითადი თანხის დაბრუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული გადაწვეტილების დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით, არ გამომდინარეობს სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით საქმის მასალების სწორი შეფასებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ნაწილში, მხარემ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის – მხარეთა ახსნა-განმარტება და იმსჯელოს მოთხოვნის წარმოშობის დროზე და შეაფასოს სარჩელის ხანდაზმულობა სესხის ძირითადი თანხის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო ამის შემდგომ კი, შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა.

5. მფლობელობა

მფლობელობის ცნება;

პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის;

მტკიცების ტვირთი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

ნივთის მფლობელობისათვის არაა აუცილებელი, რომ ნება მიმართული იყოს ქონების საკუთრებად ფლობისკენ. ასეთ შემთხვევაში მფლობელი აუცილებლად მესაკუთრეც უნდა ყოფილიყო. მფლობელობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული უნდა იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე.ი. მას უნდა სურდეს, რომ იყოს მფლობელი

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-668-635-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/868-12, 21.11.2012) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომლის მოპასუხეებიც იყვნენ სს „თ-სი“, სს „ს-ოს რ-ზა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სასამართლომ მიუთითა სკ-ის 408-ე, 413.2-ე და 992-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სახეზე იყო დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები. სასამართლომ ასევე მიუთითა სკ-ის მე-1000 მუხლის პირველი ნაწილზეც და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში მოსარჩელის მიერ მითითებულ მოპასუხეთა წრიდან არ იკვეთებოდა სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგუ-

რის მფლობელი, თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ზიანი მიადგა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მომეტებული საფრთხის წყაროზე კონტროლის განხორციელება იყო შეუძლებელი, არამედ – სს ,,თ-ის„ გაუფრთხილებელი ქმედებითაც, ამიტომ მითითებულ მოპასუხეთა წრიდან ზიანისთვის პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენდა მხოლოდ სს „თ-ი“. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 85-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სს „ს-ოს რ-ა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენდნენ არასათანადო მოპასუხეებს, შესაბამისად, მათ მიმართ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. გადაწყვეტილება გასაჩივრდა მოსარჩელისა და სს „თ-ის“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით (საქმე №2ბ/05-13, 08.05.2013) მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის მე-1000 მუხლზე და განმარტა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს პრაქტიკული განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეკისრება იმ ნაგებობის მფლობელს, რომელშიც მოთავსებულია მომეტებული საფრთხის გამომწვევი ნივთიერებანი. ნაგებობის მფლობელი შეიძლება არც იყოს ზიანის უშუალო მიმყენებელი. მომეტებული საფრთხის წყაროს შემცველი ნაგებობის ფლობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ელექტროქვესადგურის მფლობელის ვინაობა არ დაუდგენია, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა მოპასუხეს დააკისრა და განმარტა, რომ აღნიშნული განპირობებული (,,გამართლებული„) იყო იმ გარემოებით, რომ მოპასუხის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე ეფუძნებოდა სკ-ის 992-ე მუხლს, კერძოდ, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამომდინარეობდა მოპასუხის გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც გამოიხატა წინდახედულობისა და უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით, დამცავი ნაგებობის გარეშე დარჩენილ ტრანსფორმატორში მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გატარებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოპასუხე არ წარმოადგენდა მომეტებული საფრთხის წყაროს (სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის) მფლობელს, ვინაიდან მას ეს ნაგებობა სახელმწიფოსაგან არც საკუთრებაში და არც ბალანსზე არ გადასცემია და მიუთითა სკ-ის 155-ე მუხლზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მფლობელობის კოდექსისეული ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება: პირველი – ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობასა და მეორე – ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება. არაა აუცილებელი, რომ ნება მიმართული იყოს ქონების საკუთრებად ფლობისაკენ. ასე რომ იყოს, მფლობელი აუცილებლად მესაკუთრეც უნდა ყოფილიყო. მთავარია, რომ მფლობელობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე. ი. მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის მიმართ მოპასუხის მესაკუთრეობის ფაქტი ვერ დგინდება, არ გამორიცხავს ამ ნაგებობაზე მის მფლობელობას. ქონების ექსპლუატაცია ან მისი სხვა ფორმით გამოყენება წარმოადგენს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტიპიურ ფორმას. ნივთით სარგებლობა უშუალოდ არის დაკავშირებული ნივთის ფლობასთან და ხშირ შემთხვევაში მოსარგებლე და მფლობელი ერთი და იგივეა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, თუ რატომ არ ჩათვალა მოპასუხე, როგორც ელექტროქვესადგურის მოსარგებლე და ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირი, ამ ქონების მფლობელად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია არა სადავო ელექტროქვესადგურის ყოფილი ან მომავალი მესაკუთრის ან ბალანსის მფლობელის დადგენა, არამედ, იმის გარკვევა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ზიანზე, როდესაც მომეტებული საფრთხის წყაროს (ნაგებობის ან ნივთის) მესაკუთრე არ იკვეთება ან მას საერთოდ არა აქვს აღნიშნული ქონების დაცვისა და შენახვის ინტერესი და ენერგოგამანაწილებელი კომპანია ახდენს ამ ქონების ექსპლუატაციას და სარგებლობს მისით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, ქვესადგურის მეშვეობით ელექტროენერგიის გატარება საცალო აბონენტამდე და, შესაბამისად, ამ ნივთით სარგებლობა წარმოადგენდა თუ არა მოპასუხის მხრიდან მის ფლობას, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როცა ეს არ ხორციელდებოდა იმ პირთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს ვარაუდით, შესაძლებელია, ყოფილიყვნენ ნივთის მფლობელები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ დავაში მნიშვნელოვანია მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებაც. მოსარჩელე განმარტავს, რომ მას ზიანი მიადგა მოპასუხის მფლობელობაში არსებული ელექტროქვესადგურიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის პრაქტიკული განხორციელების შედეგად და უთითებს უდავო ფაქტზე, რომ ამ ქვესადგურით სარგებლობს მოპასუხე. აქედან გამომდინარე, საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

6. საკუთრება

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი

ერთი და იგივე უძრავ ნივთზე ორი ჩანაწერის კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. როდესაც ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს, ე. ი. როდესაც უძრავ ნივთზე არსებობს მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ჩანაწერი, მაშინ იმ პირს, რომლის სარეგისტრაციო ჩანაწერი გაუქმებულია ახალი სარეგისტრაციო ჩანაწერით, შეუძლია დაიბრუნოს საკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სადავოდ გახდის ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლის საფუძველს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-463-439-2012 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1051-07, 22.04.2009წ) არ დაკმაყოფილდა სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ზიანის ანაზღაურებისა და სარდაფის პირვანდელი სახით აღდგენის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/3448-11, 21.02.2012წ). სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 172-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ნივთის არამართლზომიერი მფლობელობა,

ასევე, მიუთითა სკ-ის 312-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც სადავო ნივთზე ფიქსირდებოდა მოპასუხის საკუთრებაც.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულება, კერძოდ, არ გამოურკვევია, განახორციელა თუ არა მოსარჩელემ სადავო ნივთის მის სახელზე რეგისტრაცია ტექბიუროში 2002 წლამდე, ანუ მოპასუხის საკუთრებაში ამავე სარდაფის საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელისა და მოპასუხის საკუთრების უფლებათა რეგისტრაციის რიგითობის საკითხის გარკვევისას, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, გამოეკვლია ზემოხსენებული წერილი და თავისი მოსაზრებები ამ წერილის შეფასების თაობაზე აესახა გასაჩივრებულ განჩინებაში.

საკასაციო პალატამ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასა და მოპასუხის საკუთრებაში უძრავ ქონებას შორის არსებობს ზედდება, ანუ ერთსა და იმავე უძრავ ნივთზე ორი სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია ორი მესაკუთრე, შესაბამისად, სახეზეა ერთსა და იმავე ობიექტზე ორი ჩანაწერის კონკურენცია, რომლის პირობებშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, ვინაიდან მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სარდაფზე მოპასუხის საკუთრების უფლების საფუძველი, ამიტომ ამ უკანასკნელის მფლობელობიდან სადავო ნივთის გამოთხოვა დაუშვებელია. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, როდესაც უძრავ ნივთზე არსებობს მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ჩანაწერი, ასეთ დროს იმ პირს, რომლის სარეგისტრაციო ჩანაწერი გაუქმებულია ახალი სარეგისტრაციო ჩანაწერით, შეუძლია დაიბრუნოს საკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სადავოდ გახდის ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლის საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ დაუკარგავს, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერები დუბლირებულია, რა დროსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო ადრე რეგისტრირებულ უფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ვითარებას, როდესაც საჯარო რეესტრში ქრონოლოგიურად უფრო ადრე რეგისტრირებულ პირს საკუთრების უფლება ფაქტობრივად ჩამორთმეული ექნება, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქონების ფლობის სამართლებრივი უფლება ფორმალურად პირველად მესაკუთრეს რჩება, მისით სარგებლობა შეუძლებელი იქნება. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

საჯარო რეესტრის ბაზაში, როდესაც გამოვლინდება ზედდება, ეს არ ნიშნავს, რომ პირი იურიდიულად კარგავს საკუთრებას. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირი სამარ-

თლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს ნივთს და ნამდვილი მესაკუთრე უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-130-124-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: შ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ-ის, ა-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 17 სექტემბერს ა-სა და მ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების განხორციელება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-227, 18.09.2012) სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/ბ-1196, 18.12.2012). სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 170-ე ად 172-ე მუხლების პირველი ნაწილებით და განმარტა, რომ არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. სკ-ის 183-ე, 311-ე მუხლების, 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სადავო ქონება რეგისტრირებული იყო მ-ის საკუთრებად, ხოლო მოსაპუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილი იყო.

სკ-ის 50-ე, 54-ე, 56-ე , 183-ე და 185-ე მუხელბზე დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ სადავო გარიგება არ ეწინააღმდეგებოდა უძრავი ქონების გასხვისების შესახებ სკ-ით დადგენილ წესს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებისადმი საჯარო ნდობის პრინციპი მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის ფაქტი, რომ 2008 წლის 14 მაისის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მოსარჩელემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფ-ში მიიღო 500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, რაც 14.05.08 წელს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, იმავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2008 წლის 30 მაისს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე ა-ს საკუთრებაში გადაეცა 2415.8 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც 30.05.2008 წელს დარეგისტრირდა მის სახელზე. დადგენილია, რომ ეს ნაკვეთი მოსარჩელის კუთვნილ 500 კვ.მ-საც მოიცავდა. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ა-მ კუთვნილი ნაკვეთი მ-ს მიჰყიდა. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ა-ს სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა 500 კვ.მ ნაწილში, ასევე ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის შესაბამისი ჩანაწერი. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ა-მ საკუთრების უფლება დაიდგინა არა სახელმწიფოს კუთვნილ, არამედ მოსარჩელის კუთვნილ 500 კვ.მ ნაკვეთზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის, როგორც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, ასევე, მის საფუძველზე შესრულებული სარეგისტრაციო ჩანაწერი განხორციელებულია უფრო ადრე ვიდრე მოპასუხეების. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ მოსარჩელემ, მიუხედავად ზედდებისა, იურიდიულად დაკარგოს საკუთრება. იმ გარემოების გათვალისწინე-

ბით, რომ მოსარჩელე სადავო 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რჩებოდა როგორც ხელშეკრულების გაფორმებისას, ისე, ამჟამად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთი არ ყოფილა. ნასყიდობის საგანია ა-ს კუთვნილი უძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან ნასყიდობის საგანი არ ყოფილა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მ. მას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა. შესაბამისად, მესაკუთრეს შეეძლო სკ-ის 172.1 მუხლის ძალით მოეთხოვა მფლობელისთვის ნივთის უკან დაბრუნება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა;

სამოქალაქო კოდექსის მოქმედება დროში

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი

დაუშვებელია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის გავრცელება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილია და დასრულებულია ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თავისუფლების პრინციპის (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების) გავრცელება ამ კოდექსის ამოქმედებამდე საკუთრების შეზღუდვის შესახებ დადგენილი ფაქტების მიმართ და მისი კანონიერების ხელახლა განხილვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს;

ბინაზე მფლობელობის ჩამორთმევა შეუძლებელია, როდესაც კანონიერ მფლობელებს ბინით სარგებლობის უფლება მუდმივად ჰქონდათ მოპოვებული ძველი კანონმდებლობით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-483-457-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/6564-13, 18.03.14) უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/7849-13, 29.10.13), რითაც სარჩელი უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა. სასამართლომ, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხეებს – მესაკუთრის ყოფილ რძალსა და მის არასრულწლოვან შვილებს, აღარ გააჩნდათ სადავო უძრავი ქონების ფლობის მართლზომიერი საფუძველი. მათ ეს უფლება მოპოვებული ჰქონდათ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ დრომდე, ვიდრე მოპასუხის შვილები სრულწლოვნები გახდებოდნენ, რადგან მათი შესახლების მომენტში მოქმედი საბინაო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, მესაკუთრის ოჯახის წევრებს უფლება ჰქონდათ, მათთვის გამოყოფილ სადგომში ჩაესახლებინათ არასრულწლოვანი შვილები, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ კი, სადავო ფართის ფლობისათვის მათ მესაკუთრის თანხმობა სჭირდებოდათ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სკ-ის 1507-ე მუხლი და აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხემ ორ შვილთან ერთად მუდ-

მივად მოიპოვა სადავო ფართით სარგებლობის უფლება, რასაც ითვალისწინებდა იმ დროს მოქმედი „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ 62-ე და 141-ე მუხლები. დაუშვებელია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის გავრცელება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილია და დასრულებულია ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თავისუფლების პრინციპის (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების) გავრცელება ამ კოდექსის ამოქმედებამდე საკუთრების შეზღუდვის შესახებ დადგენილი ფაქტების მიმართ და მისი კანონიერების (ე.ი. საკუთრების ბოჭვის) ხელახლა განხილვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების სოციალური ფუნქციის გათვალისწინებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. როგორი შედეგიც არ უნდა დადგეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად მოქმედი სკ-ის 170-ე მუხლი, ადრე მოქმედი სსამ.კ-ის (1964 წლის რედ.) და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისგან (1983 წლის რედ.) განსხვავებულ საკუთრების ინსტიტუტს იცნობს, კერძოდ, საკუთრებას, როგორც სამართლებრივი წესრიგით შექმნილ ფასეულობას, გააჩნია განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, რასაც არ იცნობდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა. რადგან მოპასუხეებს სადავო ბინით სარგებლობის უფლება მუდმივად ჰქონდათ მოპოვებული იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით და მართლზომიერ მფლობელებს წარმოადგენდნენ, არ შეიძლებოდა მათთვის მფლობელობის ჩამორთმევა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

7. გირავნობა

გარიგების დადება გირავნობის საგანზე; უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

დამგირავებელსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მოგირავნის თანხმობაზე, ამავდროულად, მოგირავნეს წარმოეშობა საკუთარი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება გირავნობის საგნიდან

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განმარტება საქმეზე № ას-1296-1223-2012 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2-ბ/550. 20.06.12.) უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1992-2011, 09.03.12), რითაც მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო ნამდვილი და კრედიტორს მოთხოვნის უფლება არ დაუკარგავს. მართალია, მოვალემ გაასხვისა დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული ქონება, მაგრამ, რადგან მოთხოვნის უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული ხელშეკრულებების მონაწილეთა შეცვლაზე, ჩგირავნობისა და იპოთეკის საგნის გასხვისება ვერ შეფასდებოდა მართლსაწინააღმდეგო

მოქმედებად და ზიანის მიმყენებელ ქმედებად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სკ-ის 99-ე მუხლი, უნდა გამოეყენებინა სკ-ის 266-ე და 115-ე მუხლები და განმარტა, რომ სკ-ის 266-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამგირავებელსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მოგირავნის თანხმობაზე, ამავდროულად, მოგირავნეს წარმოეშობა საკუთარი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება გირავნობის საგნიდან. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ გირავნობის საგანი მოსარჩელის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისა, ამ უკანასკნელს გირავნობის საგნიდან მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება წარმოეშვა, მაგრამ, ვინაიდან ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევით მისი გირავნობა გაუქმდა, ეს მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა, რის შედეგადაც მხარეს მიადგა ზიანი. სკ-ის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. გამოირკვა, რომ მოპასუხემ სადავო ქონება გადასცა მასთან დაკავშირებულ საწარმოს ისეთ პირობებში, როდესაც ამ ქონებაზე მოსარჩელის სასარგებლოდ დაწყებული იყო აღსრულება, ხოლო მეორე მოპასუხეს სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა შეუსრულებელი ვალდებულება. ამდენად, მოპასუხის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ჰქონდა ადგილი, ამასთან, სახეზეა მოპასუხეთა ურთიერთდაკავშირებული ინტერესები და ერთობლივი მოქმედება. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და თავისი გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.

8. იპოთეკა

უძრავი ნივთის მესაკუთრის უფლება, რომელიც არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლი

კანონი იცავს იპოთეკით უზურნველყოფილი მოთხოვნის არაპირადი მოვალის უფლებას და მას ანიჭებს უფლებას, რომ იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-737-699-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ, მორიგების პირობის დარღვევის გამო, სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაცია, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა (31.01.2014, საქმე №2/15736-13) და გასაჩივრდა აპელაციის წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის განჩინებით (საქმე №2ბ/2664-14) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 და 2007 იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე მოვალეებმა კრედიტორის წინაშე აღებული საკრედიტო ვალდებულებები უზრუნველყვეს. იპოთეკის ხელშეკრულებების ხანდაზმულობის საკითხის შესაფასებლად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა დადგენილიყო,

ხანდაზმული იყო თუ არა ძირითადი ვალდებულება კრედიტორის მიმართ, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოიშვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი მოვალეების ვალდებულების ხანდაზმულობაზე მითითება მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძველს, ვინაიდან, დადგენილი და უდავო იყო ის გარემოება, რომ კრედიტორმა კანონით დადგენილ ვადაში გამოავლინა ნება ძირითად მოვალეებთან მიმართებით. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 თებერვლის განჩინების შესაბამისად, ძირითადი მოვალეების მიერ აღიარებული იყო 2006 წლისა და 2007 წლის საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები და მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ძირითადი (უზრუნველყოფილი) ვალდებულება არ იყო ხანდაზმული, იპოთეკის ხელშეკრულების ხანდაზმულობაზე მითითება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა და დასკვნები და განმარტა, რომ 2010 წელს კრედიტორმა, სარჩელის აღძვრით, შეწყვიტა რა 2006 და 2007 წლებში პირად მოვალეებთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებები, შესაბამისად, შეწყდა მათი თანამდევი ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე, კასატორის უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ბანკის პირადი მოვალეებისადმი კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი იყო არა საკრედიტო ხელშეკრულებები, არამედ მათგან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნები მოვალეებისადმი. კანონი იცავს იპოთეკით უზურნველყოფილი მოთხოვნის არაპირადი მოვალის უფლებას, როდესაც მას მაინც ანიჭებს უფლებას, რომ იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, განსაკუთრებით ესაა შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო (სკ-ის 291-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კრედიტორის მიერ მხოლოდ პირად მოვალეთა და არა ე.წ. „სანივთო მესაკუთრის“ (იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრის) წინააღმდეგ 2010 წლის აღძრულ სარჩელზე და ამ დავის შედეგად, მისი მონაწილე მხარეების მორიგებაზე.

2010 წლის სადავო სამართალურთიერთობის მხარეებმა ახალი შეთანხმება დადეს, რომელიც სასამართლოს 2011 წლის განჩინებით დამტკიცდა, ისინი შეთანხმდნენ ახალ პირობებსა და გადახდის გრაფიკზე, ამასთან, ახალი გარიგებით, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებების მოცულობა განსხვავდებოდა 2006 და 2007 წლების საკრედიტო ხელშეკრულებებით შეთანხმებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების პირობებისაგან, მაშინ, როდესაც კასატორმა თანხმობა განაცხადა, საკუთარი უძრავი ქონება დაეტვირთა კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: იმის გათვალისწინებით, რომ 2011 წლის მორიგების აქტით, სადავო სამართალურთიერთობა დასრულდა მისი მონაწილე მხარეების ურთიერთშეთანხმებით, რაც, თავისი არსით, ახალი გარიგებაა, რომელიც ურთიერთდათმობის, მხარეთა კომპრომისის შედეგად მიიღწევა და ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და ამით წყდება საქმის წარმოება. მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებას გააჩნია კანონიერი ძალა (სსკ-ის 265-ე მუხლი), რომელიც ვრცელდება მხოლოდ მის მონაწილე მხარეებზე. განსახილველ შემთხვევაში, 2011 წ. შეთანხმების მიღწევამდე, კრედიტორს, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სასარჩელო წარმოებისას, მოპასუხეთა მხარეს, სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის საფუძვლით (სსკ-ის 86-ე, 87-ე მუხლები) უნდა ჩაერთო განსახილველ დავაში კასატორი – ბანკის არაპირადი მოვალე, რომლის ქონებითაც იყო უზრუნველყოფილი გამსესხებლის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კრედიტორმა 2010 წელს აღძრული სარჩელით თავადვე განსაზღვრა მოპასუხეთა წრე, რომლებიც ვალდებული იყვნენ გამსესხებლის წინაშე, ამ უკანასკნელს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრე (კასატორი) არ დაუსახელებია პროცესუალურ მოწინააღმდეგედ, რამაც გამორიცხა კასატორის მონაწილეობა დავაში და შემდეგ მხარეთა ახალ შეთანხმებაში, შესაბამისად, მისი ნება არ გამოვლენილა მოდავე მხარეთა შორის ახალ პირობებზე შეთანხმებისას. კასატორისთვის უცნობი იყო კრედიტორის მიერ ინიცირებული დავა და ბუნებრივია, მისი თანამდევი შედეგებიც, მათ შორის, ბანკში პირად მოვალეთა ვალდებულებების მოცულობის, შესრულების (შეუსრულებლობის) შესახებ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის 2011 წლის 3 თებერვალს დადებული ახალი შეთანხმების მონაწილე არ ყოფილა კასატორი, რის გამოც იგი, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრე, რომელიც არ არის პირადი მოვალე, მაგრამ აქცესორული ვალდებულების მატარებელია, აღარ იყო დამოკიდებული, მეტიც, კრედიტორის ნებით, გამოეთიშა იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირად მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც კასატორს (აპელანტი) უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა კასატორის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციზე.

9. ხელშეკრულების დადება

შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (წინარე ხელშეკრულება)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327.3 მუხლი

წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან, თუმცა წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-661-628-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/14866-12, 10.04.2013) არ დაკმაყოფილდა ძირითადი და შეგებებული სარჩელები, რაც მხარეთა მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/3069-13, 22.04.2014) ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარ-

ჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მიწის ნაკვეთის სამხრეთი ფერდობიდან 3000 კვ.მ მეაკუთრედ აღიარებულ იქნა მოსარჩელის საკუთრების უფლება, სანაცვლოდ, № – მიწის ნაკვეთზე კი – აღიარებულ იქნა მოპასუხის საკუთრების უფლება, მოსარჩელეს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის წარდგენილი საკადასტრო ა(ა)ზომვითი ნახაზით გამიჯვნის, ასევე, ზიანის ანაზღაურებისა და ბეს ორმაგი დაბრუნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი მხარეთა შორის 2011 წელს გაფორმებული შეთანხმებისა და ამ შეთანხმების საფუძველზე 2012 წელს გაფორმებული გაცვლის ხელშეკრულების, როგორც იძულებით დადებული გარიგებების ბათილად ცნობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ააიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ 2012 წლის შეთანხმებით (წინარე ხელშეკრულებით) განსაზღვრული პირობა დადგა, თვითმმართველმა ერთეულმა გადასცა აპელანტს მიწა, რის გამოც აღარ არსებობდა მოპასუხის ვალდებულების შესრულების გადადების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატის განმარტებით, სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (წინარე ხელშეკრულება). ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება წინარე ხელშეკრულებაზედაც. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ იგი ყოველთვის უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება.

წინარე ხელშეკრულება კონტრაჰირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე, ანუ წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელებზე, ვიდრე კრედიტორს გარიგების საგნის მიმართ ნამდვილი ინტერესი გააჩნია, მოთხოვნად ხელშეკრულების დადების დავალდებულება შეიძლება გვევლინებოდეს. მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივი გარიგებაა და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. იმისათვის, რათა წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონტრაჰირების იძულება ლეგიტიმურად (იურიდიული ძალის მქონედ) ჩაითვალოს, სავალდებულოა, თავად ამ წინარე ხელშეკრულებიდან ირკვეოდეს მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი, ანუ ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად წინარე ხელშეკრულების განსაზღვრულობა შეიძლება დაედოს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა მთავარ ინტერესს გაცვლის ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა, უნდა შეფასდეს, 2011 წლის შეთანხმება შეიცავს თუ არა გასაცვლელი ქონების ამომწურავ ჩამონათვალს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო შეთანხმება ბუნდოვანია, ვინაიდან არ დგინდება, თუ რა ნივთები უნდა გაეცვალათ მხარეებს. მოპასუხისთვის უცნობი იყო, თუ რომელი ნაკვეთების გადაცემას აპირებდა მოსარჩელე. მოპასუხის შესაგებელი ამ უკანასკნელი ქონების გაცვლის ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ წინარე ხელშეკრულებაში არსებით პირობებზე შეუთანხმებლობას ეფუძნებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა ძირითადი სარჩელი, რომ სათანადოდ არ შეუფასებია გარემოებები, რომლებიც დავის გადაწყვეტი-

სათვის არსებითი მნიშვნელობისაა. ამდენად, განსახილველი დავისათვის გადამწყვეტია იმის სწორად დადგენა, თუ რამდენად აქვს მოსარჩელეს უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის დაყენების უფლება იმ პირობებში, როდესაც დავა წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და მისი პირობები მოკლებულია განსაზღვრულობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.

ხელშეკრულების ფორმა;
მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი;
ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი

ნებისმიერი შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელია კანონით დადგენილი ან მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორმის დაცვა. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა;

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს;

იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ დაწესებული პროცენტი მნიშვნელოვნად აღემატება ზოგადად კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ ოდენობას, შესაძლებელია, ასეთი ნების გამოვლენა ბათილადაც ჩაითვალოს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-231-216-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილებით (საქმე №2/461-13, 20.06.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი სესხის პროცენტის შემცირების, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადლებულების შესრულებულად ცნობისა და ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკის გაუქმების მოთხოვნით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/ბ-711-13, 09.02.2015).

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დაადგინა, რომ მოსარჩელეს სრულად არ შეუსრულებია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სესხის საპროცენტო განაკვეთის კაბალურობასთან და მის შემცირებასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, გარიგება ეს არის მისი მონაწილე მხარეების განსჯის შედეგი, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ შედეგები და შესაძლო სამომავლო რისკები. მონაწილის მიერ გაკეთებული ხელმოწერა ასახავს ამ უკანასკნელის ნებას შევიდეს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა შორის შეთანხმებული პირობებით და აღიჭურვოს შესაბამისი უფლება-მოვალეობებით.

პალატის შეხედულებით, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება მხარეთა შორის განსაკუთრებული ნდობის ფაქტორი, ასევე – მოპასუხის საბაზრო ძალაუფლება, რადგან მხოლოდ ის არ წარმოადგენს ერთადერთ კომპანიას, რომელიც ეწევოდა სალომბარდო საქმიანობას და მას ბაზარზე დომინანტი მდგომარეობა არ ეკავა. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ოდენობა არ იყო მოპასუხისათვის მისაღები, შეეძლო ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებაზე ან/და ხელშეკრულების მხარედ სხვა ფიზიკური და იურიდული პირი აერჩია, ვისაც შეეძლო მისთვის უფრო დაბალი პროცენტის ოდენობა შეეთავაზებინა. სასამართლოს შეხედულებით, არ დგინდება სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტის კაბალურობა, რადგან კანონმდებელმა გააუქმა დათქმა სესხის პროცენტის კონკრეტულ ზღვრულ ოდენობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც წერილობითი ფორმით დადეს და სანოტარო წესით დაადასტურეს მხარეებმა, არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სესხისათვის სარგებლის გადახდის ვალდებულებას. სესხის დაბრუნების ვადა განისაზღვრა 1 წლით. მხარეებს უფლება ჰქონდათ, გაეგრძელებინათ სესხის დაბრუნების ვადა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც საჭიროებდა სანოტარო დადასტურებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 328-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის შედგენით. დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელია კანონით დადგენილი ან მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორმის დაცვა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულება. მხარეებმა ასეთი ფორმა განსაზღვრეს მათ შორის არსებული ურთიერთობების რეგულირებისათვის. მითუმეტეს, რომ იპოთეკის ხელშეკრულება, ყოველთვის იდებოდა წერილობით ფორმით. მხარეთა შორის რომც ყოფილიყო ზეპირი სახის შეთანხმება მათ შორის არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით იგი უნდა შესრულებულიყო იმავე ფორმით, როგორც შესრულებულია მათ შორის არსებული ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით კი, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

მხარეთა მიერ შეთანხმებულ 6-პროცენტიან სარგებელთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს მართლაც გამოვლენილი აქვთ მსგავსი ნება. რა თქმა უნდა, არსებობს მხარეთა ნების ავტონომია, რომელიც ყოლთვის ანგარიშგასაწევია სამოქალაქო სამართალურთიერთობათა შეფასების დროს, მიუხედავად ამისა, ნების გამოვლენა არ არის შეუზღუდავი. არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ზღუდავს მხარეთა ნებას. ამის მაგალითად შეიძლება, მოვიყვანოთ მთელი რიგი ნორმები, რომლებიც არარად მიიჩნევენ მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას. ასეთ ნორმებს განეკუთვნება თუნდაც მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან კანონსაწინააღმდეგო გარიგებები, ასევე, ზნეობის საწინააღმდეგო ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ დაწესებული პროცენტი მნიშვნელოვნად აღემატება ზოგადად კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების

მიერ დაწესებულ ოდენობას, შესაძლებებლია, ასეთი ნების გამოვლენა ბათილადაც ჩაითვალოს. სააპელაციო სასამართლოს მსგავს საკითხებზე არ უმსჯელია, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად ჩაითვალა და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ოფერენტის თანხმობის ვარაუდი; ნების გამოვლენის განმარტება; ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში; სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი

ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ჩაწერილი გამონათქვამების დაზუსტება (განმარტება). სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე. წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს;

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1144-1090-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: 2007 წლის 20 დეკემბერს მოსარჩელესა (მეიჯარესა) და მოპასუხეს (მოიჯარეს) შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება და საიჯარო თანხა განისაზღვრა 3714 აშშ დოლარით. 2009 წლის 1 აპრილს მხარეები შეთანხმდნენ ერთი წლის განმავლობაში, ანუ 2010 წლის 1 აპრილამდე, საიჯარო ქირის 3000 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგაც მოპასუხე იხდიდა 3000 აშშ დოლარს. 2011 წლის მაისში იჯარის ხელშეკრულება შეწყდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა (17.04.2014, საქმე №2/134-14) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების (30.09.2014, საქმე №2/ბ-465-14) მიერ სარჩელი საიჯარო ქირის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სკ-ის 334-ე მუხლთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ, რადგან მოსარჩელემ მაშინვე არ განაცხადა უარი

მისი ოფერტის მოპასუხის მხრიდან შეცვლილი პირობებით აქცეპტზე, დადებულად ჩაითვალა ხელშეკრულება მხარეთა შორის 2010 წლის 1 აპრილის შემდგომი პერიოდისათვის ყოველთვიურად 3000 აშშ დოლარის გადახდის პირობით. გარდა ამისა, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებაში მხარეებს არ განუსაზღვრავთ, რომ 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ უნდა აღმდგარიყო საიჯარო ქირა თავდაპირველი ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის (მოსარჩელე) მოსაზრება 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ საიჯარო ქირის თავდაპირველი ოდენობით (3714 აშშ დოლარით) აღდგენის თაობაზე.

სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ გაზიარებული იქნებოდა აპელანტის მოსაზრება, რომ 2010 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 1 მაისამდე მოპასუხეს მისთვის უნდა ეხადა ყოველთვიურად 715 აშშ დოლარით მეტი საიჯარო ქირა და მისი გადახდის დაყოვნებისათვის პირგასამტეხლოც, ამ თანხების მიღების უფლება ირღვეოდა 2010 წლის 10 აპრილიდან ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის შემდგომ პერიოდებში, შესაბამისად, 2014 წლის 31 იანვარს აღძრულ სარჩელში დაფიქსირებული მოთხოვნები ხანდაზმული იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ პირველი და მეორე ინსტანციების დასკვნა, სკ-ის 334-ე მუხლზე მითითებით, დაუსაბუთებელი იყო.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სპეციფიკა განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა„ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ჩაწერილი გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მოწესრიგება ან ხელშეკრულების პირობებში გარკვეული ხარვეზებია.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება, საჭიროებდეს, როგორც მთე-

ლი ხელშეკრულება, ასევე მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნას განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

ხელშეკრულების გამონათქვამების სხვადასხვანაირობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება, სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. გამონათქვამთა საგულდაგულო შერჩევის მიუხედავად, დოკუმენტი ყოველთვის ერთნაირად ვერ იქნება აღქმული წამკითხველების მიერ. გამონათქვამების შინაარსი უნდა დადგინდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავს.

სკ გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით და მიუთითა შემდეგი:

სკ-ის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოთხოვნის სრულად ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ იჯარის ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, მოპასუხეს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ ქირის მოთხოვნა ხანდაზმულია მხოლოდ 2010 წლის 10 მაისიდან 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, რადგან სარჩელი შეტანილია 2014 წლის იანვარში, ამიტომ სარჩელი ხანდაზმული არ არის 2011 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის ში-

ნაარსი, რის გამოც მიიღო ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ვალის არსებობის აღიარება;
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144.3-ე მუხლი.

ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი, ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება;

სამოქალაქო კოდექსის 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1133-1079-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს (საქმე №2/54-14, 19.05.14) გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა, მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს (№2/ბ-640, 03.09.14) განჩინებით.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი „ურთიერთშედარების აქტი დავალიანების შესახებ“ და მოპასუხის 2011 წლის 6 სექტემბრის, 2012 წლის 13 აგვისტოსა და 2012 წლის 26 ოქტომბრის წერილები არ წარმოადგენდა სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარებას, ამასთანავე მოთხოვნა, სკ-ის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლების შესაბამისად, ხანდაზმული იყო, ვინაიდან დავალიანება 2000 წლის პირველ იანვრამდე იყო წარმოშობილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდიდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ მიიჩნევდა, რომ სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ეს გარემოებები, კერძოდ, არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ უღიარებია ვალის არსებობა.

საკასაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 341-ე მუხლის განმარტების თაობაზე არსებულ სასამართლოს პრაქტიკაზე (სუსგ, 08.11.2011წ, №ას-839-890-2011; სუსგ, 18.05.2015წ, №ას-226-213-2015) და მიუთითა, რომ მოპასუხის 2011 წლის 6 სექტემბრის, 2012 წლის 13 აგვისტოსა და 2012 წლის 26 ოქტომბრის წერილები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მიჩნეულიყო სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარებად, ვინაიდან მათში მოპასუხე ნათლად და გარკვევით აღიარებდა და-

ვალიანების არსებობის ფაქტს და, ამასთან, სრულიად გაცნობიერებულად კისრულობდა ამ თანხის გადახდის ვალდებულებას.

მოპასუხის მოსაზრებით, ზემოხსენებული წერილები ვერ მიიჩნევა ვალის არსებობის აღიარებად, ვინაიდან მათ ხელს არ აწერს მინისტრი (უფლებამოსილი პირი), ამასთან, ამ უკანასკნელს არ გადაუცია უფლებამოსილების დელეგირება იმ პირებზე, რომლებიც სადავო წერილებს ხელს მოპასუხის სახელით აწერენ.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუნდაც მიჩნეულიყო, რომ ზემოხსენებული წერილები არ წარმოადგენენ ვალის არსებობის აღიარებას სკ-ის 341-ე მუხლის გაგებით (ვალის აბსტრაქტული აღიარება), მოპასუხის უარი ზემოხსენებული წერილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაინც არ იყო დაუსაბუთებული.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა, მართალია, ხანდაზმულია, მაგრამ ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდის თაობაზე მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება (კაუზალური აღიარება) მოსარჩელეს ანიჭებდა მისი შესრულების მოთხოვნის უფლებას სკ-ის 144.3 მუხლის საფუძველზე (იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც). მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში.

განსახილველ შემთხვევაში, ზემოხსენებული წერილებით მოპასუხე აღიარებდა არა მარტო დავალიანების არსებობის ფაქტს, არამედ იძლევა, ასევე, დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე, შესაბამისად, ასეთ აღიარებას უნდა მოჰყვეს ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია სკ-ის 144.3 მუხლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, სკ-ის 144.1 მუხლზე მითითებით მოპასუხე უარს ვერ იტყვის მოქმედების შესრულებაზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ვინაიდან, ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მოვალეს არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს მის მიერ აღიარებული ვალდებულების შესრულებაზე, თუნდაც გასული იყოს მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადა.

10. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების ცნება, განმარტება;

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს კონკრეტული შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-670-636-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის საქალაქო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-752-14, 18.11.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი საგარანტიო წერილის საფუძველზე, მოქალაქისათვის გადაცემული მედიკამენტების ღირებულების, 2000 ლარის, ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრების მოთხოვნით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/150-15, 07.05.2015) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული და კანონიერი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. რუსთავის მერის 2012 წლის 5 იანვრის №1/34 წერილით განისაზღვრა მხოლოდ მოქალაქის ქიმიოთერაპიული მკურნალობისთვის მედიკამენტების გადაცემის ვადა – სამი თვე, რომელიც არ წარმოადგენდა საწარმოს მიერ ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულების სამთვიან ვადას, ვინაიდან, ამას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და წერილში ნათლად იყო მითითებული, რომ იგი ძალაში იყო გაცემიდან სამი თვის განმავლობაში. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგება და, შესაბამისად, გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე, 349-ე და 129-ე მუხლებზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მერიის წარმომადგენლის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გასცა საგარანტიო წერილი, რომლითაც იკისრა მესამე პირის – მოქალაქის მკურნალობისათვის მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებზე უნდა გავრცელებულიყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა (სსკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ მერიამ საგარანტიო წერილი გასცა 2012 წლის 5 იანვარს, ხოლო საწარმომ სარჩელი წარადგინა 2014 წლის 4 აგვისტოს, ანუ ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია კასატორის პრეტენზია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს 2012 წლის 5 იანვრის საგარანტიო წერილში მითითებული იყო კონკრეტულ ვადაზე, რომლის განმავლობაშიც, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მერიამ იკისრა ვალდებულება, აენაზღაურებინა, მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაცემული სამედიცინო მედიკამენტები. საგარანტიო წერილით, ცალსახად დგინდება, რომ მერია კისრულობდა ვალდებულებას, საწარმოსათვის აენაზღაურებინა მოქალაქისათვის გაწეული დახმარება კონკრეტული პირობებით: ა) გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურდებოდა 2000 ლარი; ბ) მითითებული თანხა საწარმოს გადაერიცხებოდა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე; გ) საგარანტიო წერილი ძალაში იყო გაცემიდან 3 თვის განმავლობაში.

2012 წლის 5 იანვარს საწარმომ მოქალაქეს მედიკამენტები გადასცა, ამდენად, მისთვის მისაღები იყო მოქალაქისათვის მედიკამენტების გაცემა, მერიის მიერ შეთავაზებული პირობებით, რომელთა შორის იყო გადაცემული მედიკამენტების ღირებულება, რაც უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით, რათა საწარმოს ჩარიცხვოდა თანხა, ასევე, ამ უკანასკნელისათვის ცნობილი იყო მერიის წერილში სპეციალურად დათქმული სამთვიანი ვადა, რომელიც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არა მხოლოდ დახმარების მიმღებ მოქალაქეს უწესებდა ვადას, რომლის განმავლობაშიც, მას უნდა მიემართა საწარმოსათვის, არამედ საწარმოსაც განუსაზღვრავდა იმავე

ვადას, რათა წერილის გაცემიდან, 2012 წლის 5 იანვრიდან, სამი თვის ვადაში აენაზღაურებინა საწარმოსათვის თანხა, მაშასადამე, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით, საწარმო ვალდებული იყო, მედიკამენტები გაეცა და, ამის თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებები წარედგინა მერიისათვის 2012 წლის 6 აპრილის ჩათვლით.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ საწარმომ მერიას საპრეტენზიო წერილით მიმართა 2014 წლის 7 აპრილს, მერიის მიერ განსაზღვრული და საწარმოსათვის მისაღები (რადგან ეს უკანასკნელი საკუთარი მოქმედებით, მედიკამენტების გაცემით დაეთანხმა მერიის საგარანტიო წერილს) სამთვიანი ვადის დარღვევით, 2 წლის შემდეგ, ამასთან, ვადის გადაცილებით გაგზავნილი წერილისთვისაც არ დაურთავს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მოქალაქეს 2000 ლარის ღირებულების კონკრეტული სახის მედიკამენტები გადაეცა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საგარანტიო წერილიდან გამომდინარე პრეტენზია საწარმომ კანონმდებლობით დადგენილ სამწლიან ვადაში წარადგინა და მისი მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო სპეციალური დათქმა ვადაზე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

11. ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები;
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო 405-ე მუხლი

სკ-ის 352-ე მუხლი განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს, მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს: ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორს მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-658-625-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/6559-13, 22.04.14) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5097-13, 11.10.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად დაადგინა, რომ დასტურდებოდა ნაკლის მქონე ნივთის ნასყიდობა, შესაბამისად, საფუძვლიანად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლისა და ფასის უკან გამოთხოვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა არც საქმის მასალებით დგინდება და არც სარჩელის საფუძვლად არაა მითითებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესამე პირმა სადავო ნივთზე პრეტენზია განაცხადა, მას შემდეგ, რაც ქონება მოვალეს აღარ ეკუთვნოდა. სკ-ის 491-ე მუხლით განმტკიცებულია მყიდველის უფლება, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა. სკ-ის 352-ე მუხლი განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს, მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს. დასახელებული ნორმის ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელეს არ მიუთითებია სკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობის არსებობის თაობაზე და არც გასაჩივრებული განჩინებითაა დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ფაქტობრივი წინაპირობები, საკასაციო სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ აღნიშნული გარემოება უდავოდ მოწმობს სარჩელის უსაფუძვლობას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები;
უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე;
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი

მოკლევადიან ხელშეკრულებაზე მოშლის ინსტიტუტი არ ვრცელდება, რადგან იგი გამოიყენება მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-779-746-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლასა და ნასყიდობის საგნის დაბრუნებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/14284-13, 30.12.2013) სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/1138-14,

16.05.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დავის გადაწყვეტისას, ერთმანეთისაგან არ განასხვავა ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტები. სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმები, თუმცა განმარტა ხელშეკრულების მოშლა და, სწორედ ამ აღრევის შედეგად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ, ერთი მხრივ, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, აპელაციამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოკლევადიან ხელშეკრულებებზე მოშლის ინსტიტუტი არ ვრცელდება, რადგან იგი გამოიყენება მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ; ამის თაობაზე პირდაპირ მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლში, რომელიც მხოლოდ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს შეეხება. ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე იყო შესრულების ვადის დარღვევა, კერძოდ, არ იყო გადახდილი ნასყიდობის ფასი, აგრეთვე, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ნასყიდობის საგნის დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

12. ვალდებულების შესრულება

ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 544-ე და 556-ე მუხლები

შესრულების საგანი, თუ ისეთი ნივთია, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. სასამართლომ რომც გაიზიაროს მოსაზრება, რომ ხელშეკრულების საგანი არის გვაროვნული ნივთი, თუ ხელშეკრულებიდან ნათლად ირკვევა, რომ მხარეთა შეთანხმების საგანი (ნივთი) ინდივიდუალიზებულია, მაშინ იგი ჩაითვლება ინდივიდუალურ ნივთად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-49-48-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სა-

სამართლომ (№2ბ/1319-13, 13.11.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2-14497-11, 29.01.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში არასწორად გამოიყენა სკ-ის 382-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული მუხლის თანახმად, თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. განსახილველი დავის ფარგლებში მხარეთა შორის შესრულების საგანი თავიდანვე ინდივიდუალიზებული იყო. სასამართლოს რომც გაეზიარებინა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი გვაროვნულ ნივთს წარმოადგენდა, გვაროვნული თვისებები დაიკარგა მას შემდეგ, რაც მხარეებმა ხელშეკრულებით დაადგინეს შესრულების საგნის ინდივიდუალური ნიშნები – სართული, ბინის ნომერი, ფართის მოცულობა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა, მისთვის გადასაცემი გასხვისებული ბინების ნაცვლად, მოპასუხისათვის სხვა ბინების გადაცემის დავალდებულების თაობაზე, დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

13. ვალდებულების დარღვევა

მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 396-ე მუხლები

სახელმწიფოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ მოქმედებას ზიანი მოჰყვა და ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-616-586-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/13451-12, 24.12.2012წ) დაკმაყოფილდა სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/730-13, 07.05.2013).

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საწარმოს ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის (საწარმოს) არსებობის შეწყვეტა, რომლის შედეგად, მისი უფლებები და მოვალეობები უფლებამონაცვლეობის წესით სხვა პირებზე არ გადადის („სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, შემსყიდველის ლიკვიდაციის ფაქტის დასრულებისთანავე, საწარმომ, როგორც ორგანიზებულმა წარმონაქმნმა, არსებობა შეწყვიტა და მას ვალდებულებებზე უფლებამონაცვლე არ დარჩენია (სკ-ის 25.4 მუხლი). მეწარმეთა კანონის 3.4 და 44.1 მუხლებით განმტკიცებული შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნიდან გამომდინარე, პარტნიორისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო) საწარმოს მიერ ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურების დაკისრება დაუსაბუთებელი იყო და საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელი იყო. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის, პარტნიორის – სახელწიფოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, რასაც შედეგად მენარდისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. ლიკვიდაციის პროცესი ისე დაიწყო და დამთავრდა 5 დღეში, რომ ამის შესახებ ამ უკანასკნელს კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა, რითაც დარღვეულია მეწშს 14.4 მუხლის მოთხოვნები. ანალოგიურ რეგულაციებს ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ“ დებულებაც (იხ. 2.4. მუხლი და მე-5 მუხლის „დ“ პუნქტი).

მოსარჩელესთან (კრედიტორთან) საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად გამოაცხადა, რასაც შედეგად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება მოჰყვა. მან კომპანიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორს, ანუ სახელმწიფოს, ისე გადასცა, რომ არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა ამ ქონების სამი თვის განმავლობაში საწარმოს იმ კრედიტორების სასარგებლოდ დეპონირების თაობაზე, რომლებმაც ვერ დაიკმაყოფილეს მოთხოვნები (მეწშ მუხლი 9).

ამრიგად, მოპასუხის მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ მოქმედებას მენარდის ქონებრივი უფლების შელახვა, ანუ ზიანი მოჰყვა. ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა კი, მოპასუხეს ეკისრება სსკ-ის 396-ე, 992-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

14. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (სარჩოს ოდენობის გაზრდა)

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი

ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მოვალეს არ შეიძლება, დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი.

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-802-767-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-332-13, 16.01.14) არ დაკმაყოფილდა სარჩელი მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხისა და ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გაზრდის თაობაზე, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/2056-14,

10.06.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან მოპასუხე საწარმოში აღარ არსებობს შტატი, რომელზედაც იგი მუშაობდა საწარმოო ტრავმის მიღების დროს, მისი სარჩო უნდა გაანგარიშებულიყო სხვა საწარმოში არსებული ანალოგიური შტატით გათვალისწინებული ხელფასის მიხედვით. პალატის განმარტებით, სარჩო არ უნდა იქნეს გაგებული იმ შრომის ანაზღაურებაზე უცილობლად დამოკიდებულად, რაც პირს დამქირავებელ საწარმოში გააჩნია. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას. აქედან გამომდინრე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საწარმოო ტრავმის არქონის შემთხვევაში, მოსარჩელე შეძლებდა ხარატად მუშაობას სხვა საწარმოში და ხელფასსაც მიიღებდა, რაც, პალატის მოსაზრებით, ნიშნავს სწორედ სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ „მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 408-ე მუხლით დადგენილი მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნეს ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსის გაუთვალისწინებლად. ზემოხსენებული ნორმა გამოხატავს მოვალის ინტერესებს და ათავისუფლებს მას ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის, ამიტომაც, აღნიშნული მუხლი, უპირველესად ადგენს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მოვალეს არ შეიძლება, დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ამ კრიტერიუმით დგინდება პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. აქედან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოვალეს (მოპასუხეს), რომელთანაც მოსარჩელე იმყოფებოდა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში, შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ საწარმოო ტრავმის შემთხვევაში შესაძლებელია, მოსარჩელეს მთლიანად ან ნაწილობრივ დაეკარგა შრომის უნარი და ვეღარ გაეგრძელებინა მუშაობა ამავე საწარმოში, შესაბამისად – ვეღარ მიეღო ხელფასი. ეს არის სწორედ ის პირდაპირი ზიანი, რომელიც მისაღებია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის და, შესაბამისად, ექვემდებარება ანაზღაურებას სკ-ის 408-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია, მოპასუხეს წინასწარ გაეთვალისწინებინა, საწარმოო ტრავმის არარსებობის შემთხვევაში, მოსარჩელე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სხვა საწარმოში შეძლებდა თავისი პროფესიით მუშაობის დაწყებას და თანაც იმაზე უკეთეს ხელფასს მიიღებდა, ვიდრე ეს თავდაპირველ დამსაქმებელთან ჰქონდა. ზემოხსენებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ასეთ რამ ვერ იქნებოდა სავარაუდო მოპასუხისათვის. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული ადრეც განუმარტავს შემდეგნაირად: ყოველი საწარმო დასაქმებულთა ანაზღაურებას ადგენს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და დაუშვებელია კონკრეტული საწარმოსათვის მუშაკის სასარგებლოდ იმ ოდენობის სარჩოს დაკისრება, რაც სხვა – მეტი ან ნაკლები რესურსების მქონე საწარმოს მიერაა განსაზღვრული (იხ. სუსგ, 21.06.2010 წ. საქმე №ას-288-237-2010). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გამორიცხა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

ზიანის ანაზღაურების მოვალეობის არსი ისაა, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, ამასთან, მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-512-485-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1553-14, 26.12.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი საიჯარო ქონების დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ მოითხოვა საიჯარო ქონების დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, თუმცა ვერ მიუთითა, კონკრეტულად რაში გამოიხატა ზიანი, მოსარჩელე მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირებდა, რომ საიჯარო ქონების დაბრუნება დააყოვნა მეიჯარემ, ხოლო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტი ამგვარი შემთხვევებისათვის ითვალისწინებდა სხვა სახის ზიანის მოთხოვნის უფლებასაც. ამ არგუმენტზე დაყრდნობით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე № 2ბ/98-15, 26.03.2015) მიიჩნია, რომ არსებობდა სკ-ის 591-ე და 567-ე მუხლებით მოწესრიგებული საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მხოლოდ ზემოაღნიშნული არგუმენტი, არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი წერტილი სწორედ ისაა, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. იგივე აზრია გატარებული სკ-ის 115-ე მუხლში, რომელიც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად სარგებლობაში მდგომარეობს. როგორც მოცემული საქმის მასალებით დგინდება, საიჯარო ქონება დააყოვნა მოიჯარემ, ხოლო მეიჯარე დაყოვნებისათვის ყოველდღიურად იღებდა თანხას და იჯარით გადაცემული ქონების სარგებლობაში არ ედავებოდა მოიჯარეს, მაშინ, როდესაც მას გააჩნდა როგორც მატერიალური ისე, პროცესუალური საშუალებები, აღეკვეთა მისი ქონებით ამგვარი სარგებლობა. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც აპელირებს მოსარჩელე და რომელიც, მისი მოსაზრებით, წარმოადგენდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანს სახეზე არ გვაქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება არა პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო შემოსავალს შორის სხვაობა, არამედ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად დამდგარიყო

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-848-806-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/5088-12, 25.06.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11506-12, 12.12.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების, კერძოდ, აუდიტორული დასკვნის არასწორი შეფასების გამო, არასწორად დაადგინა, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასამართლომ მოიშველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სკ-ის 411-ე მუხლის მეორე წინადადებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება არა პროდუქციის თვითღირებულებასა და საერთო შემოსავალს შორის სხვაობა, არამედ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეიძლება, დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. აუდიტორულ დასკვნაში, რასაც სასამართლო დაეყრდნო მიუღებელი შემოსავლის სახით ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისას, ასახულია მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა, რაც მოგებას ან ზარალს არ გულისხმობს, შესაბამისად, ხსენებული დასკვნით შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-406-383-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/14807-12, 19.04.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ზიანის ანაზღაურების – მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, რასაც საფუძვლად

ედო მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ნივთების უკანონო მფლობელობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/3220-13, 27.02.2014) მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. დადგენილ იქნა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა განისაზღვრებოდა წინასწარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელის კუთვნილი ინვენტარი 2006 წლის 1 იანვრიდან იმყოფებოდა მოპასუხის უკანონო მფლობელობაში, მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა. ასევე დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა კომერციული მიზნით შექმნილ იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის საგანი იყო სხვადასხვა დაწესებულებებში კვების ობიექტების მოწყობა და დაწესებულების თანამშრომელთათვის საკვების მიწოდება, რისთვისაც იყენებდა თავის საკუთრებაში არსებულ სპეციალურ ინვენტარს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე მოსარჩელის კუთვნილი ინვენტარით სარგებლობის უფლების წართმევით, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული შემოსავალი, რომელსაც ის მიიღებდა მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება, როგორც ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე – მათი დამტკიცების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე იყო ვალდებული, მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე, ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, ამიტომ მას იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე. სკ-ის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად“ (იხ. სუსგ, საქმე №ას-218-210-2013, 10 მარტი, 2014წ.).

საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით შეუძლებელი იყო მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ საქმის მასალებით არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში მოსარჩელე ნამდვილად მიიღებდა შემოსავალს კაფეტერიის სადავო ინვენტარითა და მოწყობილობებით სარგებლობის ხელშეშლის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ კასატორმა ზიანის ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

შემოსავლის მიუღებლად ჩათვლისათვის, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1056-1011-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/7085-13, 23.01.14) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/1810-14, 29.07.2014) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის ნაწილში დააკმაყოფილა და სკ-ის 411-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ზიანის მიყენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, როცა საქმე ეხება ფულად ვალდებულებას. სასამართლოს განმარტებით, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ ავანსად გადარიცხული თანხა აკუმულირებული იქნებოდა საბანკო ანგარიშებზე ხანგრძლივი დროით, რაც გახდებოდა მისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სყიდვაუნარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის არის შემოსავლის წყარო, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი, თუნდაც საბანკო პროცენტის სახით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შეთანხმება საპროცენტო სარგებლის დარიცხვის თაობაზე არ შეიძლება მიჩ-

ნეულ იქნეს მიუღებელი შემოსავლის დადგენის საკმარის მტკიცებულებად. მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი სახეზე არ არის, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტურად. ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. გარდა ამისა, ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის განმარტება საქმეზე №ას-197-184-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/18744-13, 20.06.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/5186-14, 18.12.2014წ) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა. სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს და მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

იქიდან გამომდინარე, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას. კონკრეტულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს კომერციულ ბანკებში საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის ანაბარზე განთავსების შედეგად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტურად, სახელდობრ, სკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, თუმცა, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, იმისათვის, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ გა-

რემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის რაიმე მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე უნდა იქნეს აგებული. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად იმ გარემოებაზე აპელირებდა, რომ თანხის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, მოსარჩელე ამ თანხას განათავსებდა საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარზე და მიიღებდა შემოსავალს. მოსარჩელის მხოლოდ ეს არგუმენტი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი წერტილი სწორედ ისაა, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი. ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. იგივე აზრია გატარებული სკ-ის 115-ე მუხლში, რომელიც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად სარგებლობას გულისხმობს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც აპელირებდა მოსარჩელე და არ წარმოადგენდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი

ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება, რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. შემოსავალი, რომ მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-459-438-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ-1010-14, 25.02.15) გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/2593-13, 15.07.14), რითაც სარჩელი ნასყიდობის საფასურისა და ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილა. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ უზრუნველყო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძვლის, ზიანის არსებობის ფაქტისა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა, რაც სკ-ის 411-ე მუხლის გამოყენების მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 411-ე მუხლი. პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ, ზოგადი წესის თანახმად, მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტიდან ვალდებული არიან, შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მაგრამ კანონით გათვა-

ლისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, რასაც ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. მყიდველმა სწორედ ეს საგამონაკლისო უფლება გამოიყენა, შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეთა შორის წარმოიშვა ახალი ვალდებულება მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნების შესახებ, ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლება, რაც წარმოშობს მიღებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებას. სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში ემყარება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას, რაც შეიძლება, სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის, არაჯეროვანი შესრულებით. სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე და 412-ე მუხლების ამოსავალი დებულების თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელიც არ იქნებოდა, ხელშეკრულება, რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. შემოსავალი, რომ მიუღებლად ჩაითვალოს მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება. მოცემულ შემთხვევაში მყიდველს უძრავი ქონების შეძენის მიზნით ჰქონდა გადახდილი თანხა და მის ინტერესს არ წარმოადგენდა სარგებლის მიღება ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსების გზით, ამდენად, სახეზე არ არის მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რითაც სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413.2-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი

ჯანმრთელობის დაზიანება ზიანის მიმყენებლის ქმედებასთან უშუალო და პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს. მოპასუხე პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივი და თანმდევი შედეგია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირს გააჩნია, ვისაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიადგა ჯანმრთელობის დაზიანება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განმარტება საქმეზე №ას-113-108-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოპასუხე კომპანიის მიერ წარმოებულ მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შედეგად სიცოცხლის მოსპობა. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ გარდაცვლილის მეუღლეს გადატანილი სტრესის შედეგად დაუდგინდა ფსიქიკური პრობლემები და მიჩნეულ იქნა შრომისუუნაროდ. თბილისის საქალაქო სასამართლომ (საქმე №2/4262-13, 11.07.2013) არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს (საქმე №2ბ/4873-13, 19.12.2013) გადაწყვეტილებით გარდაცვლილის მეუღლის მოთხოვნა, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დააკმაყოფილა სკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 413-ე მუხლი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. ჯანმრთელობის დაზიანება ზიანის მიმყენებლის ქმედებასთან უშუალო და პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს. მოპასუხე პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივი და თანმდევი შედეგია. ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირს გააჩნია, ვისაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიადგა ჯანმრთელობის დაზიანება. „დაზარალებული“ ამ შემთხვევაში არის უშუალო მსხვერპლი და არა მისი ოჯახის წევრი. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირის მიერ ანაზღაურების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილ წესს. აღნიშნული ნორმა აწესებს გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე მუხლით აკრძალულია გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

15. პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

პირგასამტეხლო მხოლოდ მხარეთა ნებით შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, თუმცა იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-914-864-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №030210114683678, 18.03.2015) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი თანხის დაკისრების მოთხოვნით. ჩგადაწყვეტილება პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/518-15,

16.07.2015) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სრულად დაკმაყოფილდა. შეფასების საგანია ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასატეხლოს ოდენობის გონივრულობა. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მიზანშეწონილი არ იყო სკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე პირგასამტეხლოს შემცირება, რადგან ასეთი პრაქტიკა შეიძლება გამხდარიყო არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლოდ გათავისუფლების, ხოლო კეთილსინდისიერ მოვალეთა წაქეზების საშუალება, დაერღვიათ ვალდებულება, მოსალოდნელი პირგასამტეხლოს შეცირების იმედით, რაც არ წაადგებოდა სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან. ასეთ შემთხვევაში, ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიმართ და სხვ. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერი გადამხდელის შემთხვევაში არათუ პირგასამტეხლოს შემცირების, გადახდის საჭიროებაც არ დგება დღის წესრიგში. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, დათქმული პირგასამტეხლო, როგორც ერთგვარი „სანქცია„, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და ფუნქციას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-654-620-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასასამართლოს და, მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოითხოვა პირგასამტეხლოს 227 752 ლარის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/18409-2013, 04.06.2014წ) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს 4100 ლარის გადახდა. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/4992-2014, 04.05.2015წ), სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 11 234 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ სკ-ის 420-ე მუხლთან დაკავშირებით განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი გადაწყვეტილება/განჩინება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის საფუძ-

ვლების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა (1 372 200 ლარის) და მხარეებს შორის შეთანხმებული პირგასამტეხლოს (ერთ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,2 % ანუ 2744 ლარის) გათვალისწინებით მიიჩნია, რომ კასატორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 216 518 ლარი შეუსაბამოდ მაღალი იყო, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ შემცირებული პირგასამტეხლო არ იყო ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა და ვადაგადაცილების დღეების მიხედვით დაწესებული ადეკვატური ჯარიმა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიხედულებით, პირგასამტეხლოს შემცირებისას, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, დათქმული პირგასამტეხლო, როგორც ერთგვარი „სანქცია“, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და ფუნქციას. მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვადაგადაცილებულ დღეებზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრება მოპასუხისათვის შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული იქნებოდა, თუნდაც იმ შესრულებული ნაწილის გათვალისწინებით, რაც დადგენილი იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, კასატორის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაჰკისრებოდა 27 752 ლარის გადახდა, რაც შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოა, რომელიც გამომდინარეობდა მხარეთა შეთანხმებიდან და შეესაბამებოდა დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის, პასუხისმგებლობის სახით დადგენილ საზღაურს.

16. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შესრულების მიღება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი

სასამართლოს თუ არ დაუდგენია, მხარეთა შეთანხმების არსებობა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების თაობაზე, შეუძლებელია, ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის გამოყენება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის განმარტება საქმეზე №ას-546-514-2012 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/8195-11, 23.12.2011) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ნასყიდობის ფასისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (საქმე №2ბ/448-12, 06.05.2012წ). სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე. პალატამ მიუთითა სსკ-ის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, 102-ე მუხლზე, 134-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, განეკუთვნებოდა იმგვარ წერილობით მტკიცებულებას, რომლითაც გამყარებული იყო სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი მოპასუხის შესაგებელი. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებდა თანხის სრულად გადახდის პრეზუმფცია, თანახმად

სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ხოლო, ამავე კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების გზით შეწყვეტის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნასყიდობის ფასის გადახდის წესის თაობაზე მხარეთა განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია, თუ რას ითვალისწინებდა სინამდვილეში ნასყიდობის ხელშეკრულება ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, ანუ არსებობდა თუ არა მხარეთა შეთანხმება ნასყიდობის ფასის გადახდის წესზე და თუ არსებობდა, როგორი შინაარსის იყო იგი, კერძოდ, ნასყიდობის ფასი ერთდროულად (ერთბაშად) უნდა გადახდილიყო, თუ ნაწილ-ნაწილ. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, ჯეროვნად შეასრულა თუ არა მყიდველმა ნაკისრი ვალდებულება (მოსარჩელის მეორეული მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სწორედ პირველადი ვალდებულების დარღვევას ეფუძნება). ამავე მიზეზით, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის დაშვებაც.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება სკ-ის 429-ე მუხლი მე-3 ნაწილთან დაკავშირებით, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა მხარეთა შეთანხმება ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების, ანუ ნასყიდობის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე, შეუძლებელია, განსახილველი ურთიერთობის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის გამოყენება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

17. ნასყიდობა; გაცვლა

ელექტროენერგიის ნასყიდობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი

მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია აღრიცხვის კვანძის გაუმართაობა, ვინაიდან ელექტროენერგიის მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს მის მიერ ფაქტობრივად დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-950-912-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-1405-13, 26.02.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი აღურიცხავი ელექტროენერგიის ღირებულების (132000,87 ლარის) დაკისრების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/344-14, 18.06.2014) მოპასუხისსააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 079.22 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დად-

გენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოთხოვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი უნდა დაჰკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხე 24.03.2009 წლიდან ხარჯავდა ელექტრომრიცხველით აღრიცხულზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, მოპასუხის მიერ გამოშვებული პროდუქციისა და დახარჯული ელექტროენერგიის თანაფარდობით დადგინდეს ელექტროენერგიის ცდომილებით მოხმარების დაწყების თარიღი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, ასევე, რომ რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც ამ სადავო ფაქტს დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.2008 წლის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან უცნობი იყო ელექტროენერგიის უკანონოდ მოხმარების დაწყების თარიღი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდა მხოლოდ 01.08.2012 წლიდან 01.10.2012 წლამდე (სამი თვის მანძილზე) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ცდომილების გათვალისწინებით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეადგენდა 11 079.22 ლარს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი და, მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველის (მოსარჩელის) სამტკიცებელია ის გარემოება, რომ მან სადავო პერიოდში მყიდველს (მოპასუხეს) ელექტროენერგია მიაწოდა სარჩელში მითითებული ოდენობით.

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული სადავო გარემოების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ მის მიერ მითითებული გარემოების დამტკიცება ვერ შეძლო.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ხელოვნური ჩარევა შეეძლო მხოლოდ მოსარჩელეს, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაიბარა და დალუქა კვანძი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ზოგადად, აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ზღუდარის ჩადება და მრიცხველთან მიერთების სქემის არასწორად დამონტაჟება შეეძლო, როგორც მოსარჩელეს, ისე – მოპასუხეს. თუ გათვალისწინებული იქნებოდა ის გარემოება, რომ, დახარჯული ელექტროენერგიის არასრულად აღრიცხვის შემთხვევაში, მომხმარებელი გადაიხდიდა უფრო ნაკლებ ფასს, ლოგიკური და დამაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ელექტროენერგიის მომხმარებლისა და არა ელექტროენერგიის მიმწოდებლის ინტერესებია, რომელიც, პირიქით, დაინტერესებულია, სრულად აღირიცხოს მის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. მოპასუხის ლოგიკის თანახმად, მოსარჩელე თავის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, კერძოდ, არასრულად აღრიცხავდა მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობას და იღებდა უფრო ნაკლებ ანაზღაურებას, ვიდრე ეკუთვნოდა. გაუგებარია, რატომ უნდა გაეკეთებინა ეს მოსარჩელეს, რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის ხელოვნურად შემცირებით. მოპასუხეს, ამ თვალსაზრისით, რაიმე დამაჯერებელი განმარტება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის ზემოხსენებული პრეტენზია. ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია აღრიცხვის კვან-

ძის გაუმართაობა, ვინაიდან მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს მის მიერ ფაქტობრივად დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

გაცვლა

უძრავი ქონების გასხვისების წესი;

სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების გათილოება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლი

მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ხელშეკრულების დადება დასაშვებია ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე, ასეთი ხელშეკრულების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება ბათილი იქნება ფორმის დაუცველობის გამო

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-745-707-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2/652-12, 30.01.13) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი უძრავი ქონების ½ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე № 2ბ/227-13, 14.05.2013) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატის შეფასებით, ის გარემოება, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე საცხოვრებლად არ გადავიდა მშობლების სახლში, არ ნიშნავს სამკვიდროს მიუღებლობას, რადგან მეორე მემკვიდრესთან შეთანხმებით მოსარჩელე მშობლების სახლში ცხოვრების სანაცვლოდ შევიდა სხვა ფართში და იქ ცხოვრების გაგრძელებით მან ფაქტობრივად განაცხადა თანხმობა, მიეღო აღნიშნული ქონება მშობლების სამკვიდროდან თავისი წილის სანაცვლოდ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაგებად არ გადმოსცა იმ შეთანხმების შინაარსი, რომელიც, მისი აზრით, მოსარჩელემ დადო მეორე მემკვიდრესთან. პალატის მოსაზრებით, ზემოხსენებული შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი არ ადასტურებს მოსარჩელის მიერ მშობლების სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას, ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს არც ამ შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება გააჩნდა შემდეგ გარემოებათა გამო: სკ-ის 322-ე მუხლის მე-2 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ხელშეკრულების დადებას ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე. ასეთი ხელშეკრულების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულე-

ბის ფორმას. მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმება, რომლითაც მოსარჩელემ თავისი კანონით სამემკვიდრეო წილი (მამის სიცოცხლეშივე) გაუცვალა თავის ძმას ამ უკანასკნელის არასრულწლოვანი შვილის მიერ ანდერძით მიღებულ უძრავ ქონებაში, დაიდო ზეპირი ფორმით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ხელშეკრულება (უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულება) ბათილია, როგორც კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგება (სკ-ის 521-ე და 323-ე მუხლები).

18. ჩუქება

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა; სესხი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი

სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესაა ჩუქების ხელშეკრულება;

ჩუქების ხელშეკრულების დროს მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმები

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-14883-12, 05.07.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ითხოვდა თანხის დაკისრებას. მოპასუხე თანხის მიღებას ადასტურებდა, მაგრამ მიუთითებდა, რომ მიღებული თანხა არა სესხი, არამედ საჩუქარია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/4729-13, 29.09.2014წ.) დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაეკისრა თანხის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხის გადაცემის შემთხვევაში მოქმედებდა პრეზუმფცია თანხის გადამცემის სასარგებლოდ, კერძოდ, ივარაუდებოდა, რომ თანხის მიმღებს თანხა უნდა დაებრუნებინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხის მიმღები სარწმუნოდ დაადასტურებდა, რომ მას თანხის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნდა. სასამართლომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთად მიიჩნია მხოლოდ თანხის გადაცემის ფაქტის დადასტურების ვალდებულება, რაც, პალატის მოსაზრებით, ვალდებულების არსებობას გულისხმობდა (სკ-ის 361-ე მუხ.), მოპასუხეს კი, გადააკისრა თანხის მიღების ფაქტის უარყოფის ან ვალდებულების შესრულების გამომრიცხველი გარემოების დადასტურების ვალდებულება. სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ თანხა მიიღო. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა, რომ ეს თანხა ჩუქების ან სხვა ისეთი გარიგების საფუძველზე მიიღო, რომელიც გამორიცხავდა მისი მხრიდან ამ თანხის დაბრუნების საპასუხო ვალდებულებას, რომლის რეალიზება, პალატის მოსაზრე-

ბით, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სესხად გადაცემული თანხის დაბრუნება, მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთიც მოსარჩელეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც დადგენილია თანხის გადაცემის ფაქტი და არ დგინდება მისი დაბრუნების ვალდებულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით გამოთხოვას გამორიცხავს და მოპასუხის პოზიციის სასარგებლოდ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია (ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას), რომლის გაბათილებაც მოსარჩელემ მოცემულ შემთხვევაში ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია სარჩელი როგორც სახელშეკრულებო, ასევე ვალდებულების გარეშე (სკ-ის 976-991-ე მუხ.) გადაცემულის მოთხოვნის საფუძვლითაც.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატამ საჭიროდ მიიჩნია, ყურადღება გამახვილებულიყო ჩუქების სამართალურთიერთობის ძირითად თავისებურებებზე, კერძოდ, მის უსასყიდლო ხასიათზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი. განსახილველი დავის არსის შეფასებისას, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, თუ როგორი ურთიერთობა აკავშირებდათ მხარეებს – მოსარჩელე მოპასუხის მიმართ კეთილგანწყობილი იყო. ასევე, დადასტურებულია, რომ სადავო თანხა მოპასუხეს პერიოდულად ეგზავნებოდა ეტაპობრივად 2009 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის ივნისამდე. საქმეზე დადგენილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა საკასაციო პალატას მისცა ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული დასკვნის საფუძველი მასზედ, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ყალიბდებოდა წლების განმავლობაში და ეფუძნებოდა ახლობლურ, თითქმის ოჯახური ურთიერთობების პრინციპს. ამის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ მოსარჩელეს გააჩნდა საკმარისი მორალური მოტივები, გამოეხატა მოპასუხის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამორიცხავს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავისთავად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი

შესაძლებელია, გამჩუქებელმა გაჩუქებული ნივთი უკან გამოითხოვოს, მაგალითად, თუ გამჩუქებელი ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა მის ერთადერთ საცხოვრისს, ხანდაზმულია, საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას; დასაჩუქრებულს ობიექტურად არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს მას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-710-676-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/7200-14, 20.11.2014წ) არ დაკმაყოფილდა სარჩელი გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის შესახებ, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (საქმე №2ბ/80-15, 22.05.2015). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სარჩელში მითითებული გარემოებები, იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გამოიჩინა მის მიმართ დიდი უმადურობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას, ასევე, მან ვერ დაასაბუთა ის გარემოებაც, რომ, ერთადერთი საცხოვრისის გაჩუქების გამო, შეექმნა მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იკვეთებოდა სკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობები, კერძოდ, დადგენილია, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის ერთადერთ საცხოვრისს. ის ხანდაზმულია, საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას. დასაჩუქრებულს (მოპასუხე) ობიექტურად არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს ბებიას (მოსარჩელეს). ქონების გასხვისებით მოსარჩელე უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება, მაგალითად, გააქირაოს (სკ-ის 531-ე მუხლი) და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩენალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება (სკ-ის 941-942-ე მუხლები) და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ: „სადავო ბინის გაჩუქებით მოსარჩელისათვის არაფერი შეცვლილა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების კუთხით“, იმის გამო, რომ ის დღესაც ინარჩუნებს გაჩუქებული ბინის მფლობელობას, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, რადგანაც განხორციელებულია სკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები და არ არსებობს კასატორის (მოსარჩელე) მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოება – გამჩუქებლისათვის ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება – სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და მხარეთა შორის დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გაჩუქებული ქონება ისევ გამჩუქებლის საკუთრებად უნდა აღირიცხოს.

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლი

ჩუქების ხელშეკრულების არსი ისაა, რომ დასაჩუქრებული პირი სანაცვლოდ რაიმე ვალდებულებას არ კისრულობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობს მჩუქებლის მოვლა-პატრონობის თაობაზე, მაშინ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ეს არის თუ არა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-611-578-2015* (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/14163-13, 10.04.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების, ასევე, გაჩუქებული უძრავი ქონების გამოთხოვის მოთხოვნით, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მოსარჩელე სააპელაციო საჩივარს აფუძნებდა იმ გარემოებებზე, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის საარსებო წყაროს, იგი იყო სოციალურად დაუცველი და ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ მისი მატერიალური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/2955-14, 05.03.2015) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურება, რაც საფუძვლად დაედებოდა ჩუქების გაუქმებასა და საჩუქრის გამოთხოვას, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჩუქების ხელშეკრულების საგანი, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად. პალატის შეფასებით, არ დასტურდებოდა გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სადავო ბინიდან შემოსავალს იღებდა, ასევე, უდავოდ დგინდებოდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც, მოსარჩელე ცხოვრობდა სადავო ბინაში და ამ ბინით სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ანდა შედავებას ამ უფლებაში მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე და ყურადღება გაამახვილა სარჩელში მითითებულ იმ გარემოებებზე, რომელთა თანახმადაც, ჩუქების სადავო ხელშეკრულება იმ პირობით დაიდო, რომ დასაჩუქრებული გამოიჩენდა მატერიალურ მხარდაჭერას დამსაჩუქრებლის მიმართ, მოუვლიდა და იზრუნებდა მასზე.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ისე იმსჯელა მოსარჩელის მიერ მითითებულ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებზე, რომ მას არ გამოუკვლევია მხარეთა ნამდვილი ნება იმის შესახებ, თუ ხელშეკრულებით, რეალურად რაზე შეთანხმდნენ მხარეები და არ დაუდგენია, წერილობითი გარიგება, ხომ არ წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლით განსაზღვრულ ნებას, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა, გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

---

* საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე აღნიშნული ნომრით განთავსებულ განჩინებაში შეცდომით მითითებულია საქმის №ას-471-450-2015.

საკასაციო პალატამ ის გარემოებაც გაითვალისწინა, რომ ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დავის შეფასების შემთხვევაშიც კი, სააპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

19. ᲥᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲐ

ᲒᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲜᲘᲕᲗᲖᲔ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 536-ე მუხლი

აუცილებელი ხარჯების დაკისრების საკითხის დადებითად გადასაწყვეტად, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ნივთობრივი ნაკლი და გამქირავებელი უნდა იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილების რეჟიმში, ან დამქირავებლის მიერ არაუფლებამოსილი შესრულების ფარგლებში განხორციელებული აუცილებელი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დაინტერესებული პირის (მეპატრონის) ინტერესსა და ნებას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-444-419-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-770-13, 31.10.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი დაქირავებულ ნივთზე დამქირავებლის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (საქმე №2ბ/6423-13, 20.03.2014წ). სკ-ის 545-ე მუხლის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ აუცილებელ ხარჯად ითვლება დამქირავებლის მიერ გაღებული არა ყველა, არამედ მხოლოდ ისეთი ხარჯი, რომლის გაწევაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, მისი ვარგისიანობისათვის არის აუცილებელი. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სკ-ის 532-ე, 535-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ გამქირავებლის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯების აუცილებლად მიჩნევის საფუძველი და ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც ნივთი ხელშეკრულებით სარგებლობისათვის უვარგისია, ანუ ისეთი ვითარებაა, როდესაც ნივთი არ იძლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელების შესაძლებლობას. მოსარჩელის მიერ ჩატარებული სამუშაოების ხასიათის, ფუნქციური დანიშნულების, დაქირავებული ფართის მიზნობრიობიდან და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის დაწესებული მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად გასწია აუცილებელი ხარჯები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რათა დადებითად გადაწყდეს აუცილებელი ხარჯების დაკისრების საკითხი, უნდა არსებობდეს

შემდეგი წინაპირობები: ნივთობრივი ნაკლი და გამქირავებელი უნდა იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილების რეჟიმში, ან დამქირავებლის მიერ არაუფლებამოსილი შესრულების ფარგლებში განხორციელებული აუცილებელი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დაინტერესებული პირის (მეპატრონის) ინტერესსა და ნებას. საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან ცალსახად არ დგინდებოდა მოსარჩელისთვის ნივთობრივად ნაკლიანი ნივთის გადაცემა. საკასაციო პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე არ იყო დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება (მაგალითად: მოსარჩელემ იცოდა თუ არა ნაკლის თაობაზე ნივთის გადაცემისას და შეატყობინა თუ არა ამის თაობაზე მოპასუხეს; არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით; მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეესაბამებოდა თუ არა მოპასუხის ინტერესსა და ნებას), რის გამოც შეუძლებელი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა აუცილებელი ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ყველა ის წინაპირობა, რომელთა შესახებაც საკასაციო პალატის განჩინებაშია საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწვიტოს დავა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

20. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 598-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი

მოიჯარეს შეუძლია, მოსთხოვოს მეიჯარეს გაწეული კაპიტალური ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონება ეკუთვნოდა მეიჯარეს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-594-562-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/11181-11, 22.07.2013) სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქონების აღდგენისა და გამაგრების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/5067-13, 17.04.20104) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად და მიიჩნია, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი იყო არა ის გარემოება, რომ საიჯარო ქონება სხვადასხვა დროს გადავიდა სხვა პირთა საკუთრებაში, არამედ ის ფაქტი, რომ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში საიჯარო ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა მოთხოვნილი ოდენობით თანხის ანაზღაურებაზე სრულად პასუხისმგებელ პირს და მიიჩნია, რომ ვალდებულების მოცულობის განსაზღვრის ნაწილში არსებობდა სააპელაციო სასამართლოს განჩინების

გაუქმების სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ: როგორც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ისე გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი იყო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საიჯარო ქონების ნაწილი – დარბაზი, წარმოადგენდა ე-ს საზოგადოების საკუთრებას და სწორედ ამ მოტივით აღიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მისი უფლება უძრავი ნივთის შესაბამის ნაწილზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.04.2001წ. გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ.თბილისში, ... მდებარე შენობის დარბაზიდან გამოსახლებულ იქნა შპს „ს.“; საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ცნობის თანახმად, სადავო უძრავი ქონების ნაწილი ირიცხებოდა ე-ს საზოგადოების სახელზე. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იყო დადგენილი, რომ საიჯარო ქონების ნაწილი, რომლის კაპიტალურ რემონტზეც მოსარჩელემ გაწია ხარჯები, წარმოადგენდა არა მოპასუხის, არამედ სხვა პირის საკუთრებას, რაც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გამორიცხავდა სხვის საკუთრებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების დავალდებულებას ქონების არამესაკუთრისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

21. სესხი

სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი

მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების დადგენისათვის არაა საკმარისი მხოლოდ მოწმეთა არსებობა. უნდა დადგინდეს კრედიტორის მიერ მოვალისათვის თანხის გადაცემის ფაქტი და დამტკიცდეს ის გარემოება, რომ თანხა გადაეცა პირს სესხად (გადაცემის დანიშნულება)

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-929-891-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/295, 28.02.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნით, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2/ბ-312, 16.06.2014) გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ, სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნია მოწმის ჩვენება და საქმეში ერთ ფურცლად წარმოდგენილი შემდეგი სახის ჩანაწერი: „დარჩა 10 000 ლარი – რ.მ.“ (მოპასუხის ხელმოწერა); „მომიტანა რ-მ 1750 ლ და დარჩა 10 0000 ლარი. 2010 წლის 30.12. ა.ხ-ძე“ (მოსარჩელის ხელმოწერა). აღნიშნულ ჩანაწერზე ხელმოწერასაც არ უარყოფდა არც მოპასუხე და არც მისი შვილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 624-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც

მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე. განსახილველი ნორმის მიზანია სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შესაბამისად, სასესხო ურთიერთობებში კანონი „არ ენდობა„ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ჩანაწერებს, მათი შინაარსიდან არ ირკვევა კრედიტორის მიერ მოვალისათვის თანხის გადაცემის ფაქტი; არც ის ირკვევა, რომ მითითებული თანხა წარმოადგენდა სესხს (გადაცემის დანიშნულება), არ დგინდება რომელი მათგანია მოვალე და რომელი კრედიტორი, ასევე, გაურკვევლია მითითებული თანხის გადაცემის ან/და დაბრუნების სავარაუდო თარიღი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მითითებული არცერთი კომპონენტი, რომელიც რაიმე საფუძვლიანი და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის საშუალებას მისცემდა სასამართლოს სახეზე არ არის. შესაბამისად, ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით იმგვარი დასკვნის გამოტანა, რომ მხარეებს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა, დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი

სესხის ზეპირი ხელშეკრულების დასადასტურებლად საკმარისი არაა მოწმეთა ჩვენებები, საჭიროა სხვა ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც მოწმეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ;

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია გამსესხებელს, ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი – მსესხებელს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-127-119-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/430-13, 29.05.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/4376-14, 04.12.2014). მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით – გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სახელდობრ, ფულადი გზავნილების ამსახველი საბანკო ამონაწერები და მათზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა მხარეთა შეთანხმება სესხის ზეპირ ხელშეკრულებაზე, რომელმაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 624-ე მუხლი) სამართლებრივი აღწერილობა, ზეპირი ფორმით დადებული სასესხო ვალდებულების ნამდვილობისათვის საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევს მოწმეთა ჩვენებებს, არამედ სავალდებულოდ ადგენს მოწმეთა ჩვენებებთან ერთად სხვა ისეთი მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებას, რომელიც მოწმეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი ალბათობით დაადასტურებდა სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ. ამგვარად, განხილული ნორმით განსაზღვრულია მტკიცების საგანი. რაც შეეხება სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს,

ის გამოიხატება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია გამსესხებელს, ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი – მსესხებელს. მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულებების სწორი განაწილება სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის წინაპირობაა. მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელემ წარმოადგინა სადავო თანხის იტალიიდან გადმოგზავნის გზით მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე არ არის. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავოა თანხის გადაცემის დანიშნულება, მხოლოდ მოპასუხის სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნა და მოპასუხის მიერ ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

22. ნარდობა

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები; ხელშეკრულების მისადგება შეცვლილი გარემოებებისადმი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი

მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სკ-ის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს.; თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა;

მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განმარტება საქმეზე №ას-226-213-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმის №2/2195-13, 12.08.2014წ) არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ, რაც ძალაში იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/915-14, 23.12.2014წ). სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 631-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოპასუხეს (დამკვეთს) გადახდამდე არავითარი პრეტენზია მოსარჩელის (მენარდე) მიმართ არ გასჩენია და არც ხელ-

შეკრულება არ შეუწყვეტია ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბების საფუძველზე. ამდენად, მისი სააპელაციო პრეტენზია დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 631-ე მუხლი, რომელიც მიახლოებითი ხარჯთაღიცხვის გადაჭარბების მარეგულირებელი ნორმაა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 631-ე მუხლის მიხედვით, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, ამის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სკ-ის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლით გათვალისწინებულია არა ხელშეკრულების მოშლის წინამძღვრები, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით დადგენილი შემკვეთის ვალდებულება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-697-663-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასა-

მართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/954-14, 20.03. 2015) გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება (საქმე 030210014429691, 27.06.2014) და სარჩელი სახელშეკრულებო ურთიერთობის აღდგენისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში ხელშეშლის აკრძალვის შესახებ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ მხარეებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ ჩასატარებელი სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის. სასამართლომ მენარდის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა და აღნიშნა, რომ ისინი, სსკ-ის 316-ე, 317-ე, 352-ე, 361-ე, 398-ე და 405-ე მუხლების ნორმათა შესაბამისად, იურიდიულად ამართლებდა მენარდის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველ დავაში მენარდემ მოითხოვა შემკვეთის გადაწყვეტილების ბათილობა, რომლითაც ამ უკანასკნელმა გამოავლინა ნება, ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება მენარდესთან. შემკვეთმა სკ-ის 636-ე მუხლით ისარგებლა და მენარდის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო, მოშალა ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 636-ე მუხლით კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წინამძღვრებს კი არ აწესებს, არამედ ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს. ამდენად, სამართლებრივად უნდა შეფასდეს მენარდის სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა, თუ რამდენადაა ასეთი მოთხოვნა განხორციელებადი. საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნა, კანონით დადგენილი წესით სასამართლოს გზავნილის ჩაუბარებლობასა და არასათანადო მოპასუხის სახით დავაში ჩართვასთან დაკავშირებით, არ გაიზიარა უსაფუძვლობის გამო, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების პროცესუალური ხასიათის გათვალისწინებით.

ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის საზღაურის გადახდის ვალდებულება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი

სასამართლომ მომსახურების ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტად შეიძლება, მიიჩნიოს ნებისმიერი დოკუმენტი (თუნდაც ელექტრონულად გაფორმებული ანგარიშფაქტურა), სადაც ასახული იქნება მომსახურების საფასური

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-549-521-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული პირებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/1244-14, 03.04.2015)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს (საქმე №2-1916-13, 30.10.2014) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელის (მენარდის) მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა სამედიცინო მომსახურების განევა, რადგან მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულების არსებითი პირობა – მოთხოვნის მოპასუხისათვის წარდგენის ვადა და წესი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ არ დადასტურდა სადავო პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების წინაპირობა, სპეციალური წესისა და პირობების დაცვის აუცილებლობა, დაადგინა, რომ „შემსრულებელი“ ემსახურებოდა დამკვეთ კომპანიაში დაზღვეულ პირებს ე.წ. სპეციალური სამედიცინო მიმართვების საფუძველზე და მომსახურების რაიმე კონკრეტულ პირობებზე შეთანხმება არ ყოფილა. მომსახურების თანხა უნდა გადახდილიყო საანგარიშო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. ამ პერიოდში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტად მართებულად მიიჩნია ელექტრონულად გაფორმებული ანგარიშფაქტურები, სადაც აისახებოდა მომსახურების საფასური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ შემკვეთს წარმოეშვა სადავო პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების მოვალეობა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 629-ე და 648-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

23. შუამავლობა

შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

მტკიცების ტვირთი;

მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები

შუამავლობის შედეგად შესაძენი ქონების მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს შუამავლობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-522-495-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/1273-14, 26.03.14) შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/294-14, 02.12.13), რითაც მოსარჩელის მოთხოვნა საშუამავლო გასამრჯელოსა და ჯარიმის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ გამოიყენა სკ-ის 744-ე მუხლის I ნაწილი და დაადგინა, რომ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შემკვეთიც იყო მოპასუხე, დაიდო მოსარჩელის შუამავლობით და ის გარემოება, რომ შეძენილი ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირდა სხვა, არ გა-

მორიცხავს ნასყიდობის ხელშეკრულების შუამავლობის საქმიანობის შედეგად დადების ფაქტს იმ მოცულობის პირობებში, როდესაც დადგენილია ბეს ხელშეკრულებაში და ხელწერილის გაფორმებაში საშუამავლო კომპანიის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ასევე, ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო მოპასუხის თანხმობა ან ამ გარიგებით მან მიიღო სარგებელი. სააპელაციო სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბეს ხელშეკრულებასა და ხელწერილის გაფორმებაში მონაწილეობდა საშუამავლო კომპანია, ბინის შემძენი და ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი წარმოადგენენ დედა-შვილს, არ გამოდგება იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძვლად, რომ მოპასუხის მიერ ბინა შეძენილი იქნა მოსარჩელის შუამავლობის ფარგლებში. ბეს ხელშეკრულება, მყიდველის ხელწერილი და სხვა მტკიცებულებები სადავო გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად არ იქნა მიჩნეული: შეძენილი ქონების მდებარეობა, მისი ღირებულება არ შეესაბამება შუამავლის ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებს, ასევე, საქმეში არ მოიპოვება წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შემკვეთის ნებას, გარიგებაში მითითებული უბნის გარდა სხვა უბანში ბინის შეძენის შესახებ. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა.

24. დაზღვევა

სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლი

მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, თუ წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1308-1246-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/2076-13, 27.03.2014) სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/545-2014, 27.03.2014) პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 799-ე და 815-ე მუხლებით და სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის დაზღვევის ხელშეკრულება და დამ-

ზღვევის მხრიდან დარღვეულია სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სკ-ის 817-ე და 818-ე მუხლების სამართლებრივი რეგულირების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადაში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდნელი შედეგები. მართალია, ზემოხსენებული ნორმები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს, მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება. მოსარჩელემ მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა ისე, რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ არ გამოუყენებია კონტრაჰენტის/დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების ფორმა. მზღვეველის უმოქმედობას კი, ამ ტიპის დავის გადაწყვეტისთვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სარჩელის დაკამყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი

ხელშეკრულების მხარეები, თუ პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ, აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სკ-ის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1319-1257-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/13542-13, 28.04.2014) სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც აპელაციის წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/3883-14, 30.10.2014) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ შეიცავდა დებულებას დამზღვევის ბრალის არსებობისას (ან ბრალის მიუხედავად) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტოავარია გამოიწვია მძღოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ, თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა სააპელაციო სასამართლომ სადაზღვევო კომპანიას დააკისრა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებუ-

ლებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან დამზღვევის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებმა აღნიშნულისგან განსხვავებულ პირობაზე შეთანხმების სურვილის არსებობისას (კერძოდ, ბრალის მიუხედავად მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე) ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიუთითონ. თუ ხელშეკრულებით მხარეები პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ, აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება (და მისი სპეციფიკური პირობები), არ შეიცავდა მითითებას დამზღვევის ბრალით (განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების მოვალეობის შესახებ, მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობის პირობებში, სადაზღვევო კომპანიას, სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის შესაბამისად არ ეკისრებოდა დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

25. საზიარო უფლებები

წილთა თანაბრობა;

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი

საზიარო უფლების გაუქმებისას მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად გაყოფის წესს, არამედ – მოდავე მხარეთა შორის საჯარო რეესტრში არსებული თანასაკუთრების წილობრივ მონაცემებს;

დაუშვებელია სკ-ის 1513-ე მუხლის გავრცელება ზოგადად ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლითაც განსაზღვრული იყო ნივთზე სარგებლობის უფლება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისი განმარტება საქმეზე №ას-470-444-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/-08, 13.03.2014) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/902-13, 26.11.2013). სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული მიწის ნაკვეთი (563 კვ.მ) უნდა გაიყოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 1993 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესის შესაბამისად, ასევე, არასწორად მიიჩნია, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება სკ-ის 1513-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მხარეთა შორის არსებული ქონების სამართლებრივ რეჟიმზე არ შეიძლება, გავლენა იქონიოს სარგებლობის წესმა. დაუშვებელია

სკ-ის 1513-ე მუხლის გავრცელება ზოგადად ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლითაც განსაზღვრული იყო ნივთზე სარგებლობის უფლება. ამ ნორმას გააჩნია კონკრეტული მიზანი, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვა მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. მით უფრო, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არა სარგებლობაში, არამედ მხარეთა თანასაკუთრებაშია. არ არის დადგენილი, თუ ვის რა წილი (რეალური) ეკუთვნის სადავო მიწის თანასაკუთრებიდან (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით). სკ-ის 954-ე მუხლის თანახმად კი, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. სწორედ საჯარო რეესტრში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის წილებზე რეგისტრაციის არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ორივე მხარეს გააჩნია თანაბარი უფლებები სადავო მიწის ნაკვეთზე. გაყოფის მექანიზმი ვერ შეეხება იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს უშუალოდ მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ქვეშ, ის შეიძლება, გავრცელდეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთზე, რადგან ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, ვერ იქნება განკარგვის ცალკე ობიექტი. ამდენად, სარჩელში მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას (სადავო 563 კვ.მ. მიწის გაყოფა მათ მიერ დაკავებული ფართების პროპორციულად), რაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე; უფლება ნაყოფზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

საკუთრების ბოჭვამ არ შეიძლება მოსპოს საკუთრება. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1205-1150-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-649, 15.10.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/982-12, 28.05.2013). საქმის გარემოებების თანახმად, მოსარჩელემ სახლი შეიძინა საზიარო ღობით. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლზე დაყრდნობით საზიარო უფლების სხვა პირზე გადასვლის შემთხვევაში (მემკვიდრე, წილის შემძენი და სხვ.), უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის ის წესი, რომელიც თავდაპირველმა მოწილეებმა განსაზღვრეს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ საცხოვრებელი სადგომის შეძენამდე, საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი ყოფილი მესაკუთრეების მიერ უკვე გან-

საზღვრული იყო და უფლებამონაცვლეზე უნდა გადასულიყო იმ სახით, როგორც სახლის გაყიდვამდე არსებულ მესაკუთრეებს შორის არსებობდა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიჯნის აღების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებია სამოქალაქო კოდექსის 172.2 და 955.2 მუხლები, მოცემული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ეშლებოდა თუ არა ხელი მოსარჩელეს მოპასუხის მხრიდან უძრავი ნივთით სარგებლობაში, ამასთან, მოსარჩელეს, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ხომ არ უნდა ეთმინა სარგებლობაში ხელშეშლა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა რომ, ნებისმიერი გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ბათილია (სკ-ის 54-ე მუხლი). ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. სკ-ის 170-ე მუხლის პირველ ნაწილის დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე უძრავი ნივთის შეძენით გახდა ამ შეთანხმებაში საცხოვრებელი სადგომის ყოფილი მესაკუთრის უფლებამონაცვლე, ვინაიდან შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, სარგებლობის არსებულ წესზე შეთანხმება ბათილია, რადგან იგი აუქმებს საკუთრების სუბსტანციას და უსამართლოდ ზღუდავს მოსარჩელის ინტერესებს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის სარგებლობის უფლებაში უსაფუძვლო ხელშეშლას, რის გამოც სარჩელი საფუძვლიანია სამოქალაქო კოდექსის 172.2 და 955.2 მუხლების გათვალისწინებით.

საზიარო საგნის განკარგვის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლი

საზიარო საგნის განკარგვისთვის საჭიროა ყველა მოწილის თანხმობა, თანხმობა საჭიროა არაა მხოლოდ წილის განკარგვისას. ასეთი თანხმობის გარეშე საზიარო საგნის განკარგვა კანონსაწინააღმდეგოა, რაც შესაძლებელია, გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს;

ერთ-ერთი მოწილის თანხმობის არარსებობა გამოიწვევს არა მთლიანად გარიგების, არამედ მისი იმ ნაწილის ბათილობას, რომელიც ამ კონკრეტული მოწილის წილს ეხება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-148-138-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/581-14. 11.12.14) უცვლელად დატოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც დაკმაყოფილდა სარჩელი უძრავ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ (საქმე №2/779-12, 24.07.14წ). სააპე-

ლაციო სასამართლოს მოსაზრებით, ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას მოსარჩელის მეუღლეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სკ-ის 959-ე მუხლი და მიუთითა, რომ ბათილია მოსარჩელის მეუღლის მიერ სადავო ქონების ჩუქებისას გამოვლენილი ნება არა ჩუქების ხელშეკრულების მთელ საგანზე, არამედ მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც საზიარო საგანში მის წილს შეესაბამება და განმარტა, რომ, ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია, როგორც საზიარო საგნის წილის, ისე მთლიანად საზიარო საგნის განკარგვა. საზიარო საგნის მთლიანად განკარგვისათვის საჭიროა ყველა მოწილის თანხმობა, ხოლო წილის განკარგვისას სხვა მოწილეთა თანხმობა საჭირო არაა. ყველა მოწილის თანხმობის დაწესება მიზნად ისახავს საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, ვინაიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე მოწილის მიერ საზიარო საგნის მთლიანად განკარგვა იწვევს იმ მოწილეთა წილების განკარგვასაც, რომელთაც ამის თანხმობა არ მიუციათ. ასეთი თანხმობის გარეშე საზიარო საგნის განკარგვა კანონსაწინააღმდეგოა, რაც შესაძლებელია ამ გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ერთ-ერთი მოწილის თანხმობის არარსებობა გამოიწვევს არა მთლიანად გარიგების, არამედ მისი იმ ნაწილის ბათილობას, რომელიც ამ კონკრეტული მოწილის წილს ეხება. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი

საზიარო უფლება როდესაც უქმდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-67-65-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/12453-13, 12.06.2013წ) დაკმაყოფილდა სარჩელი საზიარო უფლების ნატურით გაყოფის თაობაზე, რაც ძალაში იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2?/3926-13, 13.12.2013).

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის, 961-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 963-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი არ იყო გარემოება, რომ ნივთის ნატურით გაყოფა შესაძლებელია მესაკუთრეთა წილების ღირებულების შემცირებისა და დანარჩენ თანამესაკუთრეთა ინტერესების შელახვის გარეშე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილები

მონაწილეთა შორის განაწილდება კენჭისყრით. მითითებული ნორმა ხაზს უსვამს ორი აუცილებელი გარემოების არსებობაზე: საზიარო საგანი (საგნები) უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; დაყოფის შედეგად არ უნდა შემცირდეს თითოეული ნაწილის ღირებულება. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ + მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება.

შენიშვნა: ანალოგიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განმარტება საქმეზე №ას-709-672-2013

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას; საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი

საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; ბ. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. დასახელებული ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1148-1094-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/-255, 18.09.2014) დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 2/190-13, 29.04.2014). სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, როდესაც იხელმძღვანელა ექსპერტიზის დასკვნით და მიიჩნია, რომ საზიარო ნივთის ნატურით გაყოფა შესაძლებელი იყო ექსპერტის მიერ შეთავაზებული უძრავი ქონების მცირედი რეკონსტრუქციის შედეგად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით. სკ-ის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე, მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის მისაღებად, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. აღნიშნული ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ და-

ნიშნულებას. ღირებულებაში, ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა.

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონების ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაყოფისათვის, აუცილებელი იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. ეს კი მიუთითებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას ნივთის ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა არ შეიცავს არავითარ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე, თუმცა, საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობა არ უკარგავს პირს უფლებას, საზიარო საგანზე საკუთრების უფლება დაიცვას კანონით გათვალისწინებული სხვა წესით – საზიარო საგნის გაყიდვის შედეგად ამ უფლების გაუქმებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის თანახმად, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ალტერნატიული გზით – ქონების აუქციონზე რეალიზაციით. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

26. უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები; ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლი

როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულების შესრულება ვალდებულების არსებობის გარეშე, რითაც გაიზარდა ქონება, მაშინ შესაძლებელია ვალდებულების გარეშე გადახდილის უკან გამოთხოვა უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-528-501-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/1126-14, 24.02.15) უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/9488-13, 24.12.13), რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის – ქორწილის ხარჯების ნაწილის, ავტომანქანისა და დაზიანებული ნივთების ღირებულების დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 976-ე მუხლის I ნაწილით და განმარტა, რომ შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა

და მიმღების სამართლებრივ ურთიერთობას, რაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ნათესაური ურთიერთკავშირისა და გარკვეული კანონისმიერი ვალდებულებისას. მისი შეფასებით, მოპასუხეს მოსარჩელის მიერ თანხის გადაცემა უქმნიდა ვარაუდის საფუძველს, რომ ეს მოხდა მოსარჩელის სურვილით და გამორიცხავდა მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: მოპასუხის ხელწერილით დადგენილია, რომ მან მოსარჩელისგან (სიძის ბებიისგან) მიიღო თანხა, რომელიც სიძეს ჰქონდა წაღებული სხვადასხვა დროს. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რითაც საანაბრე ანგარიშიდან მოპასუხის სიძის მიერ გამოტანილი თანხის გადახდის ვალდებულებაზე და მოპასუხის ქალიშვილის მიერ სესხად გაცემული თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელ პირად მიიჩნია მოსარჩელე, როგორც ოჯახის მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხესა და მის ქალიშვილს შორის არსებობდა ნების გამოვლენა მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლის საფუძველზეც თავდაპირველი მოთხოვნის მფლობელის ადგილი დაიკავა მოპასუხემ, ასევე, მოსარჩელემ იკისრა თუ არა სესხად გაცემული თანხის დაბრუნების ვალდებულება და ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში დაიკავა თავდაპირველი მოვალის ადგილი. ამდენად, ორივე შემთხვევაში, სახეზეა ფულადი ვალდებულების შესრულება ვალდებულების არსებობის გარეშე, რითაც მოპასუხის ქონება გაიზარდა, რაც სკ-ის 385-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოშობს უკან მოთხოვნის ფაქტობრივ სამართლებრივ საფუძველს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით. რაც შეეხება სარჩელს დანარჩენი თანხის დაბრუნების ნაწილში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა: იმ საფუძვლით, რომ ორივე მხარის სურვილი იყო ურთიერთობის დასრულება მათ შორის ფინანსური ურთიერთმოთხოვნების საბოლოო გადაწყვეტით და მოსარჩელემ ეს თანხა გადაიხადა მისი სუბიექტური ნების საფუძველზე, მისი უკან დაბრუნების ვალდებულებას კი, გამორიცხავს სკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები; უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები; ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი

სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მიყენებული ზიანი გულისხმობს მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურებას, რაც მოიაზრებს არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ გამდიდრებასთან გათანაბრების შემთხვევას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-445-420-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/6688-13, 13.03.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/13934-12, 11.10.2013). სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული მოთხოვნა, კერძოდ, მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ხასიათის იყო და სამართლებრივ საფუძვლად არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 411-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის მოთხოვნა უკავშირდება მოსარჩელეთა მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ მუხლში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან, ამდენად, სადავო გაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს სკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით. პალატამ საჭიროდ მიიჩნია ყურადღების გამახვილება უსაფუძვლო გამდიდრების თავისებურებაზე და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი. ამ მხრივ, საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიუღებელ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ შეუძლებელია, ზემოთ მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება, დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები; დელიქტური ვალდებულებები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი

როდესაც პირს სხვის მიერ მისი ნივთით სარგებლობისას ადგება ზიანი, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება არა დელიქტური სამართლისგნორმებით, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით, კერძოდ კი, სკ-ის 982-ე მუხლით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განმარტება საქმეზე №ას-838-796-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/1315-13, 25.06.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბაზე (საქმე № 2/14100-12, 13.02.2013). დავა ეხება მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამასრთლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, დელიქტური ხასიათის იყო და განსახილველ მოთხოვნაზე სკ-ის 1008-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გავრცელებულიყო დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან სადავო უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით მოპასუხეს მოსარჩელისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით მოსარჩელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს სკ-ის 992-ე მუხლი. ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადავო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

აკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო, დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სსკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე – სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება„ (მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ქონების უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (მოსარჩელემ) შეიძლება გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი უძრავი ქონების ქირის ოდენობით“ (იხ. სუსგ, 05.12.2013წ., საქმე №ას-472-448-2013). განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება სკ-ის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის„ დაბრუნება შეუძლებელია, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს„ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონებით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ხანდაზმულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან განსახილველ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი, ამ ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი

თუ ერთი თანამესაკუთრე მთლიანად ასხვისებს ქონებას, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე თანამესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას თავის კუთვნილ წილზე. ამ შემთხვევაში ესაა კონდიქციური ვალდებულება და პირს, რომლის წილიც უკანონოდ იქნა გასხვისებული, შეუძლია, აღიდგინოს საკუთრების უფლება ქონებაზე

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1206-1151-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/353-13, 19.08.2013) დაკმაყოფილდა სარჩელი უძრავი ქონების ნაწილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. საქმის მასალების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №107 დადგენილების შესაბამისად, მოპასუხეს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ბინა გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ გადაცვალა სადავო ბინაზე და საჯარო რეესტრში აღირიცხა მესაკუთრედ. მოსარჩელე, როგორც მოპასუხის (დამქირავებლის) ოჯახის წევრი, ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა სადავო ფართში. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-847-13, 31.10.2013) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილი და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა წილის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან სადავო ბინა არ იყო პრივატიზებით მიღებული ქონება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლოს მიერ სკ-ის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილის არასწორად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ედავება არა უძრავი ქონების შემძენ მესამე პირს, არამედ იმ პირს, ვინც პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ნივთი მთლიანად თავის საკუთრებაში აღრიცხა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბინის 1/2 ნაწილზე მოსარჩელესაც გააჩნდა საკუთრების უფლება.

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაზე და ამ დადგენილების გამოყენების შედეგად უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგავროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზების დროს, ბინაში კანონით დადგენილი წესით ჩასახლებული და მცხოვრები ყველა პირი (ბინის დამქირავებლები და ამ დამქირავებლის ოჯახის წევრები), მათ შორის, არასრულწლოვანიც, ითვლება ბინის თანამესაკუთრედ, იმისდა მიუხედავად, ოჯახის რომელი წევრის სახელზე განხორციელდება ბინის პრივატიზაცია (იხ. სუსგ, 31.03.2009წ., საქმეზე №ას-997-1196-08).

ამდენად, მოსარჩელემ კანონის საფუძველზე მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ბინის 1/2 ნაწილზე და, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთი მთლიანად მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა საჯარო რეესტრში, მოსარჩელეს არ დაუკარგავს საკუთრების უფლება მის კუთვნილ წილზე. მართალია, მესამე პირებთან ურთიერთობაში სადავო ბინის ერთადერთ მესაკუთრედ მოპასუხე მიიჩნეოდა, მაგრამ პრივატიზებაზე უფ-

ლების მქონე პირთა შიდა ურთიერთობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი გავლენას ვერ მოახდენდა და ვერ შეცვლიდა იმ ფაქტს, რომ მოპასუხესთან ერთად, მოსარჩელეც ამ ბინის თანამესაკუთრე იყო.

გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე საზიარო საგნის გასხვისებით, მოპასუხემ განკარგა არა მარტო მისი თანასაკუთრების წილი, არამედ მოსარჩელის კუთვნილი წილიც.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კონდიქციური ვალდებულება, ვინაიდან მოპასუხე მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების ხელყოფით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, კერძოდ, მოპასუხემ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თავის საკუთრებაში აღრიცხა მოსარჩელის კუთვნილი სადავო ბინის 1/2 წილი. ამდენად, მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა უნდა დაეფუძნოს სკ-ის 991-ე მუხლსა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების ½ წილის მესაკუთრედ.

27. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურება;
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის;
მოთხოვნის ხანდაზმულობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე-130-ე მუხლები

დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოდგენს არა მხოლოდ შემსრულებელი, არამედ ისიც, ვინც შემსრულებელი დაიყოლია ან მისი ხელის შემწყობი იყო, აგრეთვე, ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-857-821-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-347-13, 27.01.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შპს-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, სკ-ის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე, დელიქტით მიყენებული ზიანის – მიუღებელი შემოსავლისა და შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს (საქმე №2/ბ-247, 09.06.2014) მიერ იმ მოტივით, რომ ის უსაფუძვლო და ხანდაზმული იყო. სააპელაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 50-ე, 316-ე, 317-ე, 319-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან „მოვალის ვალდებულება იმ დროისათვის შესრულებაში იყო“, ხოლო 2013 წლის პირველ აგვისტომდე მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე ვალდებულება არ აკავშირებდათ. შესაბამისად, ვინაიდან 2013 წლის პირველ აგვისტომდე მხარეებს შორის არ არსებობდა არანაირი ვალდებულებითი ურთიერთობა, არ არსე-

ბობდა არც ამ პერიოდში მიუღებელი შემოსავალი. ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს-ს შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით, სადავო ტერიტორია იყო შპს-ს საკუთრება და მას რაიმე ვალდებულება არ გააჩნდა მოსარჩელის მიმართ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, გარდა მოთხოვნის უსაფუძვლობისა, სარჩელი ხანდაზმულიც იყო სკ-ის 128.1-ე, 129.1-ე და 130-ე მუხლებზე მითითებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის განმარტებით დადგენილი იყო, რომ მისი უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 2005 წლიდან, როდესაც შპს-მ დაიწყო ანძის მშენებლობა, ხოლო მან თავისი შესაძლო დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს, ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხანდაზმულობის დებულებები, კერძოდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცესი დასრულდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის იანვრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს. ამგვარად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სკ-ის 129.1, 130-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტროს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური და შპს, სკ-ის 992-ე და 998-ე მუხლების შესაბამისად, სოლიდარულად აგებენ პასუხს, მოსარჩელის საკუთრების მართლსაწინააღმდეგო განკარგვის გამო, მისთვის მიყენებული ზიანისათვის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, არსებობდა დილიქტით მიყენებული ზიანისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის ცალსახა საფუძველი. სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, ოზურგეთის გამგეობა მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო კასატორის საკუთრების უფლების თაობაზე, სადავო მიწის ნაკვეთი ჯერ აღრიცხა გამგეობის საკუთრებად, ხოლო შემდეგ გაასხვისა შპს-ს სახელზე. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან სათანადო შემოწმების შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა ზემოაღნიშნულ დარღვევას, რაც ასევე მიუთითებს ოზურგეთის საჯარო რეესტრის სამსახურის, როგორც ხელის შემწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებაზე.

საკასაციო სასმართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ არის გამოკვეთილი ზიანის დადგომაში შპს-ს უშუალო მონაწილეობის ან ხელის შეწყობის დამადასტურებელი გარემოებები. დადგენილია მხოლოდ ის, რომ მიწის ნაკვეთის შეძენისას მან იცოდა, რომ ოზურგეთის რაიონის გამგეობა არ იყო მისი მესაკუთრე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა, წარმოადგენდა თუ არა შპს, რომელმაც უძრავი ნივთის შეძენისას იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, სკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებულ პირს, რომელმაც სხვისი საკუთრების მართლსაწინააღმდეგო განკარგვით ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზი-

ანით შეგნებულად ისარგებლა. სკ-ის 998-ე მუხლზე დაყრდნობით საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოდგენს არა მხოლოდ შემსრულებელი, არამედ ისიც, ვინც შემსრულებელი დაიყოლია ან მისი ხელისშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა და შემსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობას აკისრებდა იმასაც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა. გამომდინარე იქიდან, რომ შპს წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს, მან შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურთან ერთად წარმოადგენდა სკ-ის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის სუბიექტს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დამატებით შპს-ს პასუხისმგებლობის კრიტერიუმები განისაზღვრებოდა სკ-ის 164-ე მუხლით, ვინაიდან ის არ იყო კეთილსინისიერი შემძენი, შესაბამისად, ის არის არაკეთილსინდისიერი მფლობელი, რომლისგანაც უფლებამოსილ პირს (კასატორს) შეუძლია, მოითხოვოს მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. ამ მიღებულ სარგებელს წარმოადგენს არამართლზომიერი მფლობელობის პერიოდში ის თანხა, რასაც მიიღებდა მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და სარჩელი დაკმაყოფილდა.

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი

დელიქტური ვალდებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არაა სახელშეკრულებო ვალდებულება. როდესაც პირი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სახელშეკრულებო ნორმით, დაუშვებელია დელიქტური ნორმების გამოყენება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-938-900-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/11051-10, 21.02.2012) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი 27.04.2010 წლის ჩუქების ხელშეკრულება და მეორე მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა სადავო ქონება; მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 490 000 აშშ დოლარის გადახდა; სარჩელი პირველი მოპასუხისათვის, მეორე მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად, 490 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, იხელმძღვანელა სკ-ის 56.1-ე, 976-ე, 316.1-ე, 317-ე, 361.2-ე, 992-ე, 412-ე, 463-464-ე მუხლებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/6858-13, 09.07.2014) მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; პირველ მოპასუხეს, მეორე მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად დაეკისრა 490000 აშშ დოლარის გადახდა მოსარ-

ჩელის სასარგებლოდ; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო პირველი მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ, სკ-ის 998-ე მუხლის საფუძველზე, 490000 აშშ დოლარის გადახდა უნდა დაჰკისრებოდა პირველ მოპასუხეს, მეორე მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად, ვინაიდან პირველმა მოპასუხემ, სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, იცოდა გაჩუქებულ ქონებაზე მეორე მოპასუხის ვალდებულების არსებობის შესახებ და, მიუხედავად ამისა, მაინც მიიღო საჩუქარი (უძრავი ქონება), რითაც ხელი შეუწყო მოსარჩელეს ზიანის მიყენებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო და გაუქმებას ექვემდებარებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც კრედიტორის სარჩელი დაკმაყოფილდა და პირველ მოპასუხეს, მეორე მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად დაეკისრა 490000 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა პირველ მოპასუხეს მეორე მოპასუხესთან ერთად, სკ-ის 998-ე მუხლის საფუძველზე, სოლიდარულად უნდა დაჰკისრებოდა, რაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა. პალატის მოსაზრებით, უპირველესად, ყურადღება უნდა მიქცეოდა იმ გარემოებას, რომ მეორე მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სკ-ის 341-ე მუხლი და არა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, შესაბამისად, ვინაიდან მეორე მოპასუხის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი იყო სახელშეკრულებო და არა დელიქტური ვალდებულება, შეუძლებელი იყო პირველ მოპასუხეს, სკ-ის 998-ე მუხლის საფუძველზე, მეორე მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად დაჰკისრებოდა სარჩელით მოთხოვნილი თანხის გადახდა. მითითებული ნორმა ადგენს იმ პირთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, რომლებიც არასახელშეკრულებო ზიანის მიყენებაში ერთად მონაწილეობდნენ. მეორე მოპასუხეს პასუხისმგებლობა დაეკისრა არა იმის გამო, რომ მან არასახელშეკრულებო ზიანი მიაყენა მოსარჩელეს, არამედ იმიტომ, რომ 2007 წლის ხელშეკრულება მას ავალდებულებდა, შეესრულებინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ალტერნატიული ვალდებულებებიდან ერთ-ერთი, შესაბამისად, სარჩელითაც ზემოხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველადი მოთხოვნა იყო წამოყენებული. ცხადია, თუ მეორე მოპასუხის პასუხისმგებლობა მოსარჩელისათვის არასახელშეკრულებო ზიანის მიყენებას არ უკავშირდებოდა, ვერც პირველი მოპასუხე იქნებოდა არარსებული ზიანის მიყენებაში თანამონაწილე პირი და, სკ-ის 998-ე მუხლის საფუძველზე, პასუხისმგებლობაც ვერ დაეკისრებოდა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

28. ინტელექტუალური სამართალი

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა

– „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხო-

ლო, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი. აქედან გამომდინარე, ამ უკიდურესი ზომის გამოყენებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ისეთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1285-1223-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/10241-13, 11.02.14) არ დაკმაყოფილდა სარჩელი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვისა და მოპასუხის კუთვნილი, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შეჩერებული კონტრაფაქციული ტვირთის განადგურების თაობაზე, რაც სააპალაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/1973-14, 29.10.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შეჩერებული მოპასუხის კუთვნილი ქონება იყო კონტრაფაქციული და, აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილი „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები ამ ტვირთის გასანადგურებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის (სასაქონლო ნიშნის მფლობელის) მოთხოვნის საფუძვლიანობას საქონლის განადგურების თაობაზე, ანუ გამოკვლეული იყო თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, თუმცა არასწორად განმარტა „დ“ ქვეპუნქტი. გასათვალისწინებელია, რომ, მითითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო, თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი. ამდენად, ამ უკიდურესი ზომის გამოყენებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ისეთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ითხოვდა საქონლის განადგურებას, სასამართლოს იურიდიულად სწორად უნდა განესაზღვრა მტკიცების საგანი, რომელიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობის ფაქტსაც, რაც უნდა გამხდარიყო მტკიცებითი პროცესის ობიექტი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი წინაპირობების კვლევის გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა ამ საქონლის განადგურების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა, რადგან არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლზე დაყრდნობით საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში და მოსთხოვა მას სწორად განესაზ-

ღვრა მტკიცების საგანი მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლითაც ის ითხოვდა სადავო ქონების განადგურებას. ამისათვის სააპელაციო სასამართლოს, საქმის ხელახლა განხილვისას, უნდა გამოეკვლია, შესაძლებელი იყო თუ არა კასატორის (მოპასუხის) სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება. მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში შესაძლებელია, დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ კასატორის (მოპასუხის) სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია.

29. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი

ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია, თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც თითოეულმა შეიძინა ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან ცალ-ცალკე ცხოვრების დროს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1006-967-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/441-14, 08.07.2014) ნაწილობრივ შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილება (საქმე №2/3167-13, 17.12.2013). სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვიანიდან სადავო უძრავი ქონება მეუღლეთა საქორწინო ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტის შემდეგ იქნა შეძენილი, მასზე თანასაკუთრების რეჟიმი არ ვრცელდებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რადგანაც ნორმა წარმოადგენს ერთგვარი საგამონაკლისო შემთხვევის დამდგენ დანაწესს, მას აღწერილობით ნაწილი არ გააჩნია და იგი ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად შეიძლება იქნეს განხილული, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია, გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. ამ საფუძვლით სასამართლოს შეუძლია, თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად ქონების მიჩნევისას, შეაფასა მხოლოდ ის გარემოება, რომ ნივთის შეძენისას საერთო მეურნეობას მეუღლეები აღარ აწარმოებდნენ და ქორწინება, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, ფაქტობრივად იყო შეწყვეტილი, თუმცა

პალატას არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მეუღლეთა ქონების გაყოფისას წილთა თანაბრობის საწყისიდან გადახვევის განმაპირობებელი იმგვარი გარემოებები, რომლებიც სადავო უძრავ ნივთზე მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების უფლებას იურიდიულ საფუძველს გამოაცლიდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ მეუღლეებს ჰყავთ ოთხი არასრულწლოვანი შვილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებების დამატებითი გამოკვლევის მიზნით.

30. საალიმენტო მოვალეობანი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ; ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას – იმ შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობას, რაც მათ გააჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების მომენტში და არა იმას, თუ როგორი იყო მათი მატერიალური შესაძლებლობა წარსულში

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-675-641-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-1175-12, 25.07.2012) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი ალიმენტის დაკისრებისა და წარსული დროის ალიმენტის დაკისრებაზე. სასამართლომ ალიმენტი განსაზღვრა 100 ლარით, ხოლო წარსული დროის ალიმენტის დაკისრება კი – 2011 წლიდან, როდესაც მოპასუხემ შეიტყო შვილის დაბადების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/-170-2013, 16.05.2013) დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, კერძოდ, ალიმენტი გაზარდა 500 ლარამდე, ხოლო წარსული დროის ალიმენტის დაკისრება განსაზღვრა შვილის დაბადების თარიღიდან – 2009 წლის ნოემბრიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებდა სარჩელის აღძვრამდე მოპასუხის მუდმივი დასაქმებისა და შემოსავლის მუდმივად მიღების ფაქტს. სკ-ის 1214-ე მუხლის მიხედვით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მშობლების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას, ანუ იმ შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობას, რაც მათ გააჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების მომენტში და არა იმას, თუ როგორი იყო მათი მატერიალური მდგომარეობა წარსულში. ალიმენტის დანიშვნისას სასამართლო ხელმძღვანელობს ალიმენტვალდებული პირის რეალური მატერიალური მდგომარეობით, ანუ გადამწყვეტია, თუ როგორი მატერიალური მდგომარეობა გააჩნია ალიმენტვალდებულს ალიმენტის და-

ნიშვნისა თუ შეცვლის მომენტში. სკ-ის 1214-ე მუხლის შესაბამისად, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მოთხოვნათა ფარგლებით. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე – შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოპასუხე, ხანდაზმულობის გამო, აღარ მუშაობს თავისი პროფესიით, საქმის მასალებით არ დასტურდება და ვერც მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოპასუხეს რაიმე სხვა შემოსავალი გააჩნია, მოპასუხის ავადმყოფობის გამო მისი ხარჯები იზრდება, ასევე მოსარჩელე დასაქმებულია, საკასაციო სასამართლომ მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად ალიმენტის სახით დააკისრა 150 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან ბავშვის სრულწლოვანობამდე.

რაც შეეხება ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნას წარსული დროისათვის, სკ-ის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ საქმის მასალების შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ალიმენტის გადახდის მოთხოვნა წარუდგინა 2011 წლის ივლისში და, შესაბამისად წარსული დროის ალიმენტი მოსარჩელეს სწორედ ამ დროიდან უნდა ანაზღაურებოდა თვეში 150 ლარის ოდენობით.

ალიმენტის ოდენობის შემცირება უფლებამონაცვლეობის დადგენისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლი

ალიმენტის შემცირების საფუძველი არ შეიძლება გახდეს მისი გადამხდელის სასესხო დავალიანების არსებობა და არც მის მიერ ახალი ვალდებულებების აღება შეიძლება გახდეს ალიმენტის შემცირების უპირობო საფუძველი

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-617-585-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/6785-13, 17.04.14) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/15146-13, 28.10.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ალიმენტის ოდენობის შემცირების საფუძვლად მიიჩნია მოსარჩელის მიერ მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მას კმაყოფაზე ჰყავდა დამატებით ორი არასრულწლოვანი შვილი და გააჩნდა ბანკის ვალი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა, მისი ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის იმ არასრულწლოვანი შვილების ინტერესები, რომლებიც მას კმაყოფაზე ჰყავდა. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ვერც სასესხო დავალიანების არსებობის ფაქტი გამოდგებოდა ალიმენტის შემცირების საფუძვლად, რადგან აღნიშნული დროებით მოვლენას წარმოადგენს. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მიერ ახალი ვალდებულებების (მათ შორის სესხის) აღება არ შეიძლება, იყოს სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირების უპირობო საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მოცემული დას-

კვნა შეესაბამება მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა საჩივარი.

31. მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი

სამკვიდრო ქონება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლები

უფლებამონაცვლეობის დადგენისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონის საფუძველზე მოთხოვნის უფლების გადასვლისა და სამემკვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-649-615-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/2756-14, 10.02.2015) ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/17139-13, 12.03.2014), რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი უბედური შემთხვევის გამო დანიშნული ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გაზრდის გამო ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის – 15700 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით. მოსარჩელის გარდაცვალების გამო სააპელაციო სასამართლოს მიერ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მოსარჩელის შვილი. სააპელაციო პალატამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 411-ე და 992-ე მუხლები და დაასკვნა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სამართლებრივად არ დაასაბუთა თავისი დასკვნა მოსარჩელის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის დაკისრების თაობაზე. დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია განჩინების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რითაც დარღვეულია სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

მართალია, სააპელაციო პალატამ 2015 წლის 10 თებერვლის საოქმო განჩინებით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მოპასუხისათვის ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის, 15 700 ლარის, დაკისრების ნაწილში მოწინააღმდეგე მხარე ცნო, მაგრამ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არ დაასაბუთა უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის დაკისრება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონის საფუძველზე მოთხოვნის უფლების გადასვლისა და სამემკვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კანონის ძალით მოთხოვნის უფლება უფლებამონაცვლეზე გადავიდა და, ამასთან, არ არსებობდა ამ მოთხოვნის უფლების უფლებამონაცვლეზე გადასვლის გამომრიცხველი გარემოებები (სკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკ-ის 1328-ე მუხლისა პირველი ნაწილისა და სკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების საფუძველზე, მოპასუხე ვალდებული იყო, გარდაცვლილის უფლებამონაცვლისთვის გადაეხადა ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობა 15 700 ლარი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

32. მემკვიდრეობა კანონით

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განქორწინებისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, განმსაზღვრელია არა ის გარემოება, არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმ კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-187-174-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2/ბ-1001, 29.12.2014) დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2-333/14, 15.08.2014). სადავო იყო გარდაცვლილი მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდროზე მოპასუხის მემკვიდრეობის უფლების კანონიერება. მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება დღემდე გაუქმებული არ არის, თუმცა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მეუღლეებს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მოცემულია მატერიალური სამართლის ნორმებში, რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებენ. საოჯახო სამართალში, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, პრეზუმფცია მოქმედებს მოპასუხის სასარგებლოდ, რაც ნიშნავს სწორედ იმას, რომ, ვიდრე მოსარჩელე არ დაადასტურებს ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მიიჩნევა, რომ მოპასუხე წარმოადგენს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეს. იურიდიული თვალსაზრისით, ფაქტი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე წარმოშობს ქორწინებასთან დაკავშირებულ კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. იმის დასადასტურებლად, რომ რეგისტრირებული ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე, რომ მამკვიდრებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან არ ცხოვრობდა, არ ყოფილა სამოქალაქო პანაშვიდებზე, დაკრძალვას არ დასწრებია, არც მატერიალურად მიუღია რაიმე მონაწილეობა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში კი, ძნელია იმისი ვარაუდი, რომ იგი თავს მიიჩნევდა გარდაცვლილის მეუღლედ და მათ შორის, არსებობდა ის ურთიერთობა, რასაც კანონმდებელი ოჯახის ცნების მიღმა მოიაზრებს.

თავის მხრივ, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხს სკ-ის 1341-ე მუხლი აწესრიგებს. ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და, შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, ამავე ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, განმსაზღვრელია არა ის გარემოება, არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორს ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენილი გარემოებების ერთობლიობად შეფასების შედეგად, სახეზეა ის აუცილებელი ფაქტობრივი საფუძველი, რაც საკმარისია მეუღლეებს შორის ფაქტობრივად ქორწინების შეწყვეტილად მიჩნევისათვის. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა ჩამოერთვას ფაქტობრივად შეწყვეტილ ქორწინებაში მყოფი პირისაგან მემკვიდრეობის მიღების უფლება.

33. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს მიღების შინაარსი;
მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

– საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 544-ე და 556-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

სამკვიდრო მოწმობის, როგორც უფლებადამდგენი დოკუმენტის იურიდიული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ადგენს ან ცვლის ახალი ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს აქვთ, როგორც უფლებები, ასევე – ვალდებულებები. სწორედ სამკვიდრო მოწმობაა ის გადამწყვეტი დოკუმენტი, რითაც პირი მოიპოვებს საკუთრების უფლებას ქონებაზე. ყველა შემდგომი ქმედება გამომდინარეობს ძირითადი უფლებადამდგენი დოკუმენტისაგან. ასეთი დოკუმენტი კი სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის გარეშე, ვერ გაუქმდება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-750-718-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/5010-13, 23.10.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, ასევე, მოპასუხის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/6505-13, 14.05.2014) გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხეთა შორის 2013 წლის 15 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულება უძრავ ნივთზე 1/6 ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა მითითებული უძრავი ნივთის 1/6-ის მესაკუთრედ, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხეთა შორის 2012 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულე-

ბა უძრავი ნივთის 1/18 ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა მითითებული უძრავი ნივთის 1/18-ის მესაკუთრედ.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსამ.კ-ის (1964 წლის რედ.) 544-ე, 556-ე მუხლებით და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა დ. წ-ში მდებარე ქონების 1/2 ნაწილზე და ქ. თ-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 წილის 1/2-ზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი რიგის სამივე მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროს – დ. წ-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/6 წილის (1/2 ნაწილის 1/3 წილი) და ქ. თ-ში მდებარე უძრავი ქონების 1/18 წილის (2/6 ნაწილის 1/3 წილი) მესაკუთრედ მიჩნეულ იქნა კანონისმიერი მემკვიდრე – მოსარჩელე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არამართებულად გამოიყენა სსამ.კ-ის 556-ე მუხლი, აგრეთვე 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლს (უფრო ზუსტად კი, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე მითითებით, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე და 556-ე მუხლებზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია 1978 წელს ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. სწორედ ეს სამკვიდრო მოწმობა გახდა ის იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ მიიღო გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო ქონება და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. მოსარჩელეს პირველ რიგში ამ დოკუმენტის ნაწილობრივი ბათილობა უნდა მოეთხოვა.

საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ისე ცნო მოსარჩელე (აპელანტი) სადავო ქონების 1/6-ის მესაკუთრედ, რომ საერთოდ არ უმსჯელია (და ვერც იმსჯელებდა, მოთხოვნის არარსებობის გამო) სამკვიდრო მოწმობის ბათილობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, იურიდიული დასაბუთების გარეშე, მხოლოდ სსამ.კ-ის (1964 წლის რედ.) 556-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოიტანა იმ ქონებაზე, რომელსაც მოცემული სასარჩელო განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის პირობებში ვერაფრით მიაკუთვნებდა აპელანტს, სათანადო მოთხოვნის (სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილობა) გარეშე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი – სსამ.კ-ის (1964 წლის რედ.) 556-ე მუხლი.

უფლებადამდგენი დოკუმენტების (კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა, ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობა, შინაურული ანდერძი) იურიდიული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ადგენს ან ცვლის ახალი ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს აქვთ, როგორც უფლებები, ასევე – ვალდებულებები. 1978 წელს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ძალით, მოპასუხემ მოიპოვა საკუთრების უფლება გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო ქონებაზე (საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გახდა), იმავდროულად, მას დაეკისრა სამართლებრივი ვალდებულებები ქონების მოვლის, გადასახადების გადახდის და ა.შ. ამრიგად, სწორედ სამკვიდრო მოწმობა გახდა ის გადამწყვეტი დოკუმენტი, რითაც მან მოიპოვა საკუთრების

უფლება უძრავ ქონებაზე. ყველა შემდგომი ქმედება (ჩუქების ხელშეკრულებები) წარმოებულია ძირითადი უფლებადამდგენი დოკუმენტისაგან. დოკუმენტი არ გასაჩივრებულა, ის დღესაც კანონიერ ძალაშია და, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის გარეშე, ვერ გაუქმდება.

საკასაციო პალატაა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 48-ე მუხლის შესაბამისად, სადავო სამკვიდრო მოწმობითა და ჩუქების ხელშეკრულებებით უკანონოდ განიკარგა მამკვიდრებლის, ხოლო შემდგომში მისი შვილის – მოსარჩელის ქონება და ამით შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის (მოპასუხე) მოსაზრება იმ ნაწილში, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ არ შეიძლება, გამოყენებული იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესი.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეები იყვნენ დედა — შვილი, შესაბამისად, დედას, როგორც სადავო ქონების ერთადერთ მესაკუთრეს, სკ-ის 170-ე და 524-ე მუხლების საფუძველზე შეეძლო, თავისი შვილისათვის საჩუქრად გადაეცა ქონება და არ არსებობს ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით.

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი

– საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს № 146 ბრძანება

– „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-7 მუხლები

საზღვარგარეთ არალეგალურად ყოფნის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-421-398-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლის ერთ-ერთ მოთხოვნასაც წარმოადგენდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევა და ამ ვადის აღდგენა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე 2008 წლის სექტემბრიდან არ იმყოფებოდა საქართველოში, არალეგალურად ცხოვრობდა იტალიაში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება. გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/476-12, 29.04.2013) სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/3389-13, 19.02.2014) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს აღუდგა სამკვიდროს მიღების ვადა. სააპელაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, საქმის მასა-

ლებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელემ სამკვიდროს მიღების მიზნით პირველი ქმედება განახორციელა 18.02.2011წ., გასცა რა მინდობილობა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რომლითაც მინდობილ პირს მიანიჭა კონკრეტული უფლებამოსილება – ეწარმოებინა სამემკვიდრეო საქმე. იმის გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 22.05.2009წ., პალატის მოსაზრებით, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად უნდა დადგენილიყო მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილების საპატიოობა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან, – 2009 წლის 22 მაისიდან, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მისაღებად პირველი ქმედების განხორციელებამდე – 2011 წლის 18 თებერვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე ამ პერიოდში არ იმყოფებოდა საქართველოში და იგი ობიექტურად ვერ შეძლებდა, ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას. რაც შეეხება სამკვიდრო მიღებას წარმომადგენლის მეშვეობით, პალატამ მიუთითა იმ უდავო გარემოებაზე, რომ მოსარჩელე არალეგალურად (სავიზო რეჟიმის დარღვევით) იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სასამართლოს შეფასებით, დასაბუთებული იყო ვარაუდი, რომ მოსარჩელე მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკონსულოს მეშვეობით ეწარმოებინა წარმომადგენლობის გაფორმების საკითხი. სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ მოსარჩელეს შეეძლო, სამკვიდრო მიეღო წარმომადგენლის მეშვეობითაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.08.2010 წლის №146 ბრძანების შესაბამისად გაცემული მინდობილობით (კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება არ წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს, იგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და დაუსაბუთებელია მსჯელობა კანონქვემდებარე აქტში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი მოქალაქის სავალდებულო ინფორმირების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საზღვარგარეთ არალეგალურად ყოფნის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს №146 ბრძანება (რომლითაც დამატებები შევიდა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებაში და დასაშვებად იქნა მიჩნეული მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით) არ წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს და კანონქვემდებარე აქტში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოქალაქეს არ ეცოდინებოდა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის სწორი განმარტებიდან, რადგანაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა და დადგენილია, რომ სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საკასაციო პალატის შეფასებით, რადგანაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, თავისთავად წარმოადგენს საქართველოს

კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს, მის მიმართ სავსებით ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით განმტკიცებული კანონის ცოდნის პრეზუმფცია, რაც დაუსაბუთებელს ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ საზღვარგარეთ მყოფმა მოსარჩელემ საპატიოდ გადააცილა სამკვიდროს მიღების ვადას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელის სარჩელი სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევის, ამ ვადის აღდგენისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება; კანონით მემკვიდრეობის შინაარსი, რიგითობა; სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი

თუ მემკვიდრეობის მიუღებლობის მიზეზი არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და ეს გარემოება მემკვიდრეობის ვადის გაგრძელების მოთხოვნისას არ აღმოფხვრილა, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელეებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო;

საქმის განხილვაში მხარედ ყველა იმ რიგის მემკვიდრე უნდა იქნეს მოწვეული, რომელსაც კანონის თანახმად გააჩნია მემკვიდრეობის უფლება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-655-621-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში და მოითხოვეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევა და ამ ვადის გაგრძელება იმ საფუძვლით, რომ პირველი მოსარჩელე 2008 წლიდან არალეგალურ შრომით ემიგრაციაში იმყოფებოდა საბერძნეთში და საქართველოში არ ჩამოსულა, ხოლო მეორე მოსარჩელე უსინათლოა, იგი დაავადებულია ორივე თვალის ტერმინალური გლაუკომით და მათგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ შეძლეს სამკვიდროს მიღება. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-188-13, 15.07.2014) სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც ძალაში იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ-4997-14, 13.03.2015).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელეების მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოობის შესახებ დაუსაბუთებელი იყო, კერძოდ, ორივე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. ის მიზეზი, რომ პირველი მოსარჩელე 2008 წლიდან დღემდე შრომით მიგრაციაშია, ხოლო მეორე მოსარჩელე, უსინათლოა, არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და არცერთი ეს გარემოება არ აღმოფხვრილა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელეებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რო-

მელსაც მათ 2013 წლის 25 დეკემბერსა და 2014 წლის 13 იანვარს (ამ დროისათვის ექვსთვიანი ვადა უკვე გასული იყო – მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 22 ივნისს) მიანიჭეს მათი სახელით მოქმედების უფლებამოსილება სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტები და წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა „მყარი შინაგანი რწმენის“ საფუძველზე იძლეოდა ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას (სსკ-ის 105.2. მუხლი), რისი საფუძველიც ამ შემთხვევაში არ იყო.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მემკვიდრეობის საქმეთა განხილვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც გულისხმობს იმას, რომ საქმის განხილვაში მხარედ ყველა იმ რიგის მემკვიდრე მოიწვევა, რომელსაც კანონის თანახმად გააჩნია მემკვიდრეობის უფლება (სკ-ის 1336-ე მუხ.). საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა ერთერთი მემკვიდრე (მოსარჩელეთა წარმომადგენელი), რომელმაც სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში მიიღო და, აქედან გამომდინარე, მესაკუთრეც გახდა (სკ-ის 1433-ე მუხ.). შესაბამისად, სააპელაციო პალატის ყურადღების მიღმა დარჩა სავალდებულო თანამონაწილეობის საკითხი, რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, რომლის თანახმადაც, სავალდებულო თანამონაწილეობა სახეზეა თუ სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მემკვიდრეთა საერთო უფლება კანონიდან გამომდინარე იყო (სკ-ის 1336-ე მუხ. 1-ლი წინადადება), მოსარჩელეებმა კი, მამკვიდრებლის დანაშთი ქონების ¼– ¼ წილის მესაკუთრედ ცნობა ისე მოითხოვეს, რომ მოთხოვნა წაუყენეს მხოლოდ მოპასუხეს და საქმეში არ ჩააბეს მეოთხე მემკვიდრე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

34. სამოქალაქო კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

სამოქალაქო კოდექსის მოქმედება დროში

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო სამართლის (1964 წ. რედ.) კოდექსის 547-ე მუხლი

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე ამყარებს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-571-542-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/-1200-13, 31.03.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2-1086-13, 18.11.2013). მოსარჩელის მოთხოვნა, სამკვიდროდან (სახლთმფლობელობიდან) სავალდებულო წილის მიკუთვნების, ასევე, მისაკუთვნებელი სავალდებულო წილის ½ მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის თაობაზე, პალატამ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა სამკვიდროდან სავალ-

დებულო წილის მიმღებ სუბიექტებს, რადგანაც მამკვიდრებლის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა სსამ.კ-ის (1964 წ. რედ.) მოქმედების ფარგლებში და მოქმედი სკ-ის 1507-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ურთიერთობაც სწორედ იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით უნდა მოწესრიგებულიყო. სსამ.კ-ის (1964 წ. რედ.) 547-ე მუხლის შესაბამისად კი, სამკვიდროდან სავალდებულო წილი ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან შრომისუუნარო შვილებს, აგრეთვე გარდაცვლილის შრომისუუნარო მეუღლეს. რადგანაც მოსარჩელე ნორმაში მითითებულ სავალდებულო წილის მიღების წინაპირობებს არ აკმაყოფილებდა, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის დათქმიდან გამომდინარე, მას სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ წარმოშობია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სკ-ის კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის დებულება, რომლითაც კანონმდებელი ძველი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების ფარგლებში წარმოშობილი ურთიერთობების ახალი კოდექსით რეგულირების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ მოდავე სუბიექტებს სურთ, ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ. სარჩელის, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების შესწავლით უდავოდ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე მოთხოვნას მოქმედი სკ-ის ნორმებზე ამყარებდა. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ არა თუ სადავო გახადა ურთიერთობის სკ-ის მოქმედი რედაქციით მოწესრიგება, არამედ, თავადაც ამ კოდექსის ნორმაზე დაყრდნობით უარყო სასარჩელო მოთხოვნები და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც იძლეოდა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ მოსარჩელის მოთხოვნები სწორედ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით უნდა მოწესრიგებულიყო. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე; საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე; საზიარო უფლების გაუქმება

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლები

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და დაუშვებელია, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის ამ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ;

მხარეთა მიერ საზიარო უფლების სარგებლობისა და მართვის წესზე შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს მათი საკუთრების უფლებაზე;

დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბსტანცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-667-634-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-694-11, 28.12.2011) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი საზიარო უფლების ნატურით გაყოფის თაობაზე, რაც მოპასუხენ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-275-12, 25.04.2013წ) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მხარეებს ინდივიდუალურად მიეკუთვნათ უძრავი ქონების ის ნაწილი, რომელსაც ისინი ფლობდნენ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ გავლენა მოახდინა უძრავ ნივთზე მხარეთა საკუთრების უფლებებზე. სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სკ-ის 1513-ე მუხლი და განმარტა, რომ ამ ნორმით, თითოეული მხარის საკუთრებად ჩაითვალა ის ნაკვეთი, რომელსაც იგი 1997 წლის 25 ნოემბრამდე ინდივიდუალურად ფლობდა, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული მათგანი ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა. სასამართლომ სკ-ის 958-ე მუხლზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მხარეთა მიერ დადგენილი საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი და თითოეულ მხარეს უნდა მიჰკუთვნებოდა ის ქონება, რომლითაც იგი სარგებლობდა, ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო სადავო ქონებას საზიარო საგნად მიიჩნევდა, იგი მაინც ზემოხსენებული წესით უნდა გაყოფილიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლებრივი მდგომარეობისაგან განსხვავებით, მხარეთა ფაქტობრივი მფლობელობა გავლენას ვერ მოახდენს ამ ქონების საკუთრების რეჟიმზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სკ-ის 1513-ე მუხლის განმარტება, რომლის თანახმადაც, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სკ-ის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სკ-ით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. ამდენად, დაუშვებელია, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის ამ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 958-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს განმარტების საფუძველზე, მხარეთა მიერ საზიარო უფლების სარგებლობისა და მართვის წესზე შეთანხმება გავლენას ახდენს მათი საკუთრების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბსტანცია. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველ საკითხს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც გადაწყდა მიწის ნაკვეთის გაყოფა და საზიარო უფლების გაუქმება, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად შესაძლებელია მიწის ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით სკ-ის 963-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე; საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი

1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, რადგანაც რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაზე დაუშვებელია, გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ;

საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ამიტომ, საზიარო უფლების იმგვარი გაუქმება, როდესაც საზიარო საგნის ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებაში რჩება, ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-59-58-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/2243-13, 28.06.2013), არ დაკმაყოფილდა სარჩელი საზიარო უფლების ნატურით გაყოფისა და რეალური წილის დადგენის თაობაზე. მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატამ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. სკ-ის 1513-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე მხარეები წარმოადგენდნენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს და საჯარო რეესტრის ჩანაწერი თანასაკუთრების შესახებ იყო მცდარი. სწორედ ამ დასკვნაზე დაყრდნობით გააუქმა სააპელაციო პალატამ მხარეთა საკუთრების უფლების ამსახველი ჩანაწერი და მიიჩნია, რომ რეესტრში ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციას ექვემდებარებოდა მხარეთა ფაქტობრივი მფლობელობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საზიარო უფლების ობიექტიდან ნაწილის გამიჯვნა შეუძლებელი იყო და უძრავი ქონების ეს ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებად უნდა დარჩენილიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მხარეთა შორის საზიარო უფლების ფაქტობრივი მფლობელობის მიხედვით გაუქმების, ასევე, ფაქტობრივ მფლობელობაში მიწის ნაკვეთის კონკრეტული ნაწილების არსებობის გამო, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის თაობაზე და განმარტა, რომ, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, რადგანაც რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაზე დაუშვებელია, გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ.

პალატამ სკ-ის 311-ე და 183-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნამდვილობას განსაზღვრავს მისი რეესტრში რეგისტრაცია და ჩანაწერის უსწორობაზე მსჯელობა, ისეთ პირობებში, როდესაც სა-

კუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი მხარეთა მიერ არაა შედავებული, უპირობოდ გამორიცხავს ჩანაწერის უსწოროდ მიჩნევას, მით უფრო, საზიარო უფლების სამართლებრივ რეჟიმში, როდესაც ნივთზე აღრიცხულია მხარეთა თანასაკუთრება იდეალური წილით. ამგვარი უფლების (თანასაკუთრება) სოციალური არსი მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობაზე დაყრდნობით არ შეიძლება შეიცვალოს.

საზიარო უფლების იმგვარ გაუქმებაზე, როდესაც საზიარო საგნის ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებაში რჩება, საკასაციო სასამართლომ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიუთითა, რომ ამგვარი გაყოფა ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს (სკ-ის 963-ე მუხლი), ასევე – დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი

კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული სარგებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სკ-ის 1513-ე მუხლის ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას;

საკუთრების კანონისმიერმა და სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განმარტება საქმეზე №ას-271-255-2011 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-106, 05.01.11) გააუქმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (№2/1002, 20.09.10), რითაც სარჩელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სამკვიდროს მიღებულად აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მოსარჩელე ცნო სადავო სახლის 1/6 ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

სასამართლოს მსჯელობით, საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის იმ ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ მათ საკუთრებაში იყო სკ-ის ამოქმედებამდე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სკ-ის 1513-ე მუხლი, რომელიც საკუთრების უფლებას ადგენს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და განმარტა, რომ „კანონიერ სარგებლობაში“ უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები და კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. თუ სახლის თანამესაკუთრეები 1958 წლის 5 იანვარს შეთანხმდნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე,

რადგან მაშინ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფოსგან გადაცემული მიწის ნაკვეთის სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას, ხელშეკრულება ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის შესახებ ბათილია. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესი გრძელდება დღემდე, მოქმედი სკ-ის პირობებშიც, საყურადღებოა საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას. სკ-ის 170-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მან არ შეიძლება, მოსპოს საკუთრება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მოსარჩელე ვერ მიიჩნევა მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

პრივატიზება

საცხოვრებელი ბინის პრივატიზება

– „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლება ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე და საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1161-1107-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/83, 10.07.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/ბ-755-13, 17.10.2013) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ სადავო ბინის 1/5-1/5 ნაწილის მოსარჩელეთათვის მიკუთვნებაზე უარი იმ საფუძვლით დაასაბუთა, რომ ისინი პრივატიზების განხორციელების მომენტისათვის ამ ბინაში რეგისტრირებული არ ყოფილან. „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №107 დადგენილების მე-5 პუნქტი კი, გამორიცხავდა მოსარჩელეთა უფლებას უძრავ ქონებაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზემოხსენებული დადგენილების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. განსახილველი დადგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“. ქირავნობის ურთიერთობის ნამდვილობისათვის განმსაზღვრელი იყო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რომელიც, ერთ შემთხვევაში, წარმოიშობოდა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში – დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტით და ამ უკანასკნელებს გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამდენად, ხსენებული დადგენილებით მინიჭებული უფლება ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე და საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება.

საქმეზე დადგენილი გარემოებების (ორდერის გაცემის დროისათვის კასატორები დაბადებული არ ყოფილან, ხოლო პრივატიზების განხორციელებისას არ იყვნენ სრულწლოვანები, დედასთან ფაქტობრივად ცხოვრებით მათ მოიპოვეს დამქირავებლის უფლებები ბინაზე) ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების გზით პალატამ გამოტანა დასკვნა, რომ მოსარჩელეებს მოპოვებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით გათვალისწინებული საკუთრების უფლება ბინაზე.

შრომის სამართალი

1. შრომითი ხელშეკრულების დადება

– საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 და 38-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტა გავლენას ვერ იქონიებს შრომითი ხელშეკრულების უვადოდ დადებულად მიჩნევაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-373-354-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/6187-14, 19.02.2015) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 2/1473-14, 03.09.2014). განსახილველ დავაზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ბრძანების ბათილად ცნობის წინაპირობები. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა შრომის კოდექსში 2013 წლის 12 ივნისს განხორციელებული ცვლილებები შრომითი ხელშეკრულების უვადოდ მიჩნევასთან დაკავშირებით, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მომწესრიგებელ ნორმაში ცვლილებები შევიდა 2013 წლის 12 ივნისს და ამოქმედდა 2013 წლის 4 ივლისს, ხოლო დადგენილი გარემოებების მიხედვით 2013 წლის 16 ივლისის მხარეთა შორის ერთი წლის ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 31 ოქტომბრიდან, შესაბამისად, მოსარჩელის შრომითი ურთიერთობა მოპასუხე კომპანიასთან შრომის კოდექით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში არ გაგრძელებულა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე დაუსაბუთებული იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის ფაქტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სკ-ის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება და განმარტავს, რომ 2013 წლის 16 ივლისს, ერთი წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა საკანონმდებლო ცვლილების ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ და ის ფაქტი, რომ დამსაქმებელმა 2013 წლის 31 ოქტომბრიდან უკანონოდ შეწყვიტა იგი, გავლენას ვერ იქონიებს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 13 ნაწილით განსაზღვრულ ხელშეკრულების უვადოდ დადებულად მიჩნევის საკითხზე. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ასევე, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის პრეტენზია დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი
– საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი და მე-6 მუხლები

თუ მხარეთა მიერ შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ არის მითითებული, იგი ჩაითვლება უვადოდ დადებულად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-371-349-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1155-13, 12.02.13) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/1059-13, 23.10.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, იქედან გამომდინარე, რომ მხარეთა შორის 3 თვის ვადით იყო დადებული შრომითი ხელშეკრულება და აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხელშეკრულება არ შეწყვეტილა, შრომითი ურთიერთობა გაგრძელებულად მიიჩნია იმავე ვადით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში სამართლის ნორმათა გამოყენების პრინციპს, კერძოდ, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შრომითი ხელშეკრულების, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების წარმოშობასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის ურთიერთობები მთლიანად წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით. ამ უკანასკნელის მიხედვით, ვადა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, რომელიც საჭიროებს მხარეთა შორის შეთანხმებას. საქმის მასალების თანახმად კი, ასეთი შეთანხმება მახარეთა შორის არ მიღწეულა, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად უნდა ჩათვლილიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა) მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მოსარჩელე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლი

პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. თუ დასაქმებულმა მიმართა დამსაქმებელს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით და საპასუხოდ დამსაქმებელმა გამოსცა თანხმობის ბრძანება, ხელშეკრულება ჩაითვლე-

ბა გაგრძელებულად მოთხოვნილი ვადით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1199-1141-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/582-14, 06.06.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-724-14, 29.09.2014) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე და იგი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეთა ორმხრივი, მკაფიო შეთანხმება არ არსებობდა მათ შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების ვადის თაობაზე და მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა (ხელშეკრულება) გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, 2014 წლის 5 მარტიდან მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლება შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უკანონო იყო და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილება ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სადავო იყო საკითხი იმასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად უნდა ჩათვლილიყო, თუ აღნიშნული ურთიერთობა შებოჭილია სახელშეკრულებო ვადით. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

საქმეზე დადგენილი იყო, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ 2013 წლის 3 იანვარს დაწერა განცხადება შრომის ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ, რომლის საფუძველზეც 2013 წლის 3 იანვრის ბრძანებით მას გაუგრძელდა შრომის ხელშეკრულება ერთი წლით, 2013 წლის 3 იანვრიდან 2014 წლის 3 იანვრის ჩათვლით. აღნიშნული ბრძანება განცხადებასთან ერთად უთანაბრდებოდა დასაქმებულთან ხელშეკრულების დადებას 2012 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულების ერთი წლის ვადით გაგრძლების თაობაზე. ბრძანებულებაში არსებული ჩანაწერი ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელების შესახებ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. პირიქით, მოსარჩელე საკუთარ ახსნა-განმარტებაში ადასტურებდა, რომ მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულება მოპასუხესა და მას შორის გაგრძელდა ერთი წლით. 2014 წლის 4 იანვარს მოსარჩელემ კვლავ მიმართა განცხადებით შრომის ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე, რომლის საფუძველზე გამოცემული ბრძანებით ამჯერად მასთან ხელშეკრულება გაგრძელდა 2 თვის ვადით, 2014 წლის 4 იანვრიდან 2014 წლის 5 მარტამდე. აღნიშნული განცხადება და მის საფუძველზე გამოცემული ბრძანება უთანაბრდება დასაქმებულთან ხელშეკრულების დადებას 2012 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულების 2014 წლის 5 მარტამდე გაგრძელების თაობაზე. მოსარჩელე პოლიკლინიკაში მუშაობას განაგრძობდა 2014 წლის 5 მარტამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 31

დეკემბრის შემდგომი პერიოდისათვის შრომითი ხელშეკრულების ვადის თაობაზე ორმხრივი, მკაფიო შეთანხმება არ არსებობდა. შესაბამისად, არასწორი იყო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა (ხელშეკრულება) გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ არ არსებობდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები

როდესაც დასაქმებულთან ხელშეკრულება წყდება ამ უკანასკნელისგან დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის მოტივით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რა სახისა და სიმძიმის დარღვევამ განაპირობა დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლება, რათა შეფასდეს, თუ რამდენად სამართლიანი იყო დამსაქმებლის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-106-101-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ /4779-13, 12.12.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5134-13, 08.07.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე ხელმძღვანელობდა დეპარტამენტს, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა პერსონალის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის მონიტორინგს, სადავო პერიოდში მისი გამოუცხადებლობა საკმარის საფუძვლად მიიჩნია შკ-ის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით შრომითი ხელშეკრულების მოშლისათვის. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს გაცდენის მეორე დღესვე მოსარჩელე დაითხოვეს სამუშაოდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: აღნიშნული კატეგორიის დავების გადაწყვეტისათვის აუცილებელია, დადგინდეს დასაქმებულის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ბრძანებაში მითითებულია შრომითი ხელშეკრულების მოშლა შკ-ის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, ფაქტობრივად გათავისუფლების საფუძველი გახდა სამსახურებრივი გადაცდომა, რაც წარმოადგენს ამავე კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ორგანიზაციის წესდებაზე, კერძოდ, აღნიშნული წესდების მე-12 მუხლით რეგულირდება უშუალოდ არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შედეგები, რომლის მიხედვით, დაუშვებელია, უპირო-

ბოდ გამოყენებულ იქნეს დასაქმებულთან ხელშეკრულების შეწყვეტა. პირველი და მეორე გაცდენისათვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა, ხელფასიდან დაქვითვით; მესამე გაცდენისათვის კი – ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით დამსაქმებელმა შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთოებები. ამდენად, დასაქმების შეწყვეტის შესახებ კანონიერების შემოწმებისას მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რა სახისა და სიმძიმის დარღვევამ განაპირობა დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლება. ამდენად, საკასაციო პალატამ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი

სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების იმ საფუძველზე, რომელიც სადავო ბრძანებაში არა მითითებული. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების დადგენისას, შეფასებას ექვემდებარება გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მითითებული საფუძვლის გამოყენების კანონიერება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-239-226-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx\)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/3029-14, 23.12.2014) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილება (საქმე №2/16507-13, 28.03.2014). განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის კანონიერება. მართალია, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მითითებულია შკ-ის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, თუმცა სააპელაციო პალატა დაეყრდნო მოპასუხის შესაგებელს და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების რეალური საფუძველი იყო მისი კონფლიქტური ხასიათი და დაკისრებული ვალდებულებების სისტემატური დარღვევა. თუმცა მოპასუხისვე განმარტებით, დამსაქმებელმა გაითვალისწინა მოსარჩელის ოჯახური მდგომარეობა და ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებები და გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში, ზემოთ მითითებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ნაცვლად, მიუთითა „დ“ ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების იმ საფუძველზე, რომელიც სადავო ბრძანებაში არ იყო მითითებული. ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების დადგენისას, შეფასებას ექვემდებარებოდა გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში მითითებული საფუძვლის გამოყენების კანონიერება. ამ კუთხით კი, მოპასუხეს რაიმე მტკიცება ან უფლების გამოყენების მართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. სასამართლოს განმარტებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით რეგულირებული ხელშეკრულების მოშლა ეს არის შრომითი ურთიერთობის მონაწილის უფლება, რომლის მართლზომიერად გამოყენების მიზნით, თუკი სახეზე არაა ურთიერთობის

მარეგულირებელი სპეციალური საკანონმდებლო დათქმა, საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მოშლის წინაპირობების შინაარსს, კერძოდ, თუ ხელშეკრულების მოშლა (შკ 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) არ უკავშირდება ვალდებულების დარღვევას, მაშინ მისი მოშლა შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომლითაც რეგულირდება უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე. იმ შემთხვევაში, თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა, მაშინ ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოიყენება სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით მოცემული დანაწესი, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გამოვლენილი ცალმხრივი ნების კანონიერების შემოწმებისას, გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 54-ე მუხლი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, არც მოპასუხეს მიუთითებია და არც სასამართლოს დაუდგენია იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შრომის კოდექსის (გათავისუფლების დროს მოქმედი რედაქციით) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძვლით მართლზომიერს გახდიდა მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლას, ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციის სადავო ბრძანება არღვევს კანონით დადგენილ წესს, რაც მისი ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

– შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი

თუ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინება არ მისვლია, ხელშეკრულება არ ჩაითვლება შეწყვეტილად;

ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მარტის განმარტება საქმეზე №ას-6-6-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილებით (საქმე №2/4199-13, 27.06.2013) არ დაკამყოფილდა სარჩელი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა დამსაქმებლის 2013 წლის 23 იანვრის შეტყობინებებით, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.7 პუნქტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხესა და დასაქმებულებს შორის 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები შრომი-

თი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლად ვერ იქნებოდა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მოპასუხესა და დასაქმებულებს შორის 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლად ვერ იქნებოდა მიჩნეული და, მიუთითა შკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია მხარეთა შეთანხმება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმება ორმხრივი ნების საფუძველზე დადებული გარიგებაა, რომლითაც წყდება მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2013 წლის 31 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმებები 2012 წლის 1 იანვრის №452 და №453 შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს შეთანხმებები სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად, რადგან ჩათვალა, რომ მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა დამსაქმებლის ინიციატივით 2013 წლის 23 იანვრის შეტყობინებების საფუძველზე.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ზემოთხსენებულ მსჯელობას არ დაეთანხმა, ვინაიდან მოსარჩელეთა განმარტებებით დასტურდება, რომ 2013 წლის 31 იანვრის ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებამდე, დასაქმებულებს არც 2013 წლის 23 იანვრის და არც ამავე წლის 31 იანვრის შეტყობინებები არ ჩაჰბარებიათ, ანუ მათ არ მისვლიათ დამსაქმებლის ნება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ. სკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. განსახილველ შემთხვევაში, თავად დასაქმებულები უარყოფენ დამსაქმებლისგან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შეტყობინებების (ნების) მიღებას (მისვლას), შესაბამისად, შეუძლებელია, ეს შეტყობინებები მივიჩნიოთ დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა მხარეთა შორის 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, შესაბამისად, სწორედ ეს შეთანხმებები წარმოადგენდა დასაქმებულებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძველს, რაც გათვალისწინებულია შკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს არც სარჩელით, არც დაზუსტებული სარჩელით და არც სააპელაციო საჩივრით არ მოუთხოვიათ 2012 წლის 1 იანვრის შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ მხარეთა შორის 2013 წლის 31 იანვარს დადებული წერილობითი შეთანხმებების გაუქმება (ბათილად ცნობა). ისინი მხოლოდ 2013 წლის 31 იანვრის შეტყობინებების ბათილად ცნობასა და სამუშაოზე აღდგენას ითხოვდნენ, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომაც სწორედ ამ ფარგლებში დააკმაყოფილა მათი სარჩელი სრულად. საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ დამსაქმებლის 2013 წლის 31 იანვრის შეტყობინებების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელეებს არ შეიძლება, გააჩნდეთ იურიდიული ინტერესი (სსკ-ის 180-ე მუხლი), ვინაიდან, მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა არა ამ შეტყობინებების, არამედ მხარეთა შორის 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე. ამ შეთანხმებების ბათილად ცნობას კი, როგორც ითქვა, მოსარჩელეები არ მოითხოვდნენ, შესაბამისად, შეუძლებელია, სასამართლომ იმსჯელოს მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის თაობაზეც, ვინაიდან გაასაჩივრებული არაა მოსარჩელეებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი – 2012 წლის 1 იანვრის №452 და №453 შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ მოპასუხესა და დასაქმებულებს შორის 2013 წლის 31 იანვარს დადებული წერილობითი შეთანხმებები. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

– შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

დაუშვებელია კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება, ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან შინაგანაწესის დარღვევის გამო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1276-1216-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-629-14, 10.10.2014) გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2-67, 30.04.2014). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ, როგორც მენეჯერმა, ვერ უზრუნველყო მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის მიერ შრომის შინაგანაწესისა და სხვა სამართლებრივი აქტების ნორმათა უხეში დარღვევის პრევენცია. შესაბამისად, მართლზომიერად მიიჩნია, შინაგანაწესით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევის გამო, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა საქართველოს შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ის გარემოება, რომ მოსარჩელე აღჭურვილი იყო მენეჯერის უფლებამოსილებით, რაც მასთან დაქვემდებარებული არსებული ობიექტის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფასა და ყოველდღიური კონტროლის, პერსონალის ორგანიზაციულ მართვასა და სხვა ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფას აკისრებდა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს საფუძველს, დასაქმებულის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში, სახდელის სახით პირდაპირ უმკაცრესი ზომა – „დათხოვნა“ გამოყენებულიყო. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მენეჯერის მხრიდან წერილობით იყვნენ თანამშრომლები გაფრთხილებული იმ ქმედების აკრძალვის თაობაზე, რაც საფუძვლად დაედო მენეჯერის თანამდებობიდან გათავისუფლებას. თითოეული თანამშრომელი ინდივიდუალურად შედის კომპანიასთან კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში და კომპანიასთან ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზეც ინდივიდუალურადაა პასუხისმგებელი, შესაბამისად კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება, ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან შინაგანაწესის დარღვევის გამო, საკასაციო პალატას დაუშვებლად მიაჩნია.

კომპანიაში მოქმედი შინაგანაწესი ითვალისწინებდა სხვა სახის დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობასაც, როგორიცაა: „შენიშვნა“/„სიტყვიერი გაფრთხილება“; „წერილობითი გაფრთხილება“; „საყვედურის გამოცხადება“; „სასტიკი საყვედურის გამოცხადება“; „თანამდებობიდან დაქვეითება“ და სხვ. მართალია, აღნიშნული შინაგანაწესის მიხედვით კომპანია შეუზღუდავი იყო არათანმიმდევრული პრინციპით გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და თვითონ გადაეწყვიტა რა ვითარებაში, რომელ კონკრეტულ ზომას მიმართავდა, თუმცა საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებისა, კომპანიის ხელმძღვანელი შეუზღუდავი არ არის და არ სარგებლობს აბსოლუტური ავტონომიით, რაც საკმარისი საფუძველი იქნებოდა დასაქმებულის სამსახურიდან გასათავისუფლებლად, ვინაიდან საკითხი შეეხება დასაქმებულის კონსტიტუციურ უფლებას – „შრომის უფლებას“ (კონსტიტუციის 30-ე მუხლი), ხოლო დამსაქმებლის მხრიდან ამ უფლების შეზ-

ღუდვა მართლზომიერი უნდა იყოს და ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით, რაც დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების კეთილსინდისიერად სარგებლობით ვლინდება. სკ-ის 115-ე მუხლშიც ეს აზრია გატარებული და სამოქალაქო უფლების განხორციელების მართლზომიერებაში აისახება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ „Ultima Ratio-ს“ პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. დასაქმებულის მიერ ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი სიხშირის, სიმძიმისა და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის სახით პირდაპირ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ეწინააღმდეგება დასაქმებულის შრომის უფლებას, რის გამოც სადავო ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

– საქართველოს შრომის კოდექსის 38.8 მუხლი

არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამწესება-გამოწვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის რეგულირებისათვის სპეციალურ კანონს წარმოადგენს შრომის კოდექსი

> – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1011-972-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/478-14, 02.07.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 2/341-13, 03.04.2014). გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხის (ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, რის გამოც, სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილად მიიჩნია და დასაქმებულს მიაკუთვნა კომპენსაცია გათავისუფლების დროიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუმცა, პალატამ არასწორად იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონით და არამართლზომიერად ჩათვალა მოსარჩელის მოთხოვნა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, რადგანაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ერთერთ უდავო საფუძველს უნდობლობის გამოცხადება წარმოადგენდა, მოსარჩელე არ შეიძლებოდა, კვლავ დირექტორის თანამდებობაზე აღმდგარიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამწესება-გამოწვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის რეგულირებისათვის სპეციალურ კანონს შრომის კოდექსი, და არა „მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონი წარმოადგენს. საქმის მასალების თანახმად, საკრებულომ მოსარჩელის მხრიდან შრომითი პირობების დარღვევის ფაქტი ვერ დაამტკიცა, რაც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გამოვლენილი ნების ბათილობის საფუძველი გახდა, თუმცა, შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნა-

წილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რადგანაც გადაწყვეტილებაში მითითებულ თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის მიზეზი ზემოაღნიშნული ნორმის არცერთ დანაწესს არ შეესაბამება, ამდენად, სახეზეა ამ გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

– საქართველოს შრომის კოდექსის 38.8 მუხლი

სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, არ მოიცავს ბრძანების ბათილად ცნობასაც. ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას და სწორედ სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების ეტაპზე უნდა გამოარკვიოს სასამართლომ მისი არსებობა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-460-439-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № 2/ბ-26-15, 26.03.2015) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/1482-14, 19.11.2014). შრომითი ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელებულად მიჩნევის ნაწილში სააპელაციო პალატამ დაარღვია სსკ-ის 377-ე და 380-ე მუხლების მოთხოვნა, რადგან მოსარჩელეს შრომითი ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელების ფაქტის დამადასტურებელ გარემოებებზე არ მიუთითებია. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნაც დაარღვია, იგი გასცდა სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს და, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილ გარიგებად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე, სიტყვა-სიტყვითი გამოთქმით, არ ითხოვდა მოპასუხის ბრძანების ბათილად ცნობას, თუმცა, სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნა მოიცავდა ასევე ამ მოთხოვნასაც, რადგან, შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სამუშაოზე აღდგენა გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ერთ-ერთ შესაძლო სამართლებრივი შედეგია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც მოსარჩელეს არც სარჩელში და არც საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის დროს არ მიუთითებია. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაარღვია სსკ-ის 377-ე და 380-ე მუხლების მოთხოვნები. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, შკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მოიცავს ბრძანების ბათილად ცნობასაც. საკასაციო სასამართლმ განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას და სწორედ სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების ეტაპზე უნდა გამოარკვიოს სასამართლომ მისი არსებობა. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ბრძანების კანონშესაბამისობაზე მსჯე-

ლობით სააპელაციო პალატამ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი გადაწყვეტილების ფარგლები. სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საკორპორაციო სამართალი

საზოგადოების პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა;

საზოგადოების ხელმძღვანელისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა;

პირგასამტეხლოს შემცირება

– „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი

– „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

– საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი

– სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა რეგულირდება არა სკ-ის დელიქტური ნორმებით, არამედ „მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1307-1245-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1358-13, 09.01.2014) სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-142-14, 31.10.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვა საგადასახადო სანქციების დაკისრებაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელზე საგადასახადო სანქციების დაკისრების ნაწილში, საქმისწარმოება შეწყდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ ზიანის ანაზღაურების საკითხში მიუთითა სკ-ის 992-ე მუხლზე და დაადგინა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობდა სკ-ის აღნიშნული მუხლიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა შპს-ის და არა მის პარტნიორებს და ამიტომ, ლ. ბ-ისა და მ. ჭ-ისათვის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საურავების დაკისრება დაუშვებელი იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება, გაზიარებულიყო სააპელაციო (და პირველი ინსტანციის) სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობდა სკ-ის 992-ე მუხლიდან. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა მოწესრიგდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარ-

ტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მეწშ კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში, რომლის თანახმად, შპს-ის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება. მეწშ კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ მათ განზრახ თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების გადახდას. პარტნიორთა მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შპს-ის პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ, როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საზოგადოების პარტნიორთა ქმედებები პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებაა და გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მათ უნდა დაჰკისრებოდათ პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის.

საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ემსჯელა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზეც. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს-ს პარტნიორი იმავდროულად წარმოადგენდა კომპანიის დირექტორს. ამიტომ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიის გადასახადებისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით მან, როგორც კომპანიის დირექტორმა, დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, რაც იწვევდა მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საშუალება კომპანიას არ გააჩნია. ასეთ პირობებში, მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს საზოგადოებას, დააყენოს დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ კომპანიის ძირითად საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს უნდა დაეკისროთ საგკო-ს 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულებაც. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ უნდა გამოყენებულიყო საგკო-ს 272-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლო, კერძოდ, აღნიშნული მუხლის განმარტების თანახმად, საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ერიცხება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვა-

დაში გადასახადის გადაუხდელობისათვის (საურავი).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება გამოიყენება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით და ვერ იქნება გამოყენებული განსახილველი შემთხვევის მიმართ, რადგან სასამართლოს არ შეუძლია, შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა. საკასაციო სასამრთლოს გადაწყვეტილებით საკსაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

შენიშვნა: ანალოგიურია სუსგ №ას-1158-1104-2014, 06.05.2015

მოგების განაწილება; სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

– „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი

წლიური მოგების/დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა შპს-ის მმართველობითი ორგანოს (საერთო კრება) კომპეტენციაა. როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა ჩაერიოს, თუ უფლებამოსილი პირები არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ, პარტნიორის უფლებები განზრახ არის უგულებელყოფილი ან დისკრეციას ბოროტად იყენებენ

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-863-813-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/138-14, 13.11.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 30 მაისის კრების №5 ოქმი, ხოლო პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/2-15, 08.06.2015) მოსარჩელის აპელაცია ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულებისა და საპროცესო ხარჯების ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალა 2013 წლის დივიდენდის სახით 8 081 ლარის მოსარჩელისათვის გადაცემა. სააპელაციო პალატამ მეწშ-ის მე-8 მუხლი განმარტა იმდაგვარად, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებულია პარტნიორთა კრების უფლება და შესაძლებლობა, გაანაწილოს დივიდენდი. კანონი არ შეიცავს მოთხოვნას, რომ დივიდენდი აუცილებლად უნდა განაწილდეს მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. კანონის ასეთი განმარტება უსამართლო და არაპროპორციულად შემზღუდველი იქნება იმ სიტუაციაში, როდესაც ცალსახაა, რომ საწარმოს დომინანტი (75% წილის მესაკუთრე) პარტნიორი, კანონით გაუთვალისწინებელ საფუძველზე მითითებით, არ იღებდა გადაწყვეტილებას 2013 წელს საწარმოს მიერ მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე, რითაც უკანონოდ იზღუდება მოსარჩელის საკუთრების უფლება საწარმოს მიერ მიღებული მოგების 25%-ზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის (მოპასუხე) არგუმენტი, რომ სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და აპელანტს მიაკუთვნა ის, რასაც მხარე არ მოითხოვდა, კერძოდ, სარჩელის, ასევე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესწავლით ირკვევოდა, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა იყო მოპასუხე საწარმოსა და მისი დირექტორის დავალდებულება, მოეწვია პარტნიორთა კრება და გაენაწილებინა დივიდენდი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო პალატამ მხარეს მიაკუთვნა საწარმოში მისი წილის პროპორციული მოგება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 248-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გასცდენოდა სასარჩელო მოთხოვნას და თუნდაც იმ პირობებში, თუკი ჩათვლიდა, რომ არსებობდა დივიდენდის განაწილების წინაპირობა, მას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ემსჯელა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე (სსკ-ის 377-ე მუხლი).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მეწშ-ის მე-8 მუხლის თანახმად, შპს-სა და სს-ს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამეწარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). დივიდენდის მოთხოვნის უფლების მარეგულირებელ ნორმას მეწშ-ის მე-8 მუხლი წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს, როგორც დივიდენდის გაცემა-გაუცემლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე – გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონი შპს-ში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-გაუცემლობის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა ჩაერიოს, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სკ-ით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

საწარმოს ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება; არასათანადო მოპასუხის შეცვლა

– „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი

როდესაც საზოგადოებას წარმოეშობა ვალი პარტნიორთა წინაშე. ასეთ დროს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების წინაშე დააყენოს მოთხოვნა, მიუღებელი მოგების გადანაწილების ან თუნდაც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავს დავებში პარტნიორები მონაწილეობენ, როგორც საზოგადოების კრედიტორები და მათ მიმართ ვალდებულება ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ნებისმიერი კრედიტორის მიმართ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-522-496-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე№2/0169-11, 21.02.2012) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) გადახდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის (საზოგადოებაში კუთვნილი 35-%-იანი წილის გაუფასურების გამო) დაკისრების ნაწილში; მოსარჩელეს უარი ეთქვა შპს-ის დირექტორობიდან მოპასუხის გამოთხოვისა და უფლებამოსილების განხორციელების ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში უსაფუძვლობის გამო; მოსარჩელეს უარი ეთქვა შპს-ის დირექტორად მ-ის დანიშვნისა და შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მხარეთა მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრების საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებდა შპს-ის დამფუძნებელი პარტნიორის მ.ს-ის ბრალეული ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, ასევე, შპს-ის დამფუძნებელი პარტნიორის მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირს.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე მიიჩნია არასათანადო მოსარჩელედ იმ საფუძვლით, რომ, მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დირექტორთან მოთხოვნის უფლება მხოლოდ საზოგადოებას გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა მოპასუხის, როგორც საწარმოს ხელმძღვანელის საქმიანობაზე და ამ საქმიანობიდან გამომდინარე შედეგებზე. პალატამ არ გამოიკვლია, თუ რამდენად კეთილსინდისიერად უძღვებოდა მოპასუხე, როგორც საწარმოს დირექტორი, საზოგადოების საქმიანობას, რამდენად ვლინდებოდა მის საქმიანობაში მეწშ-ის მე-9.6 მუხლის კრიტერიუმები. სარჩელის მოთხოვნა კი, გამომდინარეობდა სწორედ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით გამოყენებული ზიანის ანაზღაურებიდან. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე ამ საკითხთან დაკავშირებით არაუფლებამოსილი პირად მიიჩნია, იმ საფუძვლით, რომ, მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დირექტორთან მოთხოვნის უფლება მხოლოდ საზოგადოებას გააჩნია.

საკასაციო პალატის მითითებით, მეწშ-ის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი არ გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც საზოგადოებას წარმოეშობა ვალი პარტნიორთა წი-

ნაშე. ასეთ დროს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების წინაშე დააყენოს მოთხოვნა, მიუღებელი მოგების გადანაწილების ან თუნდაც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავს დავებში პარტნიორები მონაწილეობენ, როგორც საზოგადოების კრედიტორები და მათ მიმართ ვალდებულება ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ნებისმიერი კრედიტორის მიმართ. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელე არასათანადო მხარეა, არასწორია. დავაში არასათანადო მხარე მოპასუხეა. მოსარჩელის მოთხოვნაზე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ, რაც ცალსახად გამომდინარეობს ზემოთ მითითებული ნორმის შინაარსიდან. ნორმის თანახმად, საზოგადოება პასუხს აგებს მის მიერ არასწორად განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე შედეგებზე, ხოლო შემდგომში რეგრესული წესით დირექტორისაგან მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას.

სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია, მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. მოცემულ დავაში მოპასუხედ მონაწილეობდა მ., რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა საზოგადოების დირექტორს. მისი შეცვლა სათანადო მოპასუხით, ანუ შპს-ით არ წარმოადგენდა არანაირ პრობლემას სასამართლოსათვის. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დავა განიხილოს ამ მხარეთა მონაწილეობით. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადახდისუუნარობის სამართალი

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება

– „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება კანონით არ იკრძალება, თუმცა ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ უნდა შეექმნას მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელეები, აგრეთვე კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-283-265-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/47-14, 10.02.14) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7804-13, 04.12.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება ეწინააღმდეგებოდა „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და სადავო ხელშეკრულება, როგორც უკანონო გარიგება, სკ-ის 54-ე მუხლზე მითითებით, ბათილად ცნო, რითაც გასცდა სარჩელის საფუძვლებს, ასევე, არასწორად იმსჯელა ხსენებული კანონის მიზნებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ უპირველესია საწარმოს შენარჩუნება და მისი საქმიანობის გაგრძელებაა, და მხოლოდ შემდეგ კრედიტორთა დაკმაყოფილება. სასამართლომ არასწორად გამოიყენა ანალოგიით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის კანონის 38-ე მუხლი, რომელიც ადგენს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს განკარგვის წესს აუქციონის წესით და წარმოადგენს სპეციალურ ნორმას. მისი ანალოგიით გამოყენება რეაბილიტაციის საქმესთან მიმართებით დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების გასხვისება კანონით არ იკრძალება, თუმცა ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ უნდა შეექმნას ერთი მხრივ, მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელეები, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა, რაც ერთხელ უკვე განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-1070-1021-2013 გადაწყვეტილებაში. საქმეში წარმოდგენილი რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს, რომ მოვალის რეაბილიტაციის პროცესში ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია საწარმოს აქტივების სრული ან ნაწილობრივი რეალიზაცია, ის გარემოება, რომ კრედიტორის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა აქტივების სრულად რეალიზაციის გარეშეც და, რომ აქტივები დაბალ ფასად გასხვისდა მოსარჩელის მიერ არ იყო დადასტურებული სარწმუნო მტკიცებულებებით, შესაბამისად სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველიც არ არსებობდა.

სასამართლოს განმარტებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ„ საქართველოს კანონის მიზანია, პირველ რიგში კრედიტორთა დაკმაყოფილება და მხოლოდ შემდეგ, შესაძლებლობის პირობებში, საწარმოს შენარჩუნება (და არა პირიქით, როგორც სააპელაციო სასამართლომ განმარტა). ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის პროცესიც კი, კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, ხსენებული კანონის მე-6 თავს შეესაბამება. ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, უარი ეთქვა მოსარჩელეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი

დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი;
სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები;
მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4, 248-ე და 377-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელე გარიგებას მოჩვენებითად ან თვალთმაქცურად მოიხსენიებს, იმგვარად, რომ შეცილების უფლების მქონე პირი არ ეცილება გამოვლენილ ნებას, არ უთითებს ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, დაადგინოს გარიგების ბათილობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1264-1204-14 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/3579-14. 16.10.14) უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/10040-13. 29.04.14), რითაც სასარჩელო მოთხოვნა დავალების ხელშეკრულებით მიღებული თანხისა და მისი დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის შეფასებით, მოპასუხეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მყიდველმა გამყიდველს გადასცა უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა დავის საგნის ფარგლებს და განმარტა, რომ სკ-ის 56-ე მუხლით განსაზღვრული გარიგების მოჩვენებითობა თუ თვალთმაქცურობა სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს, როგორც სასარჩელო მოთხოვნით, ისე სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელე გარიგებას მოჩვენებითად ან თვალთმაქცურად მოიხსენიებს, იმგვარად, რომ შეცილების უფლების მქონე პირი არ ეცილება გამოვლენილ ნებას, არ უთითებს ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, დაადგინოს გარიგების ბათილობა. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა, რომ სასამართლოს არ უმსჯელია გარიგების ბათილობაზე, არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისა და ამ დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ფაქტობრივი შემადგენლობა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

2. უწყებრივი ქვემდებარეობა

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

– საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები

სახელმწიფო ქონების პრივატიზება სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზების პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი. სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-890-852-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2471-14, 17.07.14) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11226-13, 24.01.14) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, განიხილა სამოქალაქო სამართლწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად, გადამწყვეტია იმის გარკვევა, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დადებულია თუ არა ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ ერთერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზება – სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზების პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი

– საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ად-

მინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განმარტება საქმეზე №ას-200-187-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/2132-13, 17.07.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის, სსიპ საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა აპელაციის წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/5145-13, 25.12.2013) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

შკ-ის 1-ლი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, პალატამ განმარტა, რომ საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებთან (და შრომით დავებთან) მიმართებით, სპეციალურ კანონს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომლის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღება მიაქცია სასკ-ის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი. ამასთან დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და ამავე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც გამოიცა სადავო მინისტრის ბრძანება, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული დავა სწორედ ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის საკითხი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით უნდა განხორციელებულიყო და არასწორად არ გადაუგზავნა საქმე განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი

– საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3 და 26-ე მუხლები

ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელი ელემენტია დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში, ამასთან, დავა წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-292-279-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სააპელაციო სასამართლომ (საქმე№2/ბ-856-14, 13.01.15) უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2-388/14. 10.06.14) ძირითადი სარჩელის ნაწილში, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა მოთხოვნა სკ-ის 317-ე მუხლის 1 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლიდან – ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და მოთხოვნის საფუძვლიანობაც სკ-ის ნორმების შესაბამისად შეამოწმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სასკ-ის მე-2 და 26-ე მუხლებითა და სსკ-ის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები და განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია სასკ-ის მე-2 და მე-3 მუხლებში,

ამასთან, დავა წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. აღნიშნული დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულად მიჩნევას განაპირობებს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებაა, გარიგების საგანი – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება, ხოლო მხარეთა შორის სადავოდ გამხდარი გარიგების სამართლებრივი საფუძველი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3 და 26-ე მუხლები

კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმის განხილვისათვის აუცილებელი ელემენტია დავის საგანი, ამასთან, დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-559-530-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/61-15, 02.04.15) გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1515-2014, 05.12.14), რითაც სარჩელი გარიგების ბათილად ცნობისა და ნასყიდობის საფასურის დაბრუნების შესახებ არ დააკმაყოფილა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სასკ-ის მე-2-ე და 26-ე მუხლებით, ასევე, სსკ-ის მე-11-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული დავები, რომელთა შორისაცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებში, ამასთან, დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. მოცემული დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი თვითმმართველი ერთეულია, გარიგების საგანი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ხოლო სადავოდ გამხდარი გარიგების დადების სამართლებრივი საფუძველი ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“

კანონია. სასკ, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, ეს პრინციპი ასახვას პოულობს სასკ-ში, კერძოდ, დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე პალატას საქმის განსჯადობის წესების დაცვით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისთვის.

3. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის; ადვოკატის მომსახურების ხარჯის დაკისრება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი

სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, თვითონაც შეუძლია, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-330-315-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/4375-14, 17.11.2014) მოსარჩელის მოთხოვნა მის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში არ დააკმაყოფილა. პალატის განმარტებით, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით ანაზღაურებას ექვემდებარება მხარის მიერ უკვე გაწეული ხარჯი. ვინაიდან მოსარჩელეს წარმომადგენლის მომსახურების ხარჯი საქმის განხილვის დროისათვის არ ჰქონდა გადახდილი, არ არსებობდა მოწინააღმდეგე მხარისათვის ამ თანხის დაკისრების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დათქმა ანაზღაურების წესის თაობაზე, რომლის თანახმად მარწმუნებელს მომსახურების ხარჯის გადახდის ვალდებულება დავის დასრულების შემდგომ წარმოეშობოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პრეტენზია ადვოკატის მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში დასაბუთებული იყო. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის; დავის საგნის ღირებულების 4%-ის ანაზღაურება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი

იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1350-1387-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება 5000 ლარს შეადგენდა, შესაბამისად, არასწორია მოპასუხისთვის ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების – 420 ლარის დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების გამო მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მიეღო მის მიერ გაწეული ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება დავის საგნის ღირებულების – 5000 ლარის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 200 ლარს. ამდენად, თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/422-13, 30.05.2014) მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯის – 420 ლარის ანაზღაურების ნაწილში და მისი ძალაში დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (საქმე №2ბ/4375-14, 17.11.2014) გამოტანილია კანონის დარღვევით. საკასაციო სასამართლოს გადწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ, თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-1301-1239-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: საკასაციო წესით გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (საქმე №2ბ/462-14,

23.10.2014) სარეზოლუციო ნაწილით სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებები სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად განსაზღვრა:

თ. გ-ეს ნ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 200 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის სანაცვლოდ;

თ. გ-ეს ნ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1242,5 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ;

ნ. შ-ეს თ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 65 ლარის გადახდა;

ნ. შ-ეს თ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 355,9 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თ. გ-ეს ნ. შ-ის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის დროისათვის მიუღებელი შემოსავლის 3258.33 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო სარჩელის აღძვრის დროიდან მიუღებელი შემოსავლის ყოველთვიურად 191.66 აშშ დოლარის ანაზღაურება სესხის ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე დაეკისრა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის 66,67% დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო საჩივრის – 33,33%.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ნ. შ-ის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები – სარჩელისათვის გადახდილი ბაჟი და ადვოკატის მომსახურების საფასური მოწინააღმდეგე მხარეს უნდა აენაზღაურებინა სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისად – 66,67%-ს ფარგლებში, ხოლო აპელანტ თ. გ-ის მიერ გაწეული ხარჯი - სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მოწინააღმდეგე მხარე ნ. შ-ის მიერ უნდა ყოფილიყო ანაზღაურებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში ნ. შ-ემ სარჩელისათვის გადაიხადა ბაჟი – 242 ლარი, ხოლო იურიდიული მომსახურების საფასური – 500 ლარი. მოპასუხე თ. გ-ეს კი მის სასარგებლოდ დაეკისრა 200 ლარის გადახდა იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის სანაცვლოდ, ხოლო 1242,5 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ, რაც არ შეესაბამება სსკ-ის ზემოთ მითითებულ საკანონმდებლო დანაწესს. აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელისთვის მოწინააღმდეგე მხარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სახელმწიფო ბაჟის, 242 ლარის, 66.67%-ს – 161,3 ლარს; ხოლო იურიდიული მომსახურების ხარჯი – 500 ლარის 66,67%-ს – 333,3 ლარს, რაც აღემატება სასამართლოს მიერ დაკისრებულ 200 ლარს. საკასაციო სასამართლოს გადწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი

თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-243-228-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-1100. 17.01.14) გააუქმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1248. 17.10.13), რითაც სარჩელი ქმედების განხორციელების დავალდებულების (დივიდენდიდან დარჩენილი თანხის, აუდიტისა და პროცესის ხარჯების ანაზღაურების) შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პარტნიორებს დივიდენდიდან დარჩენილი თანხა კანონშესაბამისად არ გაუნაწილდათ, რადგან ეს თანხა საგკო-ს 130-ე მუხლის შესაბამისად, შეადგენდა დივიდენდის ბეგარას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნები და განმარტა, რომ, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. გამოირკვა, რომ მოპასუხემ პარტნიორებისათვის გადასანაწილებელი თანხა, მოსარჩელეებს ჩაურიცხა მათ მიერ სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შემდეგ, შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნის შემცირება გამოიწვია მოპასუხის მიერ მოსარჩელეთა ნებაყოფლობით დაკმაყოფილებამ, რაც ქმნის სს-ის 54-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

4. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები

თუ საქმეში არ დასტურდება მოპასუხისათვის სარჩელისა და სასამართლო უწყებების ჩაბარება სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, საქმეში არ მოიპოვება მოპასუხის ან მისი ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კონკრეტული სახის გზავნილის ჩაბარებას, სასამართლო უწყება არ ჩაითვლება ჩაბარებულად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1191-1133-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/6663-13, 25.02.2014), ისევე, როგორც გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (საქმე №2ბ/2391-14, 02.10.2014), მოპასუხის მიმართ, გამოტანილია იმგვარად, რომ საქმისწარმოების არცერთ ეტაპთან დაკავშირებით მისი ინფორმირების ფაქტი არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით. საქმეს ერთვის მოსარჩელისა და სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის უკრაინის ქ. კიევში, მითითებულ მისამართზე გაგზავნილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით ფოსტის მიერ წარმოებული მონაცემების ამონაბეჭდი, რომელიც მიუთითებს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებზე იმგვარად, რომ ჩაბარება არ დასტურდება ადრესატის ან გზავნილის მიმღები სხვა პირის ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო სამართალწარმოებისას საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა ინფორმირებისა და მათთვის კორესპონდენციის გაგზავნა-ჩაბარების წესებს ადგენს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები, რომლითაც, საქმისწარმოების მონაწილე მხარისათვის უწყებისა და სხვა გზავნილის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება უნდა დადასტურდეს გზავნილის შესაბამისი დოკუმენტის ან/და უწყების მეორე ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით. ამგვარი წესი იძლევა შესაძლებლობას, უზრუნველყოფილ იქნეს უტყუარი მტკიცება იმისა, თუ კონკრეტულად ვინ რა სახის კორესპონდენცია მიიღო და განხორციელდა თუ არა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირება სათანადო წესით. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული წესით მოპასუხისათვის სარჩელისა და სასამართლო უწყებებების ჩაბარება არ დასტურება, საქმეში არ მოიპოვება მოპასუხის ან მისი ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კონკრეტული სახის გზავნილის ჩაბარებას. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხის მიმართ გამოტანილია მისი მონაწილეობის გარეშე იმგვარად, რომ არ დასტურდება საქმისწარმოებასთან დაკავშირებით ინფორმირების ფაქტი. საკასაციო პალატამ, სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, განჩინება გააუქმა და საქმა ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.

საჯარო შეტყობინება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი

საჯარო შეტყობინება, მოპასუხის მიმართ სამართლებრივი შედეგის მომტანად არ იქნება მიჩნეული, თუ ეს უკანასკნელი უნდა მოეწვიათ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარის დაბარების შესაბამისი საშუალების გამოყენებით

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-214-199-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1886-10, 24.07.20130) ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად იქცა მისი გამოუცხადებლობა, რომელსაც პროცესის შესახებ ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა მეორე მოპასუხის მიერ, რომელმაც აპელაციის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა თანამოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის სათანადო წესით ჩაუბარებლობა. თბილისის სააპელაციო სასასმართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/5079-13, 12.12.2013წ) აპელაცია არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-

ის 78-ე მუხლით და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესახებ საჯარო შეტყობინება 2013 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვის ოლქში, ტალდომსკის რაიონში გავრცელებულ გაზეთ „ზარიაში“, შესაბამისად, გზავნილი მოპასუხეს ჩაჰბარდა 2013 წლის 10 ოქტომბერს, მოპასუხეს კი, გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებია, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში მის მიმართ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნები და მიუთითა ნოაშ-ით განმტკიცებულ იერარქიის პრინციპზე. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

პალატამ მიუთითა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე და აღნიშნა, რომ დავის განხილვაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მოპასუხის მოწვევისათვის, რომელსაც ქონება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს და ედავებიან უფლებაში, უნდა გამოყენებულიყო არა საქართველოს სსკ-ის VIII თავის დებულებანი, კონკრეტულად კი, საჯარო შეტყობინების მომწესრიგებელი ნორმა, არამედ, ადრესატისათვის ფოსტით შეტყობინების გადაცემის შეუძლებლობის გამო, მისი მოწვევა უნდა განხორციელებულიყო საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარის დაბარების ყველაზე ოპტიმალური საშუალების გამოყენებით, შესაბამისად, სსკ-ის 78-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებული საჯარო შეტყობინება, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის მიმართ სამართლებრივი შედეგის მომტანად არ იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატის მიერ სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

5. მხარეები

წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი

– „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

ადვოკატის ორდერი, ისევე, როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს მას, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სსკ-ის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-677-644-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/10248-13, 17.09.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

და სარჩელი, შეწყდა მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, მოპასუხეს, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა სარჩელის აღძვრიდან შვილის სრულწლოვანებამდე ან გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (საქმე № 2ბ/5920-13, 07.03.2014) სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა მოპასუხემ, რაც ამავე სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებითა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქმის განხილვაზე გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი, რომელმაც საკუთარი უფლებამოსილების დადასტურების მიზნით წარადგინა ორდერი, სააპელაციო პალატამ კი, იმ საფუძვლით, რომ ორდერში გადმოცემული არ იყო მოპასუხის ნება, არ ჩათვალა უფლებამოსილ წარმომადგენლად და უშუალოდ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ შეაფასა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობის (ფარგლების) დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე. ამ თემაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: სსკ-ის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. სსკ-ის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს ადგენს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და საგამოძიებო ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს, ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია, კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას, როგორც მინდობილობის, ასევე, ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენილი წესის დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს სსკ-ის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სსკ-

ის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არასწორად იქნა მიჩნეული მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლად.

6. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

მტკიცების ტვირთი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავისას, თუ მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად კრების ოქმსა და ხელშეკრულებას წარადგენს, მოპასუხეებმა, უბრალოდ, მათ ბათილობაზე მითითების გარდა, უნდა წარმოადგინონ სათანადო მტკიცებულებები, რაც დაადასტურებს, რომ კრების ოქმი და ხელშეკრულება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1328-1254-2012 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/4234-11, 30.03.2012) სარჩელი ამხანაგობის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ასევე, არ დაკმაყოფილდა სარჩელი საცხოვრებელ ბინებზე მესაკუთრედ ცნობის ნაწილში. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის წევრთა საერთო კრებისა და მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/1881-12, 27.07.2012), რომელმაც არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის მსჯელობა, რომ მოსარჩელესა და გ-ს შორის ადგილი ჰქონდა ამხანაგობაში წილის ნასყიდობას ან სხვა რაიმე ფორმით ამხანაგობის წევრობიდან გ-ს გასვლას და მის ნაცვლად მოსარჩელის მიღებას და ამგვარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითა 2008 წლის 16 აპრილს შედგენილ ხელწერილზე – სესხის ხელშეკრულებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ მოსარჩელემ გ-ს გადასცა სესხის სახით 50000 აშშ დოლარი 5 თვის ვადით.

რაც შეეხება 2008 წლის 16 აპრილს ამხანაგობასთან დადებულ ხუთოთახიანი იზოლირებული ბინის, ავტოსადგომისა და სარდაფის მოსარჩელისათვის გადაცემის ხელშეკრულებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 183-ე მუხლზე და განმარტა, რომ, მართალია, გარიგება დადებული იყო წერილობით, მაგრამ საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა რაიმე საბუთი ამ გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, რის გამოც ეს გარიგება ფორმის დაუცველად იყო დადებული და უძრავი ნივთის შეძენასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ვერ წარმოშობდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც აპელანტი (მოსარჩელე) განმარტავს, რომ ამხანაგობის საერთო კრების ოქმით დამტკიცდა გ-ს გასვლა ამხანაგობიდან და მოსარჩელის მიღება ამხანაგობის წევრად კონკრეტული უძრავი ქონების გადაცემის პირობით, მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ კრება ჩატარდა სკ-ის 930-ე-940-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის სესხის ხელწერილის არსებობა ვერ მიიჩნეოდა ამხანა-

გობის წევრობის დათმობის ხელშემშლელ გარემოებად. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელესა და გ-ს შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა ცალკე სამართლებრივი ურთიერთობა იყო, მოცემულ შემთხვევაში კი, მნიშვნელოვანი იყო მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის ურთიერთობა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის საერთო კრების ოქმის შესაბამისად, გ-მ თავისი წილი დაუთმო მოსარჩელეს. იყო თუ არა, წილის დათმობა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმების საგანი, გავლენას არ ახდენს მოცემული დავის გადაწყვეტაზე, ამასთან, საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ცალკე მჯელობის საგანია, კანონიერად განხორციელდა თუ არა წილის დათმობა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა, როდესაც მიუთითა, რომ მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა ამხანაგობის კრების სკ-ის 930-940-ე მუხლების შესაბამისად ჩატარება. სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებლებს. მოსარჩელემ საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად კრების ოქმი და ხელშეკრულება წარადგინა. მოპასუხეებს კი, მიუთითებდნენ რა მათ ბათილობაზე, სათანადო მტკიცებულებები უნდა წარმოედგინათ, რაც დაადასტურებდა, რომ კრების ოქმი და ხელშეკრულება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ კი, ამხანაგობის წესდება ან სხვა დოკუმენტაცია, საიდანაც გაირკვეოდა, 2008 წლის მონაცემებით ვინ იყო ამხანაგობის წევრი ან გადაწყვეტილების მიღების რა წესი მოქმედებდა.

მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა შეფასება; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლი

ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის არსებობისას, ტოლფასი თანამდებობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოთხოვნის ავტორს (მოსარჩელეს) უნდა დაეკისროს და არა მოთხოვნის ადრესატს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განმარტება საქმეზე №ას-902-864-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/441-13, 20.02.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლის შესაბამისადაც, ბათილად იქნა ცნობილი სს-ის ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და პირვანდელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის აღდგენის მიზნით, მოპასუხეს დაევალა, უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამსახურით, ასევე, მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/2452-14, 04.07.2014) ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა არ იყო, ასევე, არ იყო ვაკანსია, რის გამოც შეუძლებელი იყო მოსარჩელის აღდგენა. სააპელაციო პალატამ ტოლფასი თანამდებობის არარსებობის მტკიცების ტვირთის დამსაქმებლისათვის დაკისრებით არ გაიზიარა

მისი განმარტება დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენის შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, სააპელაციო პალატის განჩინების არასაკმარისი დასაბუთების გამო, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, სრულყოფილად არ გამოიკვლია მტკიცებულებები და ამ გზით არ დაადგინა დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტოლფასი თანამდებობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოთხოვნის ავტორს (მოსარჩელეს) უნდა დაეკისროს და არა მოთხოვნის ადრესატს. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორედ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს როგორც ტოლფასი თანამდებობის არსებობის ფაქტი, ისე მიუთითოს კონკრეტულად რომელია მანამდე არსებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობა. აღნიშნული კი, შესაძლებელია, გაირკვეს მოპასუხე საზოგადოების საშტატო ნუსხისა და შესაბამისი თანამდებობების ფუნქციური დატვირთვის გამოკვლევის შედეგად, რაც სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განაცდურის დაკისრების დროის განსაზღვრის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, ხოლო კასატორმა ამ კუთხით დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა, კერძოდ, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა დამსაქმებლის ინიციატივით. გათავისუფლების დროს მოქმედი შკ-ის 38-ე მუხლი ითვალისწინებდა კომპენსაციის გადახდას და ამ თანხის მიღების ფაქტს მოსარჩელე სარჩელითვე ადასტურებს, ამასთანავე, არც სასამართლოს დაუდგენია კომპენსაციის გადაუხდელობის ფაქტი. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ მოპასუხეს განაცდურის ანაზღაურება მოსარჩელის გათავისუფლების დღიდან დააკისრა, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს ეს დასკვნა სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ, მტკიცებულებათა კვლევის დადგენილ სტანდარტს (სსკ 105-ე მუხლის) არ ემყარება და საჭიროებს სააპელაციო პალატის მიერ შესწავლას. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცების ტვირთი;
მტკიცებულებათა შეფასება;
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები

– საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლი

ტოლფასი სამუშაოს არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს უნდა დაეკისროს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-588-556-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/7346-13, 03.12.13წ) დაკმაყოფილდა სარჩელი ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელე უნდა დაბრუნებოდა სამუშაო ადგილს, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კი, აღნიშნა, რომ მოსარჩელე უნდა აღდგენილიყო იმავე ან მის ტოლფას თანამდებობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/517-14, 10.04. 2014წ).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი წინააღმდეგობრივია, კერძოდ, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ-ში გადაწყვეტილების გამოტანის დროს არსებობდა კონკრეტული თანამდებობა (მოსარჩელის მიერ განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა) და ამ თანამდებობაზე აღადგინა კიდეც მოსარჩელე, მაშინ გაუგებარია, როგორ უნდა აღდგეს ეს უკანასკნელი ტოლფას სამუშაოზეც. ამასთან, საყურადღებოა, რომ არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოპასუხის მიერ შესაგებელში და სააპელაციო საჩივარში მითითებულ იმ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 1 მარტიდან აღარ არსებობს მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა და ამ გარემოების დასადასტურებლად მოპასუხემ წარადგინა მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, გამოეკვლია ზემოხსენებული მტკიცებულებები და დაედგინა, ნამდვილად გაუქმდა თუ არა მოპასუხე ორგანიზაციაში მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული თანამდებობა გაუქმებულია და, შესაბამისად, პირვანდელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის აღდგენა შეუძლებელია, სასამართლომ შესაძლებელია, იმსჯელოს მოსარჩელის ტოლფას სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, ხოლო, თუ ასეთი თანამდებობაც არ არსებობს, მაშინ უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა მოსარჩელისათვის კომპენსაციის გადახდის წინაპირობები (შკ-ის 38.8 მუხლი).

ტოლფას სამუშაოზე აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტოლფასი სამუშაოს არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს უნდა დაეკისროს. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ტოლფას სამუშაოზე მოსარჩელის აღდგენის საკითხი შესაძლებელია, დადებითად გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მოპასუხის საშტატო განრიგით ასეთი თანამდებობის არსებობის ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება შეუძლებელი იქნება.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილშიც, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ვინაიდან იძულებითი განაცდურის დაკისრების საკითხი იმაზე იქნება დამოკიდებული, დაკმაყოფილდება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა პირვანდელ სამუშაო ადგილზე ან მის ტოლფას სამუშაოზე აღდგენის შესახებ. საკასაციო სასამართლოს განჩინებით გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცების ტვირთი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

ხელშეკრულების მხარეებიდან თითოეული მათგანი პასუხისმგებელია სწორედ მისი წილი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სადავოობისას, მასვე ეკისრება ამ ვალდებულების არსებობის გამომრიცხველი ან მისი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1328-1266-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/3319-14, 25.11.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/101-14, 02.04.2014). მოცემულ შემთხვევაში, სადავოა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხელშემკვრელ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების იდენტიფიცირებას გააჩნია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური მნიშვნელობა, რამდენადაც თითოეული მათგანი პასუხისმგებელია სწორედ მისი წილი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე (მატერიალურსამართლებრივი კუთხით), ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სადავოობისას, მასვე ეკისრება ამ ვალდებულების არსებობის გამომრიცხველი ან მისი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა (საპროცესოსამართლებრივი კუთხით). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი საქმე მიეკუთვნება იმ შემთხვევას, რომ სწორედ მოსარჩელეა ვალდებული, რომელიც მოცემულ დავაში წარმოადგენს მეიჯარეს, ამტკიცოს მოიჯარისათვის (მოპასუხე) საიჯარო ფართის გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოება. მოსარჩელის/მეიჯარის ამ საპროცესო ვალდებულების არსებობის საფუძველია, როგორც სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა მიერ წინასწარ იქნა დადგენილი ხელშეკრულების საგნის გადაცემის წესი, რომელიც სწორედ მეიჯარეს ავალდებულებდა საიჯარო ფართის გადაცემა გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც მოსარჩელეს/მეიჯარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში მოიჯარეს გადაცემული ჰქონდა საიჯარო ფართი, რაც გამორიცხავს მეიჯარის მხრიდან საიჯარო ქირისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა: მტკიცების ტვირთის არასწორი გადანაწილების საფუძვლით საკასაციო სასამართლოს მიერ ასევე გაუქმებულია შემდეგი საქმები: №ას-1119-1066-2013, 17.04.15; №ას-641-607-2015, 25.09.2015; №ას-361-343-2015, 14.12.2015; №ას-761-720-2015, 15.12.2015; №ას-692-658-2015, 29.12.2015.

მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

სსკ-ის 356[3] მუხლის მე-5 ნაწილით, კანონიერი შემოსავლების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი არ შეიძლება მხოლოდ მოპასუხეს დაეკისროს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-586-557-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №3-524, 17.11.2005წ) დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ პროკურატურის სარჩელი თანამდებობის პირის ოჯახის წევრის ქონების – მოზარდთა დასასვენებელი საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი მოპასუხისათვის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის მოთხოვნით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/1369-07, 2015წ) თავისი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა ავტომანქანის უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო სასარჩელო უძრავი ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს, სახელმწიფოს სასარგებლოდ, დაეკისრა უძრავი ქონების ღირებულების – 40000 ლარის გადახდა. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები საკუთარი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვებდა დადასტურებას საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით, შეკრებილ მტკიცებულებებს კი, არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელი იყო როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 356[3] მუხლის მე-5 ნაწილით, კანონიერი შემოსავლების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი მხოლოდ მოპასუხეს დააკისრა. ამ კუთხით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, ასევე, ცალმხრივად შეაფასა საქმის გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პროკურორის სარჩელი უნდა დაჰფუძნებოდა სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შედეგად მოხელის, მისი ახლო ნათესავის ან დაახლოებული პირის მიერ სადავო ქონების მოპოვების შეუძლებლობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობას. თავის მხრივ, სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი სასკ-ის 21[6] მუხლით მოწესრიგებული იყო ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის საკითხი და ნორმის მე-2 ნაწილით არ ყოფილა განსაზღვრული მტკიცების ზოგადი სტანდარტისაგან (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) განსხვავებული წესი. მითითებული ნორმის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. საქმეში წარმოდ-

გენილი სარჩელის შესწავლით ირკვევა, რომ მოსარჩელეს არა თუ მტკიცებულებები არ წარუდგენია სასამართლოსათვის, არამედ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ პროკურატურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმეები მოპასუხისა და სხვათა მიმართ, რაც მოსარჩელეს აძლევდა ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო ქონება დაუსაბუთებელია.

მოსარჩელეს არც შემდგომ, საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლოსათვის არ წარუდგენია არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს, ანუ ფაქტობრივად სარჩელის აღძვრის წინაპირობას მხოლოდ პროკურორის „ეჭვი“ იყო, რომლის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მას სამართალწარმოების არცერთ სტადიაზე არ წარუდგენია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომლის თანახმად მოპასუხის მიერ შეძენილი უძრავი ქონება წარმოადგენდა დაუსაბუთებელ ქონებას, არ გამომდინარეობდა საქმის მასალების სრულყოფილი შეფასებიდან. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ გამოიკვლია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა სადავო ქონების მოპასუხის საკუთრებაში შეძენის ფაქტი დაკავშირებული არის თუ არა მისი ახლო ნათესავის თანამდებობაზე ყოფნის ფაქტთან, რისი მტკიცებაც მოსარჩელეს ევალებოდა. საკასაციო პალატის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 102-ე მუხლები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული შედავების წარმოდგენა სადავო ნაწილში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით განსაზღვრულ კვლევის სტანდარტთან შესაბამისობის გამორკვევის საფუძველია

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-653-621-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/12948-12, 22.01.2013) მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 3200 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/974-13, 25.04.2013) სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით და სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლად უსაფუძვლო გამდიდრება მიიჩნია. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ 3200 ლარის გადარიცხვის დროისათვის მხარეებს შორის ხელშეკრულება არ მოქმედებდა და აღარ არსებობდა თანხის გადარიცხვის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, თუ რომელი ვალდებულების შესასრულებლად გადაირიცხა 3200 ლარი და პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა ამ თანხის დაბრუნების სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის პოზიცია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს დასკვნა 3200 ლარის სამართლებ-

რივი საფუძვლის გარეშე გადარიცხვის თაობაზე არ ემყარებოდა საქმის მასალების სრულყოფილ კვლევას, რადგან, საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას მოსარჩელემ თავადვე აღიარა თანხის გადახდის საფუძვლიანობა. აღიარება, მოგვიანებით რამდენჯერმე შეცვალა. მიუხედავად სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოსარჩელის მიერ მიცემული განმარტების (სხდომის ოქმის) გამოკვლევისა, სააპელაციო სასამართლოს, აღნიშნული, როგორც მტკიცებულება, გადაწყვეტილებაში არ შეუფასებია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორმა სწორედ სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული შედავება წარმოადგინა. დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის არსებობა კი, თავის მხრივ, სადავო ნაწილში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით განსაზღვრულ კვლევის სტანდარტთან შესაბამისობის გამორკვევის საფუძველი იყო.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის მიზნებისათვის კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების მყარ ნუსხას, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სადავო გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილთაგან სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არცერთს არ გააჩნია. ერთადერთი საგამონაკლისო ნორმა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასების ამ სტანდარტისგან განსხვავდება, 106-ე მუხლით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი და პრეიუდიციუილი ფაქტებია, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, არც ერთი მათგანი სახეზე არ იყო.

მართალია, 3200 ლარის ვალდებულების ფარგლებში გადახდის საპირისპიროდ, მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მას ამ თანხების გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა, თუმცა არც საქალაქო სასამართლოს უმსჯელია ფაქტის აღიარებასა თუ ამ აღიარების გაქარწყლებაზე და არც სააპელაციო პალატას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას, მით უფრო, რომ აპელანტი ამ გარემოებაზე მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებულია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა თაობაზე მოსარჩელემ მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აღნიშნა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელში მითითებული ფაქტების ლოგიკური შეფასებიდან არ გამომდინარეობს სასამართლოს დასკვნა თანხის უსაფუძვლოდ გადახდის თაობაზე, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა, რომელსაც სარჩელითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტების ფარგლებში აღნიშნავდა მოსარჩელე, განეკუთვნება საჯარო სამართლის (საგადასახადო კანონმდებლობა) რეგულირების სფეროს, შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულების დარღვევამ ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის თვალსაზრისით, არ შეიძლება, გავლენა იქონიოს სამოქალაქო ურთიერთობებში ვალდებულების არსებობაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევა, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასება;
გადაწყვეტილების შინაარსი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლები

– „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-11 მუხლები

მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განმარტება საქმეზე №ას-150-140-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილებით (საქმე №2/9453-13, 19.03.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, სადგომის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/2469-14, 03.12.2014). სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელის კუთვნილი ნივთები განთავსებული იყო სადავო სადგომში, არ იყო საკმარისი მტკიცებულება სადავო გარემოების დასადასტურებლად.

სააპელაციო პალატის დასკვნით, მოსარჩელე, სსსწუ-ის მიღების დროისათვის, სადავო ნივთს ფაქტობრივად არ ფლობდა, ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა ამავე კანონის პირველ მუხლზე, 11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა კანონის მიღების დროისათვის ნივთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ დასტურდებოდა საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით, შეკრებილ მტკიცებულებებს კი, არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელი იყო როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მტკიცება, რომ ნივთების სადგომში დატოვება სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად არასწორად გამოიყენა. პალატის განმარტებით, მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება ემყარებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს, რითაც დაირღვა სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების ნაწილში არ იყო ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარებოდა სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფდა ამა თუ იმ მტკიცებულებას, რაც მისი გაუქმების საფუძველი იყო.

მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-426-403-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე№2ბ/4566-13, 26.02.14) გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2-2024-13,09.07.13), რითაც სარჩელი მოპასუხისათვის სწავლის გადასახადის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა. პალატის მოსაზრებით, გარემოება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტში ანგარიშსწორება ხდებოდა, როგორც უნაღდო, ასევე, ნაღდი ანგარიშსწორებით, რის დასადასტურებლადაც მოპასუხე უთითებდა მოწმის ჩვენებაზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შედგენილ წერილობით განმარტებებზე, არ იყო საკმარისი იმ მტკიცების გასაზიარებლად, რომ მოპასუხემ სწავლის საფასური გადაიხადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მტკიცება და განმარტა, რომ სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარყოფილი, ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა გაირკვეს პრეზუმირებული ფაქტების არსებობა. ეს ისეთი ფაქტებია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). თანხის გადახდის ფაქტი მხოლოდ მოწმის ჩვენებით და მხარის განმარტებით არ შეიძლება დადასტურდეს, თუმცა უდავოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებებს არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ისინი ფასდება შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებებში. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე-710-ე მუხლები

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ დავის სწორად გადაწყვეტისათვის

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-739-707-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/837-13, 26.11.2013) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით, რაც მხარეთა მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/40-14, 14.05.2014) მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გაასჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ დავალების ხელშეკრულება (ანუ მინდობილობა) 2011 წლის მაისში შეწყდა, მიიჩნია, რომ სწორედ ამ დრომდე მხარეთა შორის გრძელდებოდა სამართლებრივი ურთიერთობა და მოსარჩელე ასრულებდა დავალების ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას. სასამართლომ დაადგინა, რომ დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის ე. ი. 2011 წლის მაისისათვის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დასრულდა.

2011 წლამდე მოპასუხეს რაიმე პრეტენზია მინდობილი დავალების შესრულების ხარისხთან ან სხვა გარემოებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიმართ არ გააჩნდა (ასეთი რამ სასამართლოზე მხარეებს არ განუცხადებიათ).

აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მას, სკ-ის 710-ე მუხლის შესაბამისად, უნდა მისცემოდა შეთანხმებული გასამრჯელო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კასატორს (მოპასუხე) წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ არ მისცა შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებას. კერძოდ, კასატორი მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მარწმუნებლის მიერ დავალებული თანხების მითვისება ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაა. სკ-ის 709-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულება (რისთვისაც გათვალისწინებულია გასამრჯელო) ნიშნავს მის შესრულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ წესის საწინააღმდეგო ქმედება არის ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ კასატორი საქმის განხილვისას უთითებდა მოსარჩელის მიერ თანხის მითვისების განაჩენით დადგენილ ფაქტებზე, სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენს) და არ გამოიკვლია განაჩენით დადგენილი ფაქტები, კერძოდ, მიუთითებენ თუ არა ეს ფაქტები მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს გამოკვლეული აღნიშნული საკითხი. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტების კვლევით, რომლებიც მიუთითებენ გასამრჯელოს თაობაზე შეთანხმების არსებობა-არარსებობასა და გასამრჯელოს მოცულობაზე. სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ მსჯელობს მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ დავის სწორად გადაწყვეტისათვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, მტკიცების საგანში არ შეიყვანა მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებული ფაქტები და არ შეაფასა ამ ფაქტების დამდგენი მტკიცებულება.

შენიშვნა: სსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევის გამო, ასევე გაუქმდა გადაწყვეტილებები (განჩინებები) შემდეგ საქმეებზე: №ას-872-830-2013, 17.10.2014; №ას-139-130-2015, 28.05.15; №ას-662-629-2014, 04.06.2015; №ას-491-465-2014, 22.06.2015; №ას-89-83-2015, 23.10.15; №ას-845-795-2015, 17.12.2015; №ას-535-508-2014, 16.10.2015; №ას-1024-982-2014, 28.09.15; №ას-122-116-2014, 25.05.2015; №ას-898-860-2014, 09.10.15; №ას-70-68-2014, 06.04.15; №ას-699-669-2014, 25.06.2015; №ას-742-703-2015, 04.12.15; №ას-838-802-2014, 19.03.2015; №ას-679-645-2015, 19.11.2015.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი

ფაქტის პრეიუდიციული მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ეს ფაქტი არ შედის სამტკიცებელი ფაქტების კატეგორიაში – ესაა ფაქტი, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. შესაბამისად, ასეთი ფაქტი მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვერ გაბათილდება. პროცესუალურად ის გაბა,თილებას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტი ვერც სააპელაციო საჩივრით გაბათილდება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მოემბრის განმარტება საქმეზე №ას-467-441-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-116-09, 31.07.2012) დაკმაყოფილდა სარჩელი გირავნობის ხელშეკრულების მოძრავი ნივთების დაგირავების ნაწილში ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის გაუქმების თაობაზე, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/4600-12, 9.02.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დაუსწრებელ საჩივარზე წარდგენილი საჩივარი სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა. პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 201.1-ე, 232[1]-ე, მუხლებით და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავისი პოზიციის გამოხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, კანონმდებელი აწესებს ზეპირი მოსმენის გარეშე მის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი, არ ემყარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები დაფუძნებულია სულ სხვა მტკიცებულებებზე, შესაბამისად, სააპელაციო პალატის განმარტებით, იგი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იმსჯელებდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, ვინაიდან სააპელაციო პალატის შეფასების საგანი იყო მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაში კი, არ იყო მითითება რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ შემოწმებისას – სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას – სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რადგან აღნიშნულ გარემოებებს პრეიუდიცული მნიშველობა ჰქონდა ამ საქმისთვის. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილ იქნა სკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული პირველი პირობა – სადავო ნივთებზე მოსარჩელის საკუთრების ფაქტი. აღნიშნულ ფაქტს კი, საქმისათვის ჰქონდა პრეიუდიციული მნიშვნელობა, რადგან სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, პრეიუდიციულად ითვლება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

სსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად, ფაქტის პრეიუდიციული მნიშვნელობა გულისხმობს, რომ აღნიშნული ფაქტი არ შედის სამტკიცებელი ფაქტების კატეგორიაში – ეს არის ფაქტი, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. შესაბამისად, ასეთი ფაქტი მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვერ გაბათილდება. პროცესუალურად ის გაბათილებას არ ექვემდებარება. მოცემულ საქმეში პრეიუდიციული ფაქტი იყო, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა სადავო მოძრავი ნივთების მესაკუთრეს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მხარეთა შორის მიმდინარე დავის პროცესში სახეზეა ერთი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები, შეფასებისას, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს თუ არა აპელანტის მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლია, გვერდი აუაროს ამ გარემოებებს იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ფაქტებს არ ეფუძნება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველა ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანია არა მხოლოდ ის, აბათილებს თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტებს, არამედ ისიც – ხომ არ ეფუძნება სააპელაციო საჩივარი იმ ფაქტების საწინააღმდეგო ფაქტებს, რომლებიც მტკიცებას არ ექვემდებარება. ყოველგვარი სხვაგვარი განმარტება გულისხმობს, რომ ასეთი ფაქტების გაბათილება შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რაც მათი პრეიუდიციულად მიჩნევის მიზანს ეწინააღმდეგება.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სააპელაციო პალატა გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იმსჯელებდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

7. მხარეთა ახსნა-განმარტება

მოსამართლეთა შეკითხვები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე და 105-ე მუხლები

მოსამართლემ, საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს კანონით მინიჭებული შეკითხვის დასმის უფლება, რათა ხელი შეუწყოს საქმის გადაწვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1068-1021-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2ბ/788-14, 16.09.14) გააუქმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1010-14, 04.08.14), რითაც სარჩელი უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის ანაზღაურებისა და მიღებული სარგებლის დაბრუნების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხის შეგებებულ სარჩელს მოსარჩელისათვის სესხად გაცემული თანხის დაკისრებაზე უარი ეთქვა და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი და შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. დავის გადაწყვეტისას სააპელაციო პალატამ გამოიყენა სკ-ის 317-ე მუხლის I ნაწილი და დაადგინა, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დადასტურდა და ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა. ასევე, შეგებებული სარჩელის ავტორს სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არ გადაუცია მოთხოვნილი თანხები მოსარჩელისთვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მიერ თანხების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემის ფაქტი დაადგინა იმგვარად, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ შეუსწავლია საქმის მასალები, არ გამოუკვლევია და დამაჯერებლად არ უარუყვია ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის თაობაზე. არ დაუდგენია, თუ რა ვალდებულების ფარგლებში ითხოვდა მოსარჩელე მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ჩათვლას, რასაც დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით არ გამოიყენა სსკ-ის 128-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, შეკითხვები დაუსვას მხარეებს, რაც ხელს შეუწყობს საქმის გადაწვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას, რადგან მხოლოდ ამ საკითხების დაზუსტების შემდეგ უნდა შემოწმდეს მოპასუხის შესაგებელში გამოთქმული მოსაზრებები თანხის სხვა ვალდებულების ფარგლებში გადახდის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

8. ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტის დასკვნის შემოწმება, შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე, 172-ე და 105-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე, 1336-ე და 1337-ე მუხლები

ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განმარტება საქმეზე №ას-402-379-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/4609-13, 05.03.2014) შეცვლილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/10496-12, 03.07.2013). მოცემულ საქმეში სააპელაციო პალატამ ქორწინების არარსებობის ფაქტი დაამყარა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებსა (რომლის თანახმად, ქორწინების სააქტო ჩანაწერში არსებული ხელმოწერა არ ეკუთვნოდა მომაკვიდრებელს) და სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებზე და მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა პირთა თანაცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ფაქტი. შესაბამისად, ბათილად ცნო ნოტარიუსის მიერ მოპასუხის (მამკვიდრებლის მეუღლის) სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილი წერილობით გამოვლენილი ნების ნამდვილობას უკავშირებს დოკუმენტზე ხელმოწერის არსებობის ფაქტს, რაც ამ შემთხვევაში, სახეზეა. ამდენად, ჰიპოთეტური მტკიცება იმისა, რომ ხელმოწერა არ ეკუთვნის ხელმომწერ პირს ნების სადავოობაზე მეტყველებს და არა მის უცილოდ ბათილობაზე. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქორწინების მოწმობის ბათილად ცნობა სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა, ამასთან, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები არასწორად შეაფასა, რადგანაც დასკვნებიდან ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება მამკვიდრებლის ხელმოწერის არარსებობა, სხვა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმისწარმოება არ შეწყდებოდა. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად), რაც, მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია.

ქორწინების მოწმობის ძალაში ყოფნის პირობებში, მოპასუხე, როგორც მამკვიდრებლის მეუღლე, სკ-ის 1336-ე მუხლის თანახმად, განიხილება მისი პირველი რიგის მემკვიდრედ, რომელმაც უდავოა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით მიიღო სამკვიდრო. მოსარჩელე კი, წარმოადგენს მამკვიდრებლის მე-5 რიგის მემკვიდრის უფლებამონაცვლეს, რაც გამორიცხავს სამკვიდრო ქონებაზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობას, რადგანაც, სკ-ის 1337-ე მუხლის თანახმად, წინა რიგის, თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას, რაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

9. საქმის განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი;

საპროცესო თანამონაწილეობა;

არასათანადო მოსარჩელის (მოპასუხის) შეცვლა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, 84-ე-86-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები

როდესაც პირი აღძრავს აღიარებით სარჩელს, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნია მოსარჩელეს, კონკრეტულად რა შედეგის მიღწევას ლამობს იგი;

შეუძლებელია, გადაწყვეტილების გამოტანა იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ განსახილველ დავაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-148-139-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/2103-12, 20.06.2013წ) არ დაკმაყოფილდა სარჩელი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებების ბათილად ცნობის, უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ აღიარებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც გასაჩივრდა აპელაციის წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/ბ-736-13, 10.12.2013წ) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ დგინდებოდა არც სადავო ოქმებში მითითებულ პირთა მიერ მათთვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემული ფართების ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტისათვის (2007 წლის 1 აგვისტო) ფლობის ფაქტი და არც კრებებზე ამხანაგობის წევრთა (მათ შორის მოსარჩელის) კანონით დადგენილი წესით მოწვევის (შეტყობინების ჩაბარების) გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე სადავო კრების ოქმები ბათილი იყო, ვინაიდან არღვევდა სკ-ისა და ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებით დადგენილ წესებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატის მითითებით, გაურკვეველია, რა შედეგის მიღწევას ცდილობდა მოსარჩელე სადავო ოქმების გაბათილების შემთხვევაში. შესაძლებელია, მოსარჩელეს სურდეს სადავო ფართის მესაკუთრედ ან თანამესაკუთრედ ცნობა. აღნიშნული შედეგი დამოკიდებულია იმ გარემოებასთან, თუ ვის მფლობელობაშია სადავო ფართი. თუ იგი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მან უნდა დაადასტუროს, თუ რა ზიანი მიადგა სადავო კრების ოქმებითა და სადავო ქონების მოპასუხეთა საკუთრებაში გადაცემით. ამასთანავე, მოსარჩელეს მხოლოდ მაშინ ექნება მითითებული უძრავი ქონების (სხვენის) საკუთრებაში მიღების საფუძველი, თუ იგი დაადასტურებს, რომ იგი ფლობდა სადავო ფართებს, ასევე, ზემოთ მითითებულ მოპასუხეებს მხოლოდ მაშინ არ ექნებათ სადავო ფართების საკუთრებაში მიღების უფლება, თუ ისინი არ სარგებლობდნენ სადავო ფართებით. მითითებული გარემოება არ არის დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია დავის გადაწყვეტა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის ის პრეტენზიაც, რომ მსგავს დავაში მხარედ უნდა მონაწილეობდეს ამხანაგობის ყველა წევრი. სადავო ოქმებით ნება გამოვლენილი აქვს ამხანაგობის წევრთა უმრავლესობას. სკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სა-

მართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არის გარიგება. მითითებული ოქმების გაბათილებით არარად მიიჩნევა ამხანაგობის წევრთა მიერ გამოვლენილი ნება, რაც შეუძლებელია, განხორციელდეს მათი საქმეში მონაწილეობის გარეშე. სსკ არ იცნობს სასამართლოს მიერ საქმეში მხარედ ჩართვის შესაძლებლობას, გარდა კოდექსის 84-ე, 85-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოცემულ საქმეში მონაწილეობს სათანადო მხარეთა მხოლოდ ნაწილი. დანარჩენ პირთა მხარედ ჩართვა საქმეში მოსარჩელის არჩევანზეა დამოკიდებული. მათი ჩაურთველობა კი, პირდაპირ აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. შეუძლებელია, გადაწყვეტილების გამოტანა იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ განსახილველ დავაში. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

აღიარებითი სარჩელი;
გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი და 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტი

– „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები

აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება, რომლის განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან; მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გამო, უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-17-14-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-1697/13, 08.04.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ბმა-ის რიგი ოქმები ამხანაგობის წევრებისათვის სხვენის გადაცემის ნაწილში და მანსარდის მოწყობაზე თანხმობის გაცემის შესახებ, ხოლო სარჩელი ბმა-ის რიგი ოქმების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/ბ-507, 10.11.2014).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ ინფორმირება ამხანაგობის წევრების კრებაზე მოწვევის, კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეებს ეკისრებოდათ, რაც უზრუნველყოფილი ვერ იქნა. ბმაშ-ის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ კრების მოწვევისა და ჩატარების პროცესში სავალდებულოა ამხანაგობის წევრთა ინფორმირება განსახილველი საკითხების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის სხვენის გასხვისება ამხანაგობის ისეთი განვითარებაა, რომელიც ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. სხვენის გასხვისების ან მანსარდის მოწყობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელი იყო მოსარჩელის კრე-

ბაზე მიწვევა და ამხანაგობის საერთო ქონების გასხვისებაზე მისი თანხმობა. ასეთი ნება მოსარჩელეს არ გამოუხატავს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო კრების ოქმები, რომელშიც ამხანაგობის წევრთა სახელით ფორმულირებულია ბმა-ის გადაწყვეტილება, წარმოადგენს გარიგებას – ამხანაგობის წევრთა მრავალმხრივი ნების, რომლის ბათილად ცნობის, როგორც აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების, წინაპირობად უნდა იკვეთებოდეს მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

საკასაციო პალატამ, სსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო კრების ოქმებით ილახება მისი, როგორც ამხანაგობის წევრის უფლება და მათი გაუქმების შემთხვევაში, მას მიეცემა მისი რეალიზაციის უფლება, თუმცა საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა სადავო კრების ოქმებით დამდგარი იურიდიული შედეგის გაუქმებით კონკრეტულად რა დადებითი მატერიალურსამართლებრივი შედეგი დადგებოდა უშუალოდ მოსარჩელისათვის, როგორც ამხანაგობის ერთ-ერთი წევრისათვის – გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა და რა კუთხით.

სსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]“ პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

აღიარებითი სარჩელი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე და 105 მუხლები

– „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლები

ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილი იურიდიული ინტერესის ნამდვილობას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-1058-1013-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასა-

მართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/501-14, 04.07.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 2/1267-13, 11.04.2014). მოცემული დავის საგანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა და ხელშეშლის აღკვეთა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა და, ასევე, არასწორად დაადგინა მოპასუხეების მხრიდან ხელშეშლის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს როგორც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისე – სკ-ით დადგენილი გარიგების ნამდვილობის განმსაზღვრელი ნორმები და აღიარებითი სარჩელის კანონშესაბამისობის მარეგულირებელი საპროცესოსამართლებრივი წესები, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონს, რამდენადაც ბმაშ-ის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. რაც შეეხება სკ-ით განსაზღვრულ გარიგების ნამდვილობის მარეგულირებელ ნორმებს, ისინი სამოქალაქო სამართლის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელი ზოგადი ნორმებია, რომელთა მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი გარიგების, მათ შორის ამხანაგობის წევრთა მრავალმხრივი ნების გამოხატვის კანონიერებაზე, თავის მხრივ, ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნისას, ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი იურიდიული ინტერესის ნამდვილობას, რაც სასამართლოს არ დაუდგენია, ასევე, მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ მართებულად განსაზღვრა მტკიცების საგანში შემავალი, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე საკითხთა წრე, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასრული შეფასების შედეგად გამოტანილ იქნა არასწორი გადაწყვეტილება. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად შეუფასებლობისა და სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დადგენის საფუძვლით საკასაციო პალატამ საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

10. სასამართლოს მთავარი სხდომა

მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა;

გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები;

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები;

მტკიცებულებათა გამოკვლევა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 377-ე, 380-ე და 382-ე მუხლები

თუ შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მითითებას ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, მაშინ სასამართლომ უნდა დაიცვას სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ასეთ შუამდგომლობას განიხილავს, როგორც პრეტენზიას პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების თაობაზე, მაშინ სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძვანელოს სსკ-ის 377-ე მუხლით და გამოიკვლიოს, დაშვებული იყო თუ არა პირველი ინსტანციის

მიერ პროცესუალური დარღვევები მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის საოქმო განჩინების გამოტანისას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-788-748-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1351, 30.05.13) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1101/12, 08.11.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას ისე დააკმაყოფილა სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობა, რომ არ დაიცვა სსკ-ის 215-ე, 380-ე და 382-ე მუხლებით დადგენილი წესი, კერძოდ, არ დაასაბუთა ამ მასალების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები და პროცესუალური წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მითითებული განჩინებიდან არ ირკვევა, სასამართლო სისხლის სამართლის საქმიდან მოწმეთა ჩვენებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს, როგორც სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის ინსტიტუტის მიხედვით (სსკ-ის 380-ე მუხლი) თუ, როგორც მოსარჩელის (აპელანტის) პრეტენზიას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმით დაშვებული პროცესუალური დარღვევების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული შუამდგომლობა წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მითითებას ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, მაშინ სასამართლოს უნდა დაეცვა სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ განიხილა მითითებული შუამდგომლობა, როგორც პრეტენზია პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების თაობაზე, მაშინ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 377-ე მუხლით და გამოეკვლია, დაშვებული იყო თუ არა პირველი ინსტანციის მიერ პროცესუალური დარღვევები ზემომითითებული მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის საოქმო განჩინების გამოტანისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, დარღვეული იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი წესი. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო დაცული მითითებული მოთხოვნები, რითაც დარღვეულ იქნა მტკიცებულებათა მიღების პროცესუალურსამართლებრივი წესი, ასევე, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, თუ რამდენად შესაძლებელია გამოსათხოვი (ან შემდეგ წარმოებაში მიღებული) მტკიცებულებებით სადავო ფაქტების დამტკიცება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა ხელახლა განიხილოს და იმსჯელოს მტკიცებულებების მიღების კანონიერებაზე და მათი გამოკვლევა-შეფასების შედეგად დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რაც წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს.

11. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო;

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 215-ე, 233-ე და 241-ე მუხლები

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მხარე (ადვოკატი) შეიძლება, მონაწილეობ-

დეს სხვა სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე და ეს არ უნდა იქნეს მიჩნეული მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად. გამოუცხადებელმა მხარემ უტყუარად უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო, წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესახებ იმ სასამართლოსათვის, სადაც ვერ ახერხებდა გამოცხადებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-568-539-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოსარჩელისა და შეგებებულ სარჩელში მოპასუხეთა წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება (21.05.14, საქმე №2/14738-12), რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმდა (07.04.15, საქმე №2ბ/6676-14).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლოზე გამოუცხადებელი მხარეების წარმომადგენელთაგან ერთმა საქალაქო სასამართლოს სხდომის გადადების მოთხოვნით მიმართა სხდომის წინა დღეს, ხოლო მეორემ – სხდომის დღეს. სხდომის გადადების საფუძველს წარმოადგენდა წარმომადეგნელთა მონაწილეობა სხვა საქმის განხილვაში, რომელიც ემთხვეოდა მიმდინარე საქმის განხილვის დროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ყველა შუამდგომლობა, რომელიც მიმართული იყო სხდომის გადადებისკენ, გამყარებული იყო სათანადო მტკიცებულებით, რაც კონკრეტულ სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადების შეუძლებლობას ადასტურებდა და ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ განჩინების კანონიერების შესწავლის მიზნით საჭიროდ მიიჩნია, შეეფასებინა მხარეთა წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით. სსკ-ის 230-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულია სასამართლო სხდომის თაობაზე და არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ამ სხდომაზე, ეს შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საპატიო მიზეზებს, განსაზღვრავს სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. საქმიდან უდავოდ დასტურდება, რომ მხარე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს საპატიო მიზეზის არსებობით, კერძოდ, მიიჩნევს, რომ იმავე დღეს სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღება გამორიცხავდა წარმომადგენლის გამოცხადების შესაძლებლობას სასამართლოში ამ საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ სსკ-ის 241-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

პალატამ სხდომაზე გამოუცხადებელი მხარეების წარმომადგენლების პრეტენზიებთან დაკავშირებით, აღნიშნა შემდეგი:

მოპასუხეების წარმომადგენლის არგუმენტი, რომ იგი იმავე დღეს, იმავე დროს მონაწილეობდა სხვა სასამართლო პროცესში და შესაძლებლობა არ ჰქონდა, გამოცხადებულიყო აღნიშნულ სხდომაზე, ვერ მიიჩნეოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გა-

უქმების საფუძვლად, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ წარმომადგენელს წინამდებარე დავაზე 2014 წლის 21 მაისს დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2014 წლის 7 აპრილს. საქმის მასალებით დადგენილია ასევე, რომ 2014 წლის 16 აპრილს ის მოსამართლე მ-სთან გამართულ სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლის სახით მონაწილეობდა და აღნიშნული სხდომა გადაიდო 2014 წლის 21 აპრილს, 10:00 საათზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მხარე (ადვოკატი) შეიძლება, მონაწილეობდეს სხვა სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე და ეს არ უნდა იქნეს მიჩნეული მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად, თუმცა გამოუცხადებელმა მხარემ უტყუარად უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო, წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესახებ იმ სასამართლოსათვის, სადაც ვერ ახერხებდა გამოცხადებას. განსახილველ შემთხვევაში მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება მხოლოდ ის გარემოება, რომ წარმომადგენლის სახით მონაწილეობას იღებდა სხვა საქმეში, თუმცა აღნიშნული მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან სხდომის გადადებამდე ინფორმაცია მიაწოდა მოსამართლე მ-ს 2014 წლის 21 მაისს იმავე დროს მოსამართლე თ-სთან დანიშნული სხდომის თაობაზე, მითუმეტეს, რომ წინამდებარე დავაზე დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ იგი ინფორმირებული იყო გაცილებით ადრე, 2014 წლის 7 აპრილს. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა წარმომადგენლის მიერ მითითებული გარემოება, რომ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლე მ-მ არ გაიზიარა მისი თხოვნა და სხდომა არ გადადო სხვა დროისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტნაციის სასამართლომ, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მართებულად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რაც შეეხება მეორე მოპასუხის წარმომადგენლის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მაისის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა მისი აღნიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის თაობაზე და განმარტა:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 21 მაისის სასამართლო სხდომის დაწყებამდე 3 წუთით ადრე (10:27 საათზე) მეორე მოპასუხის წარმომადგენელმა სხდომის გადადების თაობაზე შუამდგომლობა წარადგინა და სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიუთითა მისი მონაწილეობით სააპელაციო სასამართლოში იმავე დროს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქმეში არსებული სატელეფონო შეტყობინებით დადგენილია, რომ წარმომადგენელს წინამდებარე სარჩელზე 2014 წლის 21 მაისს დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა 2014 წლის 7 აპრილს. 2014 წლის 4 მაისის სასამართლო უწყებითა და 16 მაისის სატელეფონო შეტყობინებებით კი დასტურდება, რომ მისი მონაწილეობით 2014 წლის 21 მაისს სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე მას ეცნობა წინამდებარე სარჩელის განხილვის თაობაზე უწყების ჩაბარებიდან (2014 წლის 7 აპრილიდან) თითქმის ერთ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდგომ და 21 მაისის სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა, სასამართლოსთვის სხდომის გადადების თაობაზე შუამდგომლობა წარედგინა გონივრულ ვადაში და არა სასამართლო სხდომის დაწყებამდე 3 წუთით ადრე.

პალატამ განმარტა, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას გამოუცხადებელმა მხარემ უტყუარად უნდა დაამტკიცოს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო, წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესახებ იმ სასამართლოსთვის, რომელშიც ვერ ახერხებდა გამოცხადებას. იმ პირობებში, სადაც წარმომადგენელი 2014 წლის 15 აპრილისათვის უკვე ინფორმირებული იყო წინამდებარე სარჩელზე საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 21 მაისს დანიშნული სხდომის თაობაზე, მას შეეძლო, საკუთარი განცხადებით ეცნობებინა სააპელაციო სასამართლოსთვის აღნიშნული სხდომის თარიღი და ეთხოვა პროცესის გადადება მისთვის სავარაუდოდ ხელსაყრელი დროისათვის, რაც არ განუხორციელებია.

ამრიგად, ვინაიდან მხარის წარმომადგენელმა ვერ შეძლო, სასამართლოსთვის წარმოედგინა სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები; გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები; საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე, 63-ე, 201-ე და 377-ე მუხლები

შესაგებელი არ წარმოადგენს კანონის ფორმალურ დანაწესს და მისი შინაარსობრივი დასაბუთება მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, სასამართლო მხარის შედავების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სადავო და უდავო ფაქტობრივ გარემოებათა წრეს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-1013-956-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/304-2015, 14.07.2015) შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1258-14). სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 63-ე და 232[1] მუხლებზე მითითებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა აპელაცია და ეს დაასაბუთა იმით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოპასუხემ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, თუმცა სარჩელში მითითებულ ფაქტებს, კერძოდ კი, იმას, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის გარდა, კრედიტორს 10 950 აშშ დოლარი გადაუხადა, არ შედავებია. შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით იმის თაობაზე, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი იყო სწორად შედგენილი და შეესაბამებოდა მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს. იდენტური შინაარსის შესაგებელი წარადგინა მან დაზუსტებული სარჩელის ჩაბარების შემდეგ. ასეთივე ზოგადი შინაარსის შესაგებელი წარადგინა სააპელაციო საჩივარზე, რომლის მიმართაც, სსკ-ის 372-ე მუხლისა და 373-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლო-

ში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმები. მიუხედავად შეთავაზებისა, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს არც სრულყოფილი შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზი განუმარტავს. პალატის დასკვნით, რადგან კანონით გათვალისწინებული ვალდებულება მოპასუხემ არ შეასრულა, კანონის საფუძველზე, მას წაერთვა უფლება, შეესრულებინა ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

პალატამ მიუთითა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტზეც და აღნიშნა, რომ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს ვალდებულება იმ ოდენობით, რა ოდენობის მოთხოვნაც გააჩნია კრედიტორს. კრედიტორის მოთხოვნა აპელანტის მიმართ შეადგენდა ძირითად თანხას – 8 050 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს – 1 500 ლარს. ამის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ კასატორის (მოპასუხე) პრეტენზიებისა და მათი საფუძვლიანობის გამორკვევისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნია, ემსჯელა, შესაგებლის, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის საპროცესო ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, ასევე, ზემდგომი სასამართლოს მხრიდან დავის საჩივრის ფარგლებში განხილვა-გადაწყვეტის წესზე.

შესაგებელი არ წარმოადგენს კანონის ფორმალურ დანაწესს და მისი შინაარსობრივი დასაბუთება მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, სასამართლო მხარის შედავების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სადავო და უდავო ფაქტობრივ გარემოებათა წრეს. სსკ-ის 201-ე მუხლი არეგულირებს შესაგებლის წარდგენის სტანდარტს, რომელიც უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-4 მუხლთან შესაბამისობაში (შეჯიბრებითობა) და იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მოპასუხის შედავება, შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია, როგორიცაა, მაგალითად: ზოგადი, ანუ აბსტრაქტული სახის შედავება, კვალიფიციური შედავება და სხვა. მითითებული კვალიფიკაცია, თავისთავად, გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთსა და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრეზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება სსკ-ის 63-ე და 232[1] მუხლების არასწორად გამოყენება-განმარტების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევის ფაქტი არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, შესაბამისად, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი დამდგარა დღის წესრიგში. სსკ-ის 232[1] მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო ვალდებულია, უხელმძღვანელოს მხარეთა შეჯიბრებითობას (სსკ-ის 102-ე მუხლი) და საპროცესო წესების დაცვით წარმართოს სასამართლო პროცესი, მიიღოს ახსნა-განმარტებანი, მტკიცებულებები და ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით შეფასება მისცეს მათ, ანუ შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან, სადაც დავის ფაქტობრივი გარემოებები კანონის ძალით მიიჩნევა დამტკიცებულად, სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაამყაროს საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას და დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი

ახლო ნათესავის გარდაცვალება არის საფუძვლიანი მიზეზი სასამართლოში გამოუცხადებლობისა და, შესაბამისად, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1046-1003-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-215-14, 15.07.2014) მოპასუხის გამოუცხადებლობის სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად არ მიიჩნია მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა სასამართლო სხდომის დღეს მოპასუხის სიძის დაკრძალვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო საჩივარზე დართულ ცნობაში ასახული ინფორმაცია – გარდაცვლილი პირის სასამართლო სხდომის დღეს დაკრძალვის თაობაზე მხარეს სადავოდ არ გაუხდია. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს მაინც ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე, რადგანაც, მოსარჩელის განმარტებით, გარდაცვლილი არ იყო მისი ახლო ნათესავი, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მას და მიუთითა მოპასუხის მიერ მიცემულ განმარტებაზე, სადაც მხარემ აღნიშნა და დაასაბუთა, რომ გარდაცვლილი გახლდათ მისი ახლო ნათესავი. ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დგინდება, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა თუ არა აპელანტის ახსნა-განმარტებით, რომლებიც უნდა მიმართულიყო საქალაქო სასამარლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების გაქარწყლებისაკენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ედა 232[1] მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე, 466-ე და 469-ე მუხლები

სოლიდარული მოვალის მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს სსკ-ის 232[1] მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-555-526-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 232[1] მუხლი და, მოპასუხის მხარეს სოლიდარუ-

ლი მოვალეების (თანამოპასუხეების) არსებობის პირობებში, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენა, არასწორად მიიჩნია სკ-ის 466-ე მუხლით განსაზღვრულ სოლიდარული მოვალის შესაგებლად, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაუდო იმ მოპასუხეთა მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასაც, რომლებსაც პრეტენზია დადგენილი წესით არ გამოუთქვამთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 466-ე მუხლით განსაზღვრული მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს სსკ-ის 232[1] მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურსამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თანამონაწილეობა, როდესაც თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებლად საპროცესო წესებთან ერთად გვევლინება სკ-ის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად კი, კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე, ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატამ გამოიტანა დასკვნა, რომ თუკი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის საჩივარი საფუძვლიანი იქნებოდა, ის დანარჩენი მოპასუხეების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ არც საქმის მასალებით ირკვევა და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ მის სახელზე სხვა თანამოპასუხეების მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე და საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები სრულად იყო დაცული, შესაბამისად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 105-ე მუხლები

მხარის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებობის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მან ინტერესი დაკარგა საქმის განხილვისადმი, რასაც შედეგად მოჰყვება საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის პროცესუალური ფორმა, რომლის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს აცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ, როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არა აქვს ნება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-642-608-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-1228-2014,01.05.15) უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს განჩინება (საქმე №2-1739/14, 17.11.14), რომლითაც ძალაში დარჩა იმავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სახელფასო დავალიანების გადახდევინების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა მოპასუხის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის ხელისშემშლელი საპატიო მიზეზი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერად ცნო, ამასთან, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას და განმარტა, რომ არასაპატიო მიზეზით მხარის სასამართლოში გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს ვარაუდს საქმის განხილვისადმი მისი ინტერესის დაკარგვის თაობაზე, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტიან საქმიანობას, დავების სწრაფ და გაუჭიანურებლად გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“ განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები, საქმის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ხელი შეუწყონ სასამართლო განხილვასა და გადაწყვეტილების გამოტანას. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის პროცესუალური ფორმა, რომლის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს აცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ, როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არა – ნება. მოცემულ შემთხვევაში, გამოუცხადებელმა მხარემ იმის გამო, რომ სასამართლო სხდომები დანიშნული იყო ერთსა და იმავე დღეს ორ სხვადასხვა ქალაქში, სასამართლოს წინასწარ, გონივრულ ვადაში – ორი დღით ადრე აცნობა სხდომაზე მისი დაუსწრებლობის შესახებ. ამით, მან დაადასტურა განსახილველი დავისადმი იურიდიული ინტერესი, ასევე, წარადგინა მტკიცებულება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ. სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულებები სათანადოდ არ შეუფასებია, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა შეფასების პროცესუალური წესი. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები; მტკიცებულებათა შეფასება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე, 105-ე და 215-ე მუხლები

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი თუ არის ავადმყოფობა, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს, თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი (წარდგენილი მტკიცებულება ავადმყოფობის შესახებ) სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი, არ შეიძლება, მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-955-917-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/269-14, 16.07.2014) არ დაკმაყოფილდა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის წარმომადგენლის განცხადება, ავადმყოფობის გამო, სხდომის გადადების თაობაზე არ დააკმაყოფილა, ხოლო გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხარის შუამ-

დგომლობის დაკმაყოფილების გზით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საპელაციო საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით და განმარტა, რომ საპატიო მიზეზად ითვლება მხარის ავადმყოფობა, რაც დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობას. სსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად კი, ამგვარი მტკიცებულების წარდგენა გამოუცხადებელი მხარის ვალდებულება იყო.

საჩივრის განხილვის დროს წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცელი, პალატის მოსაზრებით, კანონშესაბამისი არ იყო, რადგან იგი არც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ იყო ხელმოწერილი და არც პირდაპირ მითითებას შეიცავდა გადაადგილების შეუძლებლობაზე, რაც, სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის სწორად განმარტების გზით, მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობები, კერძოდ, 2014 წლის 16 ივლისის განჩინებით სასამართლომ დაარღვია, როგორც სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი მტკიცებულების გამოკვლევის წესი, ისე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელი საპროცესო სამართლის ნორმები, რის თაობაზეც კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა (სსკ-ის 393.3 მუხლი).

სსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, კერძოდ, მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო პალატამ სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენელმა საჩივრის განხილვის ეტაპზე უზრუნველყო მისი საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დადასტურება, მტკიცებულებაში ნათლადაა ასახული, როგორც ავადმყოფობის ფაქტი, ისე სამუშაოდან გათავისუფლების აუცილებლობა და მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი (მით უფრო, როდესაც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარდგენილი მტკიცებულება აკმაყო-

ფილებდა სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლოს განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

12. სასამართლო გადაწყვეტილება

საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს;

სასამართლო და ადვოკატის ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე და 54-ე მუხლები

როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს მოთხოვნაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ სარჩელის აღძვრის შემდეგ იგი ნებაყოფლობით დააკმაყოფილა, მაგრამ, თუნდაც ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე თავად არ ამბობდეს სარჩელზე უარს, მოპასუხის მიერ მოთხოვნის შესრულება სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს შესრულებული ვალდებულების პროპორციულად, ვინაიდან ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი ეცლება

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისი განმარტება საქმეზე №ას-1210-1155-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/3852-13, 17.10.2013) უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2/1337-13, 30.04.2013). საქმის მასალების თანახმად, მოპასუხემ ფულადი ვალდებულებიდან გარკვეული თანხა გადაიხადა მოსარჩელის მიერ სარჩელის შეტანის დღეს. ამ ფაქტობრივი გარემოების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და განმარტა, რომ მოსარჩელისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი მოპასუხის მიერ დამატებით თანხის ჩარიცხვის ფაქტი. მან მოთხოვნა დააყენა სარჩელის შეტანის დროს არსებული დავალიანების ფარგლებში, რაც დაადასტურა შესაბამისი მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 244-ე მუხლზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი ან რა ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას. სსკ-ის 54-ე მუხლი აწესრიგებს შემთხვევას, როცა მოსარჩელე უარს ამბობს მოთხოვნაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ სარჩელის აღძვრის შემდეგ იგი ნებაყოფლობით დააკმაყოფილა, მაგრამ, თუნდაც ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე თავად არ ამბობდეს სარჩელზე უარს, მოპასუხის მიერ მოთხოვნის შესრულება სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს შესრულებული ვალდებულების პროპორციულად, ვინაიდან ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი ეცლება. ერთხელ უკვე გადახდილი თანხის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის განმეორებით დაკისრებით მოსარჩელე უსაფუძვლოდ მდიდრდება და მოპასუხის კანონიერი ინტერესები ირღვევა, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, მოპასუხემ ვალდებულება საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას შეასრულა თუ აპელაციაში. ეს გარემოება ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილების შინაარსი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთად, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად. სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-64-58-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: მოპასუხის მიერ სარჩელის ნაწილობრივ ცნობის მიუხედავად, არც პირველი ინსტანციის სასამართლოსა და არც სააპელაციო სასამართლოს სარჩელის ცნობის ფაქტი არ შეუფასებია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დამაჯერებელ მსჯელობას არც სარჩელის ცნობისა და არც ამ საპროცესო მოქმედების უარყოფის კუთხით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, ანალოგიური მოთხოვნებია დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ სსკ-ის 389-ე მუხლით, ასევე, საგულისხმოა სსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი. რომლის თანახმადაც მხარეები იწყებენ საქმისწარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს — ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება, განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას.

გადაწყვეტილების შინაარსი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2015 წლის 14 მაისის განმარტება საქმეზე №ას-167-155-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ოზურგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-137-14, 22.08.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი გამოსყიდვის უფლებით ორ უძრავ ნივთზე მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რაც აპელაციის წესით გასაჩივრდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2/ბ-972, 09.12.2014) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დაადგინა, რომ მოვალემ იცოდა კრედიტორის ადგილსამყოფელი, რომელიც მზად იყო, მიეღო შესრულება (ლანჩხუთის რაიონის სანოტარო ბიუროში), მაგრამ მოვალემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეებს სადავო უძრავი ქონების გამოსყიდვა თანხის სრულად დაბრუნებით არ განუხორციელებიათ. მათ თანხა გამოსყიდვის ვადის დარღვევით სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და არა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსეს და, ამასთანავე, აღნიშნული თანხაც არ იყო სრული. ამდენად, მოსარჩელის წინაშე ვალდებულება ჯეროვნად არ შესრულებულა. რაც შეეხება აპელანტთა მითითებას, რომ მათ გააჩნდათ მოსარჩელისათვის გადასაცემი თანხა, თუმცა ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა შესრულების მიღებაზე, სააპელაციო პალატამ, სსკ-ის შესაბამისად, აპელანტების მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო, არ გაიზიარა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორთა პრეტენზია მათ მიერ გამოსყიდვის ვადის დარღვევის ფაქტის სასამართლოს მხრიდან არასწორად დადგენის თაობაზე.

საკასაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელსა და შესაგებელში გადმოცემული დადგენილ ვადაში თანხის მიღებაზე კრედიტორის მიერ უარის გაცხადების ფაქტის აღიარება, მოცემულ შემთხვევაში, მას არ გაუქარწყლებია, რაც დასაბუთებულს ხდის კასატორის პრეტენზიას კრედიტორის მიერ გამოსყიდვისათვის დადგენილ ვადაში შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ უკვე გადახდილი თანხისა და მოსარჩელის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული თანხის ოდენობის გათვალისწინებით, კასატორები შეძლებდნენ ხელშეკრულებათაგან ერთ-ერთით გათვალისწინებული საგნის ღირებულების სრულად დაფარვას.

სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, ანალოგიური მოთხოვნებია დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ სსკ-ის 389-ე და 390-ე მუხლებით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თანხის შეთავაზებისა და კრედიტორის მიერ მის მიღებაზე უარის თქმის ფაქტის აღიარების სწორად შეფასება წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამ გარემოებას კი, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება რითაც დარღვეულია სსკ-ის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნები. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების შინაარსი; გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები; ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე და 394-ე მუხლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლი

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთობლივად არ შეაფასა, რითაც დაირღვა სსკ-ის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1003-964-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/46302-13, 20.11.2013) არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა მოპასუხის დავალდებულება, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შესასრულებლად საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების არჩევითობის რიგითობის მიხედვით განაწილების, ასევე, მოსარჩელისათვის გამოყოფილი წილის იპოთეკისგან გათავისუფლების თაობაზე. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/222-14, 25.06.2014). როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უმთავრეს საფუძვლად მიიჩნიეს სკ-ის 940-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წინაპირობების არარსებობა, კერძოდ, ქვემდგომ სასამართლოთა დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა არ არის შეწყვეტილი, შემოსავლისა და გასავლის განაწილების შესახებ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა მოთხოვნები უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომ სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მსჯელობა ერთობლივი საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნია, რომ ქვემდგომ სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩელის მოთხოვნის რეალური არსი, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქალაქო სასამართლომ სარჩელზე უარი სკ-ის 940-ე მუხლის წინაპირობების არარსებობაზე დაამყარა, ხოლო აპელანტმა არაერთგზის განმარტა, რომ მისი მოთხოვნა არა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა, არამედ, წილობრივი მონაცემების შესაბამისად, ფართებზე სამომავლო უფლების რეგისტრაცია და ქონების იპოთეკისგან გათავისუფლება იყო, ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვა განაპირობა, ერთი მხრივ, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დასრულებამ, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის მხრიდან გარკვეული ფართების განკარგვამ, რის შედეგადაც, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას მოსარჩელის ინტერესების დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატამ მოიხმო სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად, მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. ასეთ ვითარებაში, მო-

სარჩელის ნამდვილი ინსტერესის დადგენისათვის სააპელაციო სასამართლოს არ უსარგებლია სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით (მოსამართლეს უფლება აქვს, შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას), ისე დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებს ამხანაგობის შეწყვეტისა და მოგების/ხარჯების განაწილების წესზე.

საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს საერთოდ არ უმსჯელიათ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი წილის იპოთეკისაგან გათავისუფლებაზე. ამ თვალსაზრისით, მოსარჩელე მიუთითებს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე და განმარტავს, რომ ფინანსური ვალდებულებების შესრულება, მათ შორის, უძრავი ქონების სანივთო უზრუნველყოფისაგან გათავისუფლება ამხანაგობის შიდა ურთიერთობაში ეკისრებოდა შპს-ს, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ხელშეკრულებით მოწინააღმდეგე მხარემ იკისრა თუ არა მსგავსი ვალდებულება ამხანაგობის წინაშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთობლიობაში არ მიეცა შეფასება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს (მათ შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას, მხარეთა განმარტებებს, ამხანაგობის 26.10.2012წ. ოქმს), რითაც დაირღვა სსკ-ის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების ასლების მხარეებისთვის ჩაბარება; სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1] და 369-ე მუხლები

სსკ-ის 259[1] მუხლის მეორე ნაწილი ეხება იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ გათავისუფლებული არიან სასამართლო ხარჯებისგან, ან არიან პატიმრობაში და არ ჰყავთ წარმომადგენელი. სხვა შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-886-836-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/10284-14, 12.12.14) არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლის მოთხოვნასაც წარმოადგენდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს-ის დირექტორის ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2014 წლის 12 დეკემბერს, რომელსაც უშუალოდ ესწრებოდა მოსარჩელე. მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებით ისარგებლა 2015 წლის 17 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 2 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და განჩინებით (საქმე №2ბ/638-15, 22.06.2015) სააპალაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ სსკ-ის 259[1] მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოსარჩელე ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ვალდებული იყო, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფდა სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 259[1] მუხლის მე-2 ნაწილი ბლანკეტური შინაარსის ნორმაა, რომელიც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის 46-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საფუძვლები. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის მიხედვითაც, კანონით შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებს კი, თავის მხრივ, ადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული მოთხოვნებიდან მოსარჩელე ბრძანების ბათილად ცნობისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლეს და, მაშასადამე, სსკ-ის 259[1] მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში შემავალ იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება უნდა უზრუნველეყო სასამართლოს ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნა, რომ, ვინაიდან იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მოთხოვნა, როგორც მეორეული მოთხოვნა, წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების თანმდევ სამართლებრივ შედეგს, მოსარჩელე არც მოთხოვნის ამ ნაწილში, წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ჩაბარების ზემოთ მითითბული წესი გავრცელდებოდა.

საკასაციო პალატის მსჯელობიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ მოსარჩელის საპროცესო სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგენდა, გამოცხადებულიყო სასამართლოში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინა გადაწყვეტილების ასლი.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენა, სსკ-ის 259[1] მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2015 წლის 11 იანვრიდან და, სსკ-ის 369-ე მუხლის შესაბამისად, სრულდებოდა იმავე წლის 25 იანვარს.

სააპალაციო საჩივარი კი, წარდგენილ იქნა 2015 წლის 17 თებერვალს.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო განსახილველად, რაც გასაჩივრებული განჩინებისა და, აგრეთვე, მისი წინმსწრები – მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველს წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი.

13. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები; სასამართლო მტკიცებულებები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე და 105ე-106-ე მუხლები

ახალი მტკიცებულებები ვერ გააქარწყლებს პრეიუდიციულ ფაქტებს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის განმარტება საქმეზე №ას-144-137-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: წალკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/22-12, 26.07.2012) მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უძრავი ქონება და მოპასუხეს აეკრძალა სარგებლობის ხელშეშლა, რაც სააპელაციიო სასამართლომ უცვლელად იქნა დატოვა. სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით, 172-ე მუხლით, 312-ე მუხლის პირველი ნაწილით და მოცემულ შემთხვევაში დაადგინა, რომ მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მიწის ნაწილი იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის, მათ შორის, მოპასუხის სახელზე. მოპასუხე ფლობს მოსარჩელის საკუთრებაში რიცხულ 363 კვ.მ-ს, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით. მოპასუხეს არ აქვს ამ ფართის ფლობის უფლება.

ამასთან, პალატის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნაში არსებული ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ ფარავდა მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, არ ნიშნავდა ზედდებას „საჯარო რეესტრის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის კონტექსტით, არამედ გულისხმობდა უკანონოდ ფლობას სკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ შენიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა იმის გამორკვევა, საქმე გვქონდა მხარეების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის ფაქტობრივ ზედდებასთან თუ სამართლებრივ ზედდებასთან. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის სწორად დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტას შეუძლია, გავლენა მოახდინოს დავის შედეგზე.

მოპასუხე სარჩელისაგან თავს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნებით იცავდა, რომლის მიხედვითაც, მხარეთა მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებში არსებობდა იურიდიული ზედდება, ხოლო მოპასუხე სკ-ის 312-ე მუხლით დადგენილი საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მი-

წის ნაკვეთში სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრირებულ მესაკუთრეს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლების დებულებებით და მათზე დაყრდნობით თავიდან არ უნდა დაწყო იმ საკითხის კვლევა, ადგილი ჰქონდა თუ არა ზედდებას. მართალია, მოსარჩელეს მიმდინარე დავაში წარდგენილი ჰქონდა ახალი მტკიცებულებები, რომელიც განსხვავებულად აჩვენებდა სადავო სურათს, თუმცა, ახალი მტკიცებულებები მაინც ვერ გააქარწყლებდა პრეიუდიუციულ ფაქტებს. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები; სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები; ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-827-791-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (2/1598-13, 04.02.2014) სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი არასრულწლოვნის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა 2/6 ნაწილის 1/6 ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის 2/6 ნაწილიდან 1/6-ის 1/2 ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ამავე გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (№2ბ-278-14) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებისა და საპროცესო ხარჯების განაწილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. პალატამ სკ-ის 1473-ე მუხლზე მითითებით არ დააკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების ½ წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 1473-ე მუხლით, ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს არასწორი შეფასება მისცა, რაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო. საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელე, მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებას ცდილობდა, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეებს შორის, შესაბამისად, უნდა შეფასე-

ბულიყო თავად იმ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას.

საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელიც მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მიღებას შეეხებოდა, დადგენილია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მემკვიდრეთა წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს ნოტარიუსს ქონების მემკვიდრეობით მიღების თაობაზე და ერთერთი მემკვიდრის წარმომადგენელს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი იმ საფუძვლით ეთქვა, რომ სამკვიდროს მთლიანი განაწილება, მემკვიდრეთა ზუსტი წრის დადგენა და მათი შესაბამისი წილების განსაზღვრა უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ. მოპასუხის შესაგებელს, მსგავსად წინამდებარე დავისა, წარმოადგენდა 1990 წლის 20 ივნისს მორიგების აქტით სამკვიდროზე უარის გაცხადება. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მართალია, სასამართლომ დაადგინა 1990 წელს მხარეთა მორიგების ფაქტი, თუმცა მას გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ მოუხდენია, უფრო მეტიც, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სამკვიდროს 1/3-1/3 წილის მიღება, ამასთანავე, დადგინდა ქონების მიკუთვნებაზე უარის თქმის საფუძვლები, სასამართლომ მოსარჩელეს სამკვიდროს 1/3 მხოლოდ იმ საფუძვლით მიანიჭა, რომ სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, ვერ გასცდებოდა სასარჩელო მოთხოვნას. ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 266-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი, შესაბამისად, დავაში წარმოდგენილი შესაგებლის ფარგლებში 1990 წელს შემდგარი მორიგება ერთი რიგის მემკვიდრეების წილთა თანაბრობაზე გავლენას ვერ იქონიებდა და ვერც სკ-ის 1473-ე მუხლით გათვალისწინებულ გათანაბრებას დაედებოდა საფუძვლად. საკასაციო სასამართლოს გაადწყვეტილებით საკაასციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

14. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით; ახალი ფაქტები და მტკიცებულებები; საგადასახადო საიდუმლოება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე და 380-ე მუხლები

– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი

სასამართლოს შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება სადავო მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, თუ ეს ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-204-191-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: დავა ეხება ალიმენტის ოდე-

ნობის განსაზღვრას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/5910-13, 11.12.13) გორის რაიონული სასამართლოს (№2/493-13 26.08.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა ის ფაქტი, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს, თავად მოეპოვებინა, მოპასუხის, როგორც გადასახადის გადამხდელის, შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. შემოსავლების სამსახურის წერილობითი უარი კი, სსკ-ის 380-ე მუხლით გათვალისწინებულ ახალი მტკიცებულების წარდგენად მიიჩნია. ასევე, არასწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ, თითქოს, მხარეს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო საჩივარში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ, მისი შუამდგომლობის მიუხედავად, სასამართლომ ფორმალური მიზეზით არ გამოითხოვა მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, რაც გამოიხატა სათანადო ორგანოდან წერილობითი უარის წარუდგენლობაში, იმ პირობებში, როდესაც სსკ საოჯახო საქმეთა განხილვისათვის სასამართლოს აქტიურ როლს აკისრებს. საგკო-ს 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის წერილობითი უარის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა სასამართლოს არ უნდა განეხილა, როგორც საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი მტკიცებულების წარდგენა, ვინაიდან ამგვარი უარის მიღება სასამართლოსათვის იმთავითვე ცხადი იყო საკანონმდებლო დანაწესის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 354-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს შეეძლო, თავადაც მიეღო გადაწყვეტილება სადავო მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე დააბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე და 105-ე მუხლები

სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ას-218-205-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-857-14, 26.12.14) გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (№2-633-14. 18.07.14), რომლითაც სარჩელი განქორწინების, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა: სარჩელი თანასაკუთრებაში არსებული ავტომანქანის ღირებულებიდან გადახდევინების თაობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო საალიმენტო ვალდებულების გონივრულ და სამართლიან ოდენობად დაადგინა მოპასუხის მიერ თითოეული ბავშვის აღსაზრდელად ყოველთვიურად 100-100 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია, როგორც მტკიცებულებათა გამოკვლევის მარეგული-

რებელი ნორმის – სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, ისე – საოჯახო სამართლებრივი დავიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის წესი. რის გამოც, ამ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება არ ემყარება მტკიცებულებების ობიექტურ განხილვა-შეფასებას. განმარტა, რომ კანონმდებელი არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა: მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა. სასამართლოს, სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

საქმის გარემოებათა დადგენა სასამართლოს ინიციატივით

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი

სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-476-450-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №2/ბ-73, 20.03.14) უცვლელად დატოვა სენაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე "№2/232-13, 20.12.13), რითაც სარჩელი მეუღლეთა განქორწინებისა და არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვის მამასთან აღსაზრდელად დატოვება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას სადავო სამართალურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე არ განუკარგავს სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილება, უტყუარად და ზუსტად არ დაუდგენია დედისთვის შვილის აღსაზრდელად გადაცემის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები გარკვეულ ნაწილში, კერძოდ, არსებობს თუ არა მოსარჩელის ჯანმრთელობის გაუარესების რისკი, ურთიერთწინააღმდეგობრივია და დამაჯერებლად ვერ ასაბუთებენ თუ როგორია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სააპელაციო სასამართლოს კრიტიკულად არ გამოუკვლევია ის რისკები, რომელიც უკავშირდება ბავშვის მხოლოდ მამის სოციალურ გარემოში აღზრდას და, მიუხედავად იმისა, რომ დედას არ ეკრძალება მშობლის უფლების განხორციელება, არ უმსჯელია, თუ რა პირობებშია შესაძლებელი ამ საკითხის გადაწყვეტა და განმარტა, რომ საოჯახო დავათა განხილვის განსაკუთრებული მიზნებიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები შეჯიბრებითი სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი გამონაკლისი, რაც ინკვიზიციის ელემენტებით ხასიათდება. სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასა-

მართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

15. საქმისწარმოება სააპელაციო სასამართლოში

გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი

სააპელაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და გადაწყვეტილება შეცვალოს იმ ნაწილში, რომელიც მხარეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-363-345-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2545-12 14.02.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/14620-12, 15.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაარღვია სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა იმ ნაწილში, რომელიც მხარეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ვინაიდან არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი

სააპელაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და მხარეებს მიაკუთვნოს ის, რაც მათ არ მოუთხოვიათ ან იმაზე მეტი, რაც სარჩელში იყო მითითებული

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-602-570-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/176-14, 25.11.2014) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი შვილთან ურთიერთობის დღეების განსაზღვრის მოთხოვნით, რაც მო-

სარჩელემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/45-15, 03.04.2015) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა შემდეგი წესი: 2016 წლის 11 მაისამდე მიეცა უფლება, წაიყვანოს შვილი ყოველი მეორე კვირის შაბათს, 10 საათიდან, იმავე დღის 18 საათამდე და მომდევნო კვირა დღის 10 საათიდან იმავე დღის 17 საათამდე, ხოლო 2016 წლის 11 მაისის შემდეგ ყოველი მეორე კვირის პარასკევს, 18 საათიდან, იმავე კვირის კვირა დღის 17 საათამდე, დადგენილი დროის გასვლის შემდეგ, მოსარჩელემ უნდა უზრუნველყოს შვილის მიყვანა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის პოზიცია იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა საჩივრის ფარგლებს (სსკ-ის 377.1 მუხლი), რაც იმით გამოიხატა, რომ მეორე აპელანტი (მოპასუხე) სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, კერძოდ, არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის მოსარჩელისათვის კვირაში ორი დღის განსაზღვრას ორი საათით დედის საცხოვრებელ ადგილას, ბავშვის წაყვანის უფლების გარეშე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო პალატამ მოპასუხის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, მოსარჩელეს, ნაცვლად სააპელაციო მოთხოვნით განსაზღვრულისა, ნება დართო, არასრულწლოვანი შვილი მოენახულებინა და წაეყვანა ყოველ მეორე კვირას. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები; მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა; სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმისწარმოება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 215-ე და 279-ე მუხლები

ახალი ფაქტების/მტკიცებულებების საქმეზე დაშვება შეფასების გონივრულ სტანდარტზეა დამოკიდებული და სასამართლო ამ საკითხს წყვეტს იმ გარემოების გამორიცხვით, რომ მხარეს მათი ქვემდგომ სასამართლოში წარდგენის ფაქტობრივი შესაძლებლობა არ გააჩნდა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-865-823-2013 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/12572-12, 25.01.2013) დაკმაყოფილდა სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე, რაც უცვლე-

ლად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინებით (საქმე №2ბ/1137-13, 23.07.2013).

სააპელაციო სასამართლომ საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მხარეს დაუბრუნდა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დასკვნა. ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები სასამართლომ იმ საფუძვლით არ მიიღო, რომ დარღვეული იყო სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 219-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვაში მოპასუხის პირადად მონაწილეობა და შესაგებლის წარდგენა, სასამართლომ ჩათვალა მოპასუხის მიერ საპროცესო უფლებების ჯეროვან რეალიზაციად.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო საქმისწარმოების შეჩერების სსკ-ის 279-ე და 280-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დასკვნის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის მოსაზრება, სააპელაციო პალატის მიერ მტკიცებულებების დართვის აუცილებლობის თაობაზე და ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ახალი მტკიცებულებების მიღების საპროცესო წესზე. სსკ-ის 380-ე მუხლი გვთავაზობს ამ საკითხის შემდეგი სახით რეგულირების შესაძლებლობას. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ახალი ფაქტების/მტკიცებულებების საქმეზე დაშვება შეფასების გონივრულ სტანდარტზეა დამოკიდებული და სასამართლო ამ საკითხს წყვეტს იმ გარემოების გამორიცხვით, რომ მხარეს მათი ქვემდგომ სასამართლოში წარდგენის ფაქტობრივი შესაძლებლობა არ გააჩნდა. საწინააღმდეგო ვითარებაში, თუკი დადგინდა, რომ მხარეს ამგვარი შესაძლებლობა ობიექტურად ჰქონდა, თუმცა მან მტკიცებულება არასაპატიოდ არ წარადგინა, ამ მტკიცებულების საქმისათვის დართვით სასამართლო დაარღვევს ამავე კოდექსის მე-4 მუხლით უზრუნველყოფილ შეჯიბრებითობის პრინციპს.

თავის მხრივ, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კანონმდებელმა დაადგინა ის კრიტერიუმები, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობისათვის საპატიო მიზეზად.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარემოებებისა და კასატორის პრეტენზიათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობის „სხვა საპატიო მიზეზი“, თავის მხრივ, ამ დოკუმენტის სადავო გარემოებებთან ერთობლივად შეფასების გარეშე საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

შესაბამისად, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, სსკ-ის 380-ე მუხლის შესაბამისად, ახალი მტკიცებულებების განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, გარიგების დადებისას მხარის ქმედუუნარობის ფაქტის დაუდასტურებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე. ამ თვალსაზრისით საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013

წლის 6 ივნისის განჩინება, რომლის თანახმადაც განცხადებაზე ბებიის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, დაინიშნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა, რომ სსკ-ის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საქმისწარმოების შეჩერებისათვის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა პირის ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე, რაც საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე წარდგენილი არ ყოფილა, თუმცა გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ შუამდგომლობას აპელანტმა დაურთო საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ირკვევოდა, რომ მოპასუხის ქმედუუნაროდ აღიარების საკითხის გადაწყვეტის მიზნით დაინიშნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წარდგენილი მტკიცებულება იძლეოდა საქმისწარმოების შეჩერების სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს, რადგანაც სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება ამავე კოდექსის მე-5 მუხლით განმტკიცებული მხარეთა თანასწორობის პრინციპის შენარჩუნება, რა დროსაც სათანადოდ იქნება დაცული ქმედუუნარო მხარის ინტერესები, კანონით გათვალისწინებული წესით შეძლოს საკუთარი უფლების ჯეროვანი დაცვა. სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება ამ კუთხით არ შეიცავდა დამაჯერებელ მსჯელობას. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი

– „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ საქმე თავადვე განიხილოს და არ დააბრუნოს პირველ ინსტანციაში

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-455-434-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/358-13, 29.07.2014წ), სსსწუ-იდან გამომდინარე, არ დაკმაყოფილდა მოსარგებლის სარჩელი საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, ხოლო მესაკუთრის შეგებებული სარჩელი, საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ, მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდა. მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/4156-14, 09.03.2015წ) გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე უკან დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მოსარგებლისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას საქალა-

ქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსსწუ-ის მე-6 მუხლი. ამასთან, სასამართლომ ამ მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ და სრულად არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არ ეაფასატობრივი გარემოებების დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს უნდა ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილზე, რომელიც გამომდინარეობდა სსსწუ-ის მე-6 მუხლიდან, მოთხოვნის ამ ნაწილში დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მიეთითებინა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარებოდა სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფდა ამა თუ იმ მტკიცებულებას და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა მოთხოვნების დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებზე.

იმ მიზეზით, რომ დადგენას საჭიროებდა მოსარგებლისათვის გადასახდელლი კომპენსაციის ოდენობა და ამ მიმართებით სრულყოფილად იყო გამოსაკვლევი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ეხებოდა მოსარგებლის მიერ განხორციელებულ მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯებს, აგრეთვე, გარემოებები იმის შესახებ ჰქონდათ თუ არა განხორციელებული მოსარგებლეებს თავდაპირველ ფართზე მიშენება-დაშენება ან/და არსებითი გაუმჯობესებები, ხოლო ასეთის დადასტურების შემთხვევაში, რას შეადგენდა მოსარგებლეთა მიერ თავდაპირველ საცხოვრებელ სადგომზე განხორციელებული ხარჯები. ამ ფაქტების დადგენის აუცილებლობა კი, სააპელაციო სასამართლოს მითითებით განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდებოდა, მოსარგებლეების მიერ თავდაპირველ საცხოვრებელ სადგომზე მიშენება-დაშენების ... განხორციელების შესახებ ფაქტობრივი გარემოება და მისი ოდენობა, მესაკუთრეები, რომელებიც მოსარგებლეებს მოსთხოვდნენ ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულნი იქნებოდნენ აენაზღაურებინათ მათთვის გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით. პალატამ აგრეთვე მიუთითა, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა მიზანშეუწონელი იყო, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, მხარე დაკარგავდა კიდევ ერთ ინსტანციაში (სააპელაციო ინსტანციაში) ამ ფაქტობრივ გარემოებაზე შედავების შესაძლებლობას, ვინაიდან მას გასაჩივრება მოუწევდა პირდაპირ საკასაციო სასამართლოში, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს არ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო, დაედგინა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეეფასებინა და გამოეყენებინა კანონის შესაბამისი ნორმები. ამას მოითხოვს გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიც, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეუწონელია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ფაქტობრივი გარემოებების სააპელაციო სასამართლოში დადგენით, მხარე დაკარგავს კიდევ ერთ ინსტანციაში (სააპელაციო ინსტანციაში) ამ ფაქტობრივ გარემოებაზე შედავების შესაძლებლობას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ძირითადი ფაქტობრივი გარემოება მოსარგებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე დადგენილია, რაც ამავდროულად განაპირობებს დავის სამართლებრივ კვალიფიკაციასაც. დასადგენია საკითხი მხოლოდ ნივთზე გაწეული ხარჯების არსებობისა და, არსებობის შემთხვევაში, მისი ოდენობის შესახებ, სსსწუ-ის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგთან კავშირში. შესაბამისად, კიდევ ერთ ინსტანციაში საქმის განხილვა, პროცესუალური თვალსაზრისით, მხარისათვის ინტერესმოკლებულია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი

გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომიის ინტერესებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ საქმე თავადვე განიხილოს და არ დააბრუნოს პირველ ინსტანციაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-209-196-2015 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/856-14, 22.07.2014წ) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, რაც სააპელაციო პალატის განჩინებით (საქმე №2ბ/5652-14, 15.01.2015წ) გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქალაქო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]“ პუნქტზე და განჩინებაში მითითებულია თითოეული პროცესუალური გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის უკან დაბრუნებას, კერძოდ: 1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სრულყოფილ კვლევას საჭიროებს წინამდებარე დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია (საერთაშორისო განსჯადობა); 2. უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რომელი ქვეყნის მატერიალური კანონმდებლობით უნდა მოხდეს დავის გადაწყვეტა. მოპასუხეები წარმოადგენენ უცხო ქვეყნის სამართლის საფუძველზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ხოლო სარჩელი შეეხება მოსარჩელის მიერ მესამე პირისათვის კომპანიის დაფუძნების თაობაზე ნდობითი ფუნქციის მინიჭების – საკუთრების მინდობის დადასტურებულად აღიარებისა და მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის საკითხს; 3. ა. სარჩელი აღძრულია რამდენიმე მოპასუხის მიმართ, რამდენიმეა სასარჩელო მოთხოვნაც, განსხვავდება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა მოსარჩელე კონკრეტულად არ ასახელებს თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით უშუალო მოპასუხეს; ბ. სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლად მითითებული ფაქტები მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროებს უფრო მეტ სიზუსტესა და თანამიმდევრულობას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ არის გარკვეული მოთხოვნის არსი, მისი საფუძველი. 4. მოთხოვნები ძირითადად აღიარებითი ხასიათისაა. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე კი, შეუძლებელია მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დადგენა. ნამდვილ იურიდიულ ინტერესად ვერ შეფასდება მოსარჩელის განმარტება მასზე, რომ წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად წარმოადგენს ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების მაღალ სასამარ-

თლოში მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელისაგან თავის დაცვის საშუალებას, ანუ შესაგებელს. უფრო მეტ სიზუსტესა და კონკრეტულობას მოითხოვს ასევე 2004 წლის ივლისში ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადებულად, ხოლო 2013 წლის 26 დეკემბერს შეწყვეტილად ცნობისა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული უფლებების დადასტურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის იურიდიული ინტერესი. მოსარჩელე მხარეს მართებს, მიუთითოს და დააზუსტოს აღძრული სარჩელის სწორი იურიდიული ინტერესი თითოეულ აღიარებით მოთხოვნასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული საპროცესო გარემოებები არ წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო, განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, მიეცა მათთვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე.

საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების პირველ საფუძველთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა იყო სამართლის და არა ფაქტის საკითხი. ამიტომ ამ საფუძვლით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს.

მეორე გარემოებასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა მოაწესრიგა საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა ზემოაღნიშნული საკითხი მას სათანადოდ არ გამოუკვლევია. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში კი, ამ საკითხის კვლევა წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას. ამიტომ ზემოაღნიშნული საფუძვლით საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს.

მესამე გარემოების შესახებ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგანაც მოსარჩელემ/კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოში წარმოადგინა ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რაც გააჩნდა და რაც მას საქმის გარემოებების დასადასტურებლად აუცილებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდა, ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლოს ვალდებულება იყო, შეემოწმებინა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნას.

რაც შეეხება მეოთხე გარემოებას, რა მიზეზითაც სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქალაქო სასამართლოში, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ აღნიშნული საკითხები სააპელაციო სასამართლოს გამოსაკვლევი იყო და ამ საფუძვლებით პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად საქმის დაბრუნება არამართებული იყო.

შენიშვნა: სსკ-ის 385-ე მუხლის დარღვევის საფუძვლით ასევე გაუქმდა განჩინებები შემდეგ საქმეებზე: №ას-1234-1175-2014, 23.02.15; №ას-471-450-2015, 30.10.15.

17. კასაციის დასაშვებობა

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი

საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-341-322-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/4171-12, 18.12.2012) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი პირგასამტეხლოს სახით გადახდილი 119 658 ლარისა და სოფლის მოსახლეობის გაზიფიცირების ფარგლებში პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის საფასურის – 98 640 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, რაც მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/557-13, 11.02.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 316.1-ე, 317.1-ე, 629.1-ე, 361.2-ე მუხლებზე მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის დაკვეთით, მოპასუხემ განახორციელა სოფელში მცხოვრები 548 სოციალურად დაუცველი მოსახლის გაზიფიცირება, რაც მოიცავდა პროექტირებას და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოებს. დადგენილია, ასევე, რომ გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტირების ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 80 ლარს, სულ – 43840 ლარს (548X80), გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაობის ღირებულება კი, ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 100 ლარს, სულ – 54800 ლარს (548X100), მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურებული არ იყო.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისა და მოსარჩელისათვის მოპასუხის სასარგებლოდ 98 640 (43840+54800) ლარის გადახდის დაკისრების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორის (მოსარჩელე) მიერ წარმოდგენილი იყო ნაწილობრივ დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების სა-

ფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელი იყო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის მოპასუხის სასარგებლოდ გაზგამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულების ერთ სულ მოსახლეზე 100 ლარის, ჯამში – 54800 ლარის (548X100) ოდენობით ანაზღაურების დაკისრების შესახებ (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოსარჩელისათვის მოპასუხის სასარგებლოდ გაზგამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულების ერთ სულ მოსახლეზე 100 ლარის გადახდა უნდა დაჰკისრებოდა სამი მომხმარებლისათვის (3X100), ხოლო 545 მომხმარებლისათვის კი (545X40), ჯამში – 22,100 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები; დამატებითი გადაწყვეტილება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე და 261-ე მუხლები

ზემდგომი სასამართლოები, სსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობენ მაშინ, როდესაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სახეზეა ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმას, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების ობიექტს, წყვეტს სწორედ 261-ე მუხლის მე-3 ან 3[1] ნაწილის შესაბამისად

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-361-340-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილებით (საქმე №2/9320-12, 09.10.2013წ) მოპასუხეებს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრათ წარმომადგენლის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურება. აღნიშნული დამატებითი გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა და მოითხოვეს წარმომადგენლის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის გაზრდა და ექსპერტიზის ხარჯების მოპასუხეებზე დაკისრება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო მოთხოვნა (საქმე №2ბ/6029-13, 31.03.2014წ). მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა საკასაციო საჩივარი და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 373-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს არ აცნობა სააპელაციო საჩივრის არსებობის თაობაზე, არ გადასცა სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით, სასამართლომ არც სსკ-ის 376[1] მუხლის შესაბამისად შეატყობინა მას სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაო-

ბაზე, რის შედეგადაც დაირღვა სსკ-ის 83-ე მუხლით გარანტირებული აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე განხილული იყო მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და განმარტა შემდეგი:

სსკ-ის 261-ე მუხლი წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას და ნორმის დებულებებით მოწესრიგებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესი. სსკ-ის 372-ე და 399-ე მუხლების შესაბამისად, ამ ნორმის დებულებებით, ბუნებრივია, შეიძლება იხელმძღვანელოს, როგორც სააპელაციო, ისე – საკასაციო სასამართლომ, თუმცა მითითებული საპროცესო ნორმის დანაწესებზე შეიძლება, დაამყაროს მხოლოდ მის წარმოებაში არსებულ სააპელაციო/საკასაციო საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებისას დაშვებული ხარვეზი, ანუ, ზემდგომი სასამართლოები 261-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობენ მაშინ, როდესაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სახეზეა ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმას, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების ობიექტს, წყვეტს სწორედ 261-ე მუხლის მე-3 ან 3[1] ნაწილის შესაბამისად.

სსკ-ის XLV თავით დადგენილია საქმის სააპელაციო წესით განხილვის მომწესრიგებელი ნორმები (კერძო საჩივართან მიმართებით გამოიყენება LI თავის დებულებები) და მითითებულთაგან არცერთი არ ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის საერთო წესისაგან განსხვავებულად განხილვის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, ამგვარი სააპელაციო საჩივრის განხილვისას შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და მისი წარმოებაში მიღების საკითხი, 373-ე მუხლის შესაბამისად, მოამზადოს საჩივარი სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, კერძოდ, ჩააბაროს მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით, 201-ე მუხლის შესაბამისად, განუსაზღვროს ვადა შესაგებლის წარდგენისათვის, განუმარტოს მისი წარუდგენლობის შედეგები და განსაზღვროს ზეპირი მოსმენის თარიღი, რის თაობაზეც მხარეებს, სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, უწყების ჩაბარების გზით აცნობებს.

რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვას, ის სსკ-ის 376[1] მუხლით წესრიგდება და ამ წესით საქმის განხილვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის აღწერილობითი ნაწილით დადგენილი წინაპირობები, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას; აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისათვის სასამართლოს უნდა ჰქონდეს მხარეთა წერილობითი თანხმობა, თუმცა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, სასამართლოს ევალება განჩინებით საქმის განხილვის თარიღის განსაზღვრა და ამ თარიღის თაობაზე მხარეთა წინასწარი ინფორმირება, რაც, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა; დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1„ ქვეპუნქტი
– საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 და 37-ე მუხლები

სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, სრულყოფილად დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისი განმარტება საქმეზე №ას-414-391-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/283-14, 06.01.2014) არ დაკმაყოფილდა სარჩელი შპს-ის დირექტორის ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/-136-14, 10.03.2014) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სარჩელი დაკმაყოფილდა. აპელანტების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად, მოპასუხე დაწესებულებამ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეუნქტზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო გათავისუფლების ბრძანების ფაქტობრივი საფუძველი გახდა ეკონომიკური გარემოებანი, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბრძანების მიღებაში არ იყო მითითებული, რა ისეთი ეკონომიკური გარემოება, ტექნოლოგიური ან/და ორგანიზაციული გარემოებები შეიქმნა საწარმოში, რომელმაც საწარმო აიძულა, მუშაკები დაეთხოვა მაშინ, როცა 30 შტატიდან შემცირდა 10 შტატი და 20 კვლავ დარჩა.

სსკ-ის 102-ე-103-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტებმა შეძლეს მათი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება, ხოლო მოპასუხემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ მის მიერ აპელანტთა გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღება კანონის დაცვით მოხდა, ამასთანავე, აპელანტებთან შრომითი ხელშეკრულების (გარიგების) შეწყვეტით, მოპასუხემ დაარღვია აპელანტთა თანასწორობის პრინციპი, მაშინ, როცა მხარეთა თანასწორუფლებიანობას ეფუძნება მოქმედი შრომის კანონმდებლობა (შკ-ის მე-2 მუხლი).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: (ა) რეორგანიზაციის შედეგად 30 საშტატო ერთეულიდან შემცირდა 10 საშტატო ერთეული და დარჩა 20 საშტატო ერთეული და (ბ) აპელანტების საშტატო ერთეულები გაუქმდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებულ ფაქტებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად არ იყო დასაბუთებული. სასამართლომ არ იმსჯელა გასაჩივრებული ბრძანების არაკანონიერების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებას, რატომ მიიჩნია სასამართლომ სადავო ბრძანება უკანონოდ. სააპელაციო სასამართლო არ უთითებდა არცერთ გარემოებაზე, რომელიც გახდებოდა სადავო ბრძანების უკანონოდ ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმაზეც, რომ მოსარჩელეთა მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ ქმედებას, თუმცა მას არ გამოუკვლევია და არ დაუსაბუთებია იგი შკ-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონდარღვევით, შესაბამისად, გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტი
– „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დადგენასა და შეფასებას საჭიროებდა ის ფაქტი, თუ ამხანაგობის მიერ მოპასუხისათვის სადავო ფართების გადაცემა რა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე განხორციელდა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა ასევე ის საკითხი, მოსარჩელისათვის, როგორც საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის მოპასუხის მიერ ჩანაცვლებით, ხომ არ წარმოეშვა ახალ მესაკუთრეს ის უფლებები (სარდაფზე მფლობელობის დადგენის მოთხოვნის უფლება), რაც წინამორბედ მოსარჩელეს ჰქონდა

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-800-765-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (საქმე №2ბ/182-14, 28.05.2014) უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს გაადწყვეტილება (საქმე №2.7788-13, 27.11.2013), რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

პალატამ იხელმძღვანელა ბმაშ-ის 1-ლი მუხლით, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით, მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით და აღნიშნა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 20.07.2010წ. კრებას, მოსარჩელე ესწრებოდა, ასევე, მისთვის ცნობილი იყო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და საკუთრების უფლების გაუქმების თაობაზე.

რაც შეეხებოდა სადავოდ გამხდარ 10.11.2011წ. კრებას, მოსარჩელე ამ დროისათვის არ წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს, რადგანაც სადავო ბინის მესაკუთრედ მოსარჩელე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 09.08.2012წ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.06.2012წ. ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, რის გამოც ამხანაგობა არ იყო ვალდებული, ეცნობებინა მისთვის 2011 წლის 10 ნოემბრის კრების მოწვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის გასათვალისწინებელია მოსარჩელის განმარტების ის ნაწილი, სადაც ეს უკანასკნელი როგორც სარჩელში, ასევე, საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ბმაშ-ის მე-4 მუხლის მიზნებისათვის, მოპასუხე არ ფლობდა სადავო ფართებს.

მოსარჩელის პოზიციაზე, რომ იგი 1973 წლიდან ფლობდა სადავო ფართებს, მოპასუხე-

ებს შედავება არ წარუდგენიათ, უფრო მეტიც ამგვარი ფაქტი არც კი გამხდარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასების საგანი. სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 10 ნოემბრის კრების ოქმებზე მსჯელობისას, მართალია, დაადგინა, რომ მოპასუხე ფლობდა სარდაფსა და ნახევარსარდაფს, ასევე, მათში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, თუმცა სასამართლოს დასკვნა არ იძლევა ამომწურავ პასუხს ბმაშ-ის მე-4 მუხლის დებულებებთან მიმართებაში, კერძოდ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაშია 2007 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მოპასუხემ საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე მოიპოვა 2011 წლის 10 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დადგენასა და შეფასებას საჭიროებდა ის ფაქტი, ამხანაგობის მიერ მოპასუხისათვის სადავო ფართების გადაცემა რა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე განხორციელდა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა ასევე ის საკითხი, მოსარჩელისათვის, როგორც საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის მოპასუხის მიერ ჩანაცვლებით, ხომ არ წარმოეშვა ახალ მესაკუთრეს ის უფლებები (სარდაფზე მფლობელობის დადგენის მოთხოვნის უფლება), რაც წინამორბედ მოსარჩელეს ჰქონდა. თუკი სააპელაციო სასამართლო ამ მსჯელობას გაჰყვებოდა, მასვე უნდა შეეფასებინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის გამო, რა უფლებებში მოხდა მოსარჩელის აღდგენა, მხოლოდ საცხოვრებელი ბინის, თუ ბინასთან ერთად სარდაფისა და ნახევარსარდაფის საკუთრების უფლებაში. ამდენად, კასატორმა ამ თვალსაზრისით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები; მტკიცებულებათა შეფასება; მოჩვენებით დადებული გარიგება

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტი და 105-ე მუხლი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე, 115-ე და 383-ე მუხლები

სააპელაციო პალატამ ისე უარყო მოსარჩელის მტკიცება მხარეთა არანამდვილი ნების თაობაზე, რომ არ გამოუკვლევია მოთხოვნის საფუძვლად მითითებული პრეტენზიები, რამდენად არსებითი იყო სადავო საკითხის მიმართ

> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-789-754-2014 (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2ბ/-777-13, 10.06.2014) ნაწილობრივ შეიცვალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №2-233-12, 26.06.2013). სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მოსარჩელეს უარი ეთქვა აქტივების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის დადებული აქტივების გადაცემის შესახებ ხელშკრულება, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, არ მიიჩნია ბათილად სკ-ის 54-ე, 56-ე და 115-ე მუხლების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კასატორის (მოსარჩელე) არგუმენტები სააპელაციო პალატის მიერ მატერიალური ღირებულების მქონე აქტივების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობის არამართებულად შეფასების თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ ისე უარყო მოსარჩელის მტკიცება მხარეთა არანამდვილი ნების თაობაზე, რომ არ გამოუკვლევია მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ზემოაღნიშნული პრეტენზიები, რამდენად არსებითი იყო სადავო საკითხის მიმართ. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში, არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე, მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება. პრეზუმფცია, როგორც ვარაუდი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, მტკიცებას არ ექვემდებარება, ხოლო მისი გაქარწყლება ევალება იმ პირს, რომლის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აქტივების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტი).

რაც შეეხება მეორე კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიას, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის მეორე თავი არეგულირებს ფულადი ვალდებულების შესრულების წესს და 383-ე მუხლი ადგენს, რომ ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნული ვალუტით. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოური ვალუტითაც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სააპელაციო პალატამ დაადგინა შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა ეროვნული ლაშთი, თუმცა სასამართლოს დასკვნები ემყარება სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აშშ დოლარის გაცვლით კურსს ლართან მიმართებაში, მაშინ, როდესაც, მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები და სარჩელში აღნიშნა საქონლის თურქულ ლირაში მიწოდების ფაქტის შესახებ და თავად გადაწყვეტილებით პალატამ დაადგინა სწორედ 528 010,38 თურქული ლირის ღირებულების პროდუქციის მიწოდების ფაქტი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა პრეტენზია დაკისრებული თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზიდან.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

შენიშვნებისთვის

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge